გეორგ ბიუხნერი

# ლეონსი და ლენა

# ვოიცეკი

# ლენცი

ხელოვნება
1996

ხანმოკლე ცხოვრებისა და შემოქმედების სიმცირის მიუხედავად, გერმანელმა კლასიკოსმა გეორგ ბიუჰნერმა წარუშლელი კვალი დატოვა გერმანული ლიტერატურის ისტორიაში. მისი თხზულებები დღესაც მკვლევართა და მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევენ. აქტუალურია ბიუჰნერის დრამატურგიაც, აგებული კაცობრიობის მუდმივ პრობლემებზე. მისი პიესები ამ ბოლო წლებში ქართული თეატრის სცენაზეც დაიდგა. ამჯერად გთავაზობთ გეორგ ბიუჰნერის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვას, მის ერთ ნოველას „ლენცს" და ორ დრამას „ლეონსი და ლენას" და „ვოიცეკს".

წინასიტყვაობა და თარგმანი
მარიამ ბარამიძისა

© გამომცემლობა „ხელოვნება", 1996

გეორგ ბიუჰნერის გარდაცვალების შემდეგ კარლ გუცკოვმა თქვა: „ნეტა კი შემეძლოს ჩვენი მრავალწამებული, ბრძოლითა და იმედით აღსავსე ეპოქის მომავალ სურათს სამუდამოდ შევუნარჩუნო და ოქროს შარავანდედით შევუმკო გეორგ ბიუჰნერის სახელი იმათთან ერთად, ვინც თავისი ცხოვრებითა და საქმით გვიჩვენა ამ ჩვენი შუალედური დროის მოძრაობა! როდესაც ყველას დავიწყების ნიაღვარი წაგვლეკავს, დაე, ბიუჰნერი იყოს ერთ-ერთი იმათგანი, ვისგანაც, ღვთის წყრომის დაცხრომისთანავე, მშვიდობის მტრედი მწვანე ტოტს მიიტანს ახალ და ყოვლისგანმგებელ სამართლიანობის კიდობანში“.

ეს სიტყვები ისეა ნათქვამი, თითქოს გუცკოვი არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ისტორია მომავალ თაობებს შეუნახავდა ახალგაზრდა გეორგ ბიუჰნერის სახელს. ბიუჰნერის მეგობრებს ალბათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ 23 წლის ასაკში გარდაცვლილი, ძალზე მცირე შემოქმედებითი მემკვიდრეობის მქონე ავტორი, რომლის ნაწარმოებებსაც მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრე იცნობდა, გერმანულ ლიტერატურაში სამუდამოდ დაიმკვიდრებდა ადგილს.

გეორგ ბიუჰნერი დაიბადა 1813 წელს დარმშტადტში, ექიმის ოჯახში. დარმშტადტის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სტრასბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ევროპაში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ლიტერატურულმა ძვრებმა, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა მოახდინა ბიუჰნერის როგორც პიროვნებისა და როგორც მწერლის ჩამოყალიბებაზე. იმდროინდელი ევროპის სულიერ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბატონობდა რომანტიულ-იდეალისტური განწყობილება. ყმაწვილი ბიუჰნერი გიმნაზიის წლებში გაეცნო „ქარიშხლისა და შეტევის“ (Sturm und Drang) ბრწყინვალე პოეტებსა და რომანტიკოსთა გენიალურ ნაწარმოებებს. იგი აღფრთოვანებით კითხულობდა გერმანული ლიტერატურის ისტორიის ამ უდიდესი ეპოქის შედევრებს და მათი მიბაძვით დაწერა კიდეც რომანტიული სულით გამსჭვალული რამდენიმე ელეგია და მშვენიერი თხზულება კატონზე. მაგრამ, გეორგ ბიუჰნერის ბავშვური გატაცება რომანტიზმითა და ანტიკური ხანის ჰეროიკულ წარსულზე ოცნება მალე შეცვალა რეალურ, მის თანამედროვე, გატანჯულ და დაძაბუნებულ გერმანიაზე ფიქრმა. მატერიალისტური მრწამსი იყო ის ქვაკუთხედი, რომელზე დაყრდნობითაც ჩამოყალიბდა მისი ცხოვრების, ბრძოლისა და შემოქმედების ძირითადი პრინციპი. თავის მხრივ ალბათ სტრასბურგში საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებამაც შეუწყო ხელი ჰაბუკ ბიუჰნერს, სამყარო აღექვა ისე, როგორც

ის სინამდვილეში იყო (ბიუჰნერის მიერ ბიოლოგიაში დაწერილი ნაშრომი დღემდე სპეციალისტების მაღალ შეფასებას იმსახურებს). ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ არსებული მდგომარეობის რეალურად შემფასებელ, აქტიური და მებრძოლი ბუნების ახალგაზრდას გაუჭირდა უსამართლობით დამძიმებულ გარემოსთან შეგუება. სწორედ სტრასბურგში ყალიბდება ბიუჰნერი სტუდენტი დამოუკიდებელ, საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების პიროვნებად.)

მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლები ცნობილია როგორც რესტავრაციის ეპოქა. ევროპული მონარქები ერთსულოვნად შეუდგნენ დამხობილ ნაპოლეონისეულ საფრანგეთში მონარქიის აღდგენას, პარალელურად კი თავიანთ სახელმწიფოებში ფეოდალური წყობილების განმტკიცებას. სასტიკი ხერხებით ახშობდნენ ყველა სოციალური თუ ეროვნული სახის განმათავისუფლებელ მოძრაობას. დაქუცმაცებულ და პატარა სამთავროებად დაყოფილ გერმანიაში ადვილი აღმოჩნდა ყველანაირი ოპოზიციური მოძრაობის ჩახშობა. ევროპაში შექმნილი „წმინდა ერთობა“ მეტერნიხის თაოსნობით სასტიკად უსწორდებოდა თავისუფლებისკენ სწრაფვის ყველანაირ გამოხატულებას. რეპრესიებით პასუხობდა თავისუფალ აზრს. ევროპაში ასეთი რეაქციის ბატონობის დროს, 1830 წელს საფრანგეთში იფეთქა რევოლუციამ, რომელმაც მთელი ევროპა შეაზანზარა.

სწორედ ივლისის რევოლუცია ახდენს უდიდეს გავლენას გეორგ ბიუჰნერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც იმ დროს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია. ბიუჰნერის მიერ შინ გაგზავნილი წერილები ყველაზე უტყუარი დასაბუთებაა იმისა, რომ სტრასბურგელი სტუდენტი მზად იყო უკომპრომისო ბრძოლა წამოეწყო პიროვნების თავისუფლების მოსაპოვებლად. აი, ნაწყვეტი ერთ-ერთი წერილიდან: „ახალგაზრდებს გვსაყვედურობენ, ძალადობა გიყვართო, მაგრამ, განა ყველანი ძალადობას არ განვიცდით? ჩვენ ხომ დილეგში დავიბადეთ და გავიზარდეთ, და ამიტომაც ველარ ვგრძნობთ, რომ ხელფეხშებოჭილნი და პირში ალიკაპამოდებულნი ორმოში ვგდივართ. ნეტა რა გგონიათ თქვენ კანონიერი ყოფა? განა ეს კანონი არ არის, უსახური და გახრწნილი უმცირესობის არაბუნებრივი სურვილების დასაკმაყოფილებლად ხალხი პირუტყვად რომ უქცევია? ველური სამხედრო ძალა და უტვინო, გაიძვერა ჯაშუშები იცავენ კანონს, რომელიც სამართლიანობისა და ჯანსაღი გონების მუდმივი და ულმობელი მოძალადეა. ამიტომ გადავწყვიტე, სადაც კი მომიხერხდება, ყველგან, სიტყვით იქნება თუ ხელით, ვებრძოლო მაგ კანონს“. ასეთი განწყობით (დაბრუნდა ბიუჰნერი სამშობლოში 1833 წლის შემოდგომაზე და სწავლა განაგრძო გისენის უნივერსიტეტში. ბურჟუაზიის გზაზე მდგარი საფრანგეთისაგან განსხვავებით გერმანია პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც ბატონობდა ეკონომიკური სიღატაკე და სულიერი დეპრესია. საფრანგეთის განმათავისუფლებელი სულით დამუხტული ყმაწვილი გისენში იწყებს აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. ლიბერალი მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც სიტყვისა და პრესის თავისუფლებას მოითხოვდნენ, ბიუჰნერი უპირველეს ამოცანად თვლის სოციალური უთანასწორობის მოსპობას. გისენში ბიუჰნერი უახლოვდება რადიკალურად განწყობილ სტუდენტებს და 1834 წელს ქმნის არალეგალურ ორგანიზაციას „ადამიანის უფლებათა საზოგადოებას“. ამ „საზოგადოების“ დაა-

ლებით წერს თავის ცნობილ პროკლამაციას „ჰესენელი მაცნე“, რომლითაც უფლებააყრილ თანამემამულეებს მოუწოდებს ბრძოლისაკენ. „ჰესენელი მაცნე“ არის მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი. პროკლამაცია იწყება მოწოდებით — „მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს!“ ავტორი მიმართავს ყველაზე დაბეჩავებულ ფენას, გლეხობას და უხსნის იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც ის იმყოფება და რაც ღმერთის ნება კი არა, მდიდრების სურვილია მხოლოდ. არსებული უსამართლო მდგომარეობის კონკრეტული სურათის საჩვენებლად ბიუხნერმა პირველმა გამოიყენა სოციალური სტატისტიკა. პროკლამაციიდან ვიგებთ, რომ ჰესენში ყოველწლიურად 700 000 კაცი სახელმწიფო წყობის შესანარჩუნებლად და ხალხის ზურგიდან აცლილ ტყავებში გამოწყობილი ჰერცოგისა და მისი ხელქვეითების გამოსაკვებად იხდის 6 000 000 გულდენს; შინაგან საქმეთა მინისტრებზე და იუსტიციაზე იხარჯება 1 110 607 გულდენი; გემთმშენებლობასა და საგამომძიებლო ორგანოებზე 461 373 გულდენი; სახელმწიფო მსახურების ფრაკების, ტროსტებისა და ხმლების შემკობა ჯდება 197 502 გულდენი; ფინანსთა სამინისტროს შესანახად იხარჯება 1 551 502 გულდენი; არმიას მიაქვს 914 820 გულდენი; ჰერცოგისა და მისი სასახლის კარის შენახვას სჭირდება 827 772 გულდენი და ა. შ. ასეთი ზუსტი მონაცემები მნიშვნელოვანი მასალაა თანამედროვე ისტორიკოსებისათვისაც.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გულდენები ხალხის საკუთრებაა და მას უსამართლოდ ითვისებენ მძარცველი სახელმწიფოს მოხელეები და მმართველები. ბიუხნერი „მაცნეში“ თანამიმდევრულად და ერთობ ხატოვნად აანალიზებს ორი სოციალური ფენის ერთმანეთისგან განსხვავებულ ყოფას და გერმანელ ხალხს მოუწოდებს ბრძოლისაკენ, საკუთარი უფლებების დასაცავად — აღსდექით თქვენი მჩაგვრელების დასამხობად, მართალია, ისინი იარაღით გაშინებენ, მაგრამ იცოდეთ, ვინც ხალხის წინააღმდეგ მახვილს აღმართავს, ხალხისავე მახვილით განიგმირება. გერმანია ახლა სასაფლაოა, მაგრამ მალე იქცევა სამოთხედ; გერმანია გვამია, ჰესენი კი მისი სხეულის ერთი ნაწილი; მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, ჯერ სხეულის რომელი ნაწილი გაცოცხლდება: ჰესენელებო, აღსდექით და მთელი სხეული თქვენ მოგყვებათ!

საიდუმლო ორგანიზაციის წევრებმა პროკლამაცია დაბეჭდეს და გაავრცელეს. პოლიციის ჯაშუშებმა მალე მიაგნეს ორგანიზაციის კვალს და რამდენიმე მისი წევრი დააპატიმრეს, „მაცნეს“ დიდი ნაწილი კი ხელთ იგდეს, ბევრმა შეშინებულმა გლეხმა თავისი ხელით ჩააბარა პროკლამაცია პოლიციას. „ფრანკფურტერ ცაიტშრიფტში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ გეორგ ბიუხნერი იყო საშიში სახელმწიფო დამნაშავე და ჟურნალი თხოვნით მიმართავდა ყველა მოქალაქეს, მონაწილეობა მიეღოთ ამ კაცის ძებნაში. იქვე მოცემული იყო მისი გარეგნობის დამახასიათებელი ნიშნები.

ასაკი: 21 წელი
სიმაღლე: 6 ფუტი, 9 დუიმი, ჰესენის ახალი ზომებით
თმა: ქერა
შუბლი: ძალიან მაღალი

თვალები: ნაცრისფერი
ცხვირი: სწორი
პირი: პატარა
წვერი: ქერა
ნიკაპი: მრგვალი
სახის ფორმა: ოვალური
სახის ფერი: ჯანმრთელი
აღნაგობა: მკვრივი, მაღალი
განსაკუთრებული ნიშნები: ახლომხედველი.

(ასე მარცხით დამთავრდა ბიუხნერის მიერ საფრანგეთის რევოლუციის იდეის განხორციელების ცდა ფეოდალური გერმანიის ერთ-ერთ საჰერცოგოში. ასეთ პირობებში მისი ამბოხი, რა თქმა უნდა, თავიდანვე განწირული იყო დასაღუპად.

სახელმწიფოს მიერ დევნილმა ბიუხნერმა მიატოვა გერმანია და თავი საფრანგეთს შეაფარა. მალე ის მიიწვიეს ციურიხის უნივერსიტეტში ანატომიის დოცენტად. 1837 წლის 19 თებერვალს მძიმედ დაავადებული მოულოდნელად გარდაიცვალა.

ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც ბიუხნერის სიცოცხლეში გამოქვეყნდა, იყო დრამა „დანტონის სიკვდილი". ამ დრამაზე მუშაობა მწერალმა დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც გისენში პოლიციამ მიაგნო სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციის კვალს და გეორგ ბიუხნერი დროებით მშობლიურ სახლს დაუბრუნდა. იგი დიდი ინტერესით სწავლობდა საფრანგეთის 1789—1794 წლების რევოლუციის ისტორიას და სურდა გარკვეულიყო იმ მიზეზებში, რამაც ხელი შეუშალა მის სრულ გამარჯვებას. სწორედ ესაა ამ დრამის ერთ-ერთი ძირითადი თემაც. პიესაში აღწერილია არა ჰეროიკული, გამარჯვების გზით მავალი რევოლუცია, არამედ სრული ქაოსი, დაბნეულობა და ოდესღაც ამოძრავებული მექანიზმის დაშლა... ამ მექანიზმის დაშლას კი ახლავს ურიცხვი მსხვერპლი და უბედურება. ამ თემის პარალელურად პიესაში ვითარდება მეორე ხაზიც, კერძოდ, დანტონის პიროვნების თემა, — დანტონი თავისი ცხოვრების ბოლო ეტაპზე. ცინიკური, აპათიური დანტონი სრული გულგრილობით შეჰყურებს მის წინ აღმართულ გილიოტინას. ალბათ დანტონის ასეთი განწყობილება არ იყო უცხო ახალგაზრდა ბიუხნერისათვის, რომელიც უეცრად აღმოჩნდა ისტორიის ფატალიზმის წინაშე და იძულებული გახდა უკან დაეხია.

თავის დრამაში „დანტონის სიკვდილი" ბიუხნერი მიუთითებს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ევროპის სულიერ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებზე. ეს ის პერიოდია, როცა იდეალიზმი კარგავს თავის ძალას და ჩნდება ახალი, მატერიალისტური შეხედულება ისტორიული პროცესების განვითარებაზე, იქმნება ლიტერატურისა და ხელოვნების შეფასების ახალი კრიტერიუმი.

ამ ხაზს ბიუხნერი აგრძელებს თავის მომდევნო ნოველაში „ლენცი". ეს ნაწარმოები მეტად თავისებური და საინტერესოა როგორც სტრუქტურულად, ასევე თემატურად. ნოველაში თითქოს მოქმედება კი არ ვითარდება; არამედ ერთ წრეშია მოქცეული და არც აქვს რაიმე რადიკალური ცვლილების პერსპექტივა. მოთხრობაში აღწერილი სამყარო და მოვლენები ნაწილობრივ დანახულია მისი მთავარი გმირის სულიერი პრიზმიდან, ანუ კაცის თვალით, რომელიც უკიდურესად დეპრესიულ

მდგომარეობაში იმყოფება. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კლასიკურ სტილს ნაჩვევი ლიტერატურისთვის ცოტა არ იყოს უცხოა ამ ტიპის ნოველა, რომელიც ერთი შეხედვით დიდი ნაწარმოების ფრაგმენტს უფრო ჰგავს. ამ მცდარ ილუზიას ქმნის ავტორის მიერ მწერალ ლენცის ბიოგრაფიიდან ამოღებული ერთი ეტაპი, სადაც მხოლოდ მინიშნებებით იგრძნობა, რომ ამ ცხოვრებას დასაწყისი და გაგრძელება უნდა ჰქონდეს. ბიუჰნერმა ამ ხერხს სრულიად შეგნებულად მიმართა, ალბათ იმიტომ, რომ ლენცის ცხოვრების ყველაზე მძიმე და ბნელით მოცულ პერიოდზე შექმნა თავისთავად დამოუკიდებელი, დასრულებელი სურათი.

როგორც უკვე ვთქვით, მოთხრობის მთავარი გმირია ცნობილი გერმანელი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი იაკობ მიხაელ რაინჰოლდ ლენცი. ამ უდავოდ ნიჭიერმა მწერალმა და პუბლიცისტმა თითქმის გოეთესთან ერთად დაიწყო თავისი შემოქმედებითი გზა, გოეთესთან ერთად იყო „Sturm und Drang"-ელთა აქტიური თანამოღვაწე, მაგრამ სწორედ გოეთესთან ჭიდილმა დაასვა მის ცხოვრებასა და შემოქმედებას არასასურველი დაღი. დასაწყისში თავად ჰერდერი, ლესინგი, კლოპშტოკი და ვილანდი ლენცს მუდამ გოეთესთან ერთად ასახელებდნენ და ერთხანს არსებობდა აზრი, გოეთე ტრაგედიის რეფორმატორია, ლენცი კი კომედიისო. მაგრამ, თანდათან სურათი შეიცვალა, გოეთე გამოიკვეთა როგორც ბუმბერაზი მწერალი და მოაზროვნე, ლენცი კი მასთან შედარებით ზედაპირული და არათანამიმდევრული აღმოჩნდა, ბევრი მისი ნაწარმოები გოეთეს მიბაძვითაა შექმნილი. ლენცი ხშირად უტოლებდა თავს გერმანული ლიტერატურის გენიას, რითაც საზოგადოების აღშფოთებასა და წყრომას იმსახურებდა. გოეთე სიყვარულშიც უფრო იღბლიანი იყო — ლენცის სატრფოების (ჯერ ფრედერიკე ბრიონი, მერე შარლოტე ფონ შტაინი) გულებიც ხომ გოეთეს ეკუთვნოდა. თავად გოეთე კი მუდამ შემწყნარებლურად უყურებდა ლენცს, მეგობრად თვლიდა და არაერთხელ მხარშიც ამოუდგომია.

იქნებ სწორედ სხვასთან შეჯიბრის გამო თავისი პოტენციალური მონაცემების გაფლანგვამ, საკუთარი ცხოვრებითა და შემოქმედებით უკმაყოფილებამ მიიყვანა ლენცი სულიერ აშლილობამდე. 1778 წლის 20 იანვარს მან მიატოვა თავისიანები და მთაში ერთ მივარდნილ სოფელს შეაფარა თავი. სწორედ ლენცის ცხოვრების ეს ეპიზოდი აღწერა ბიუჰნერმა თავის ნოველაში — ჭიდილი და ტანჯვა რეალური სამყაროდან „სიგიჟის უფსკრულისკენ" წაღებული კაცისა. მერე ლენცმა მიატოვა სამშობლო, ბევრი ხეტიალის შემდეგ მოხვდა რიგაში, ხოლო ბოლო თერთმეტი წელი კი ცხოვრობდა რუსეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც სრულიად ეული, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი და ყველასგან დავიწყებული. გოეთე თავის „პოეზიასა და სინამდვილეში" ამბობს, რომ ლენცი იყო ის მეტეორი, რომელმაც წამიერად გაიელვა გერმანული ლიტერატურის ჰორიზონტზე და ისე გაქრა, კვალიც არ დაუტოვებიაო.

აი, მოკლედ იმ კაცის ცხოვრება, ვისაც უძღვნა ახალგაზრდა ბიუჰნერმა თავისი ერთადერთი მოთხრობა, და ვინც თავისი კვალი, რა თქმა უნდა, დატოვა გერმანელ ლიტერატურაში, განსაკუთრებით თავისი თეორიული ნაშრომებით ლიტერატურასა და ესთეტიკაში.

როგორც ნაწარმოებიდან გარკვევით ჩანს, ბიუჰნერს ლენცი აინტერესებს არა

როგორც მწერალი, არამედ როგორც ადამიანი, თანაც ძალზე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი, რომელმაც მიატოვა ვაიმარის ჰერცოგის კარი, მეგობრები, ოჯახის წევრები და სოფელ ვალდბახში მცხოვრებ მოძღვარს შეეკედლა, რათა ბუნებასთან, რელიგიასთან და უბრალო, კეთილ ადამიანებთან ურთიერთობით მოეპოვებინა სულის სიმშვიდე. ლენცი განსაკუთრებული სიხარბით ებღაუჭება ბუნებას, რომანტიკოსების სიმშვიდისა და მოსვენების სავანეს. მაგრამ, ავტორი თითქოსდა ბუნების რომანტიული აღქმის უგულებელსაყოფად, ნოველის პირველივე გვერდიდან გვიჩვენებს არა ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ ერთიანობას, არამედ მათ გაუცხოებას. მთელი ნაწარმოების მანძილზე ლენცი ელტვის ბუნებას, სულიერი კრიზისის დროს შვების მოლოდინში ცდილობს მასთან შერწყმას, მაგრამ ქედიდური და გრანდიოზული ბუნება, მშვენიერი და სრულქმნილი, განზე დგას და სულაც არ ეხმიანება ლენცის სულიერ ტანჯვას. სასოწარკვეთილი ლენცი მიიწევს კეება მთებისკენ, დათოვლილი ტყეებისკენ, მაგრამ ამაოდ, ბუნება ფეხქვეშ უსხლტება. ბიუხნერისათვის ბუნება არის რაღაც სრულქმნილი, თავისთავადი, არსებობს თავისი კანონებით, ადამიანის ვნებათაღელვისგან დამოუკიდებლად, სრულიად გულგრილი მათი ტანჯვისადმი.

ლენცი რელიგიაშიც ეძებს შვებას. იგი საცხოვრებლად შემთხვევით არ ირჩევს მოძღვარ ობერლინის ოჯახს, კითხულობს სახარებას, მარხულობს, ადგილობრივ ეკლესიაში სწირავს და ამით თითქოს ჰპოვებს კიდეც სულის სიმშვიდეს. მაგრამ, ვაი, რომ ეს სიმშვიდე დროებითია. მალე იგი სოფელში მოწმე ხდება ერთი საშინელი სურათისა: „...მაგიდაზე, თივაში, პერანგის ამარა ბავშვი იწვა. ლენცი შეკრთა, როდესაც გაყინულ სხეულს შეეხო და ნახევრად ღია შუშის თვალებს წააწყდა". მისი სნეული სული ვერ უძლებს ამ სურათს და ლენცი უარყოფს ღმერთს, ამით იგი უარყოფს მთლიანად სამყაროს. და რადგანაც ხელმოსაჭიდი აღარაფერი რჩება, ნებდება სიგიჟის მორევს, რომელიც მას შთანთქავს. საოცრად მრავლისმეტყველია ნოველის დასასრული, სადაც ბედს ბრმად მინდობილი კაცი ეტლით მირახრახებს ოღროჩოღრო გზაზე და არ იცის რა წუთს გადაუბრუნდება ეტლი. „ასე ცხოვრობდაო", — ამბობს ბოლოს ავტორი და ამ სიტყვებში სრულად ჩანს ის ხვედრი, რომელიც თან ახლდა მისი ცხოვრების დარჩენილ პერიოდს.

ისტორიის ფატალიზმით იმედგაცრუებული ბიუხნერისთვის შეიძლება არც ძალიან უცხო იყო საქციელი იმ კაცისა, რომელმაც დემონსტრატიულად აქცია ზურგი ყველას და ყველაფერს. ალბათ ნაწილობრივ ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ სწორედ ლენცის ცხოვრების ფრაგმენტი აირჩია თავისი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად. ამ ნოველაში ყველაზე მკაფიოდ ჩანს ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი. თავის გმირთან ერთად იგი უარყოფს სამყაროს რომანტიკულ-იდეალისტურ აღქმას და რომანიულ ხელოვნებას, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება იყოს მშვენიერი, მაგრამ რჩება უსიცოცხლო და მიუკარებელი. „მე ხელოვნებას იმდენად ვაფასებ, რამდენადაც უფრო ახლოსაა იგი სინამდვილესთან. ამით იგი ჩემში ბუნების უშუალო განცდას იწვევს; სხვა დანარჩენი მხოლოდ მთრგუნავს. ამიტომაც იტალიურ მხატვრობაზე მეტად ჰოლანდიური ფერწერა მიტაცებს, ის ხომ გასაგებადაც უფრო მარტივია", — ამბობს ბიუხნერის გმირი და დასძენს, რომ ხელოვნების ერთადერთ საზომს უნდა წარმოადგენდეს რწმენა იმისა, რომ ადა-

მიანის ყველა ქმნილება ცოცხალია, მთავარია ხელოვანმა მოსმენა და დანახვა შეძლოს. ალბათ ბიუჰნერზეც შეიძლება ვთქვათ (ამჯერად ნაკლები სევდით): „იასე ცხოვრობდაო", ერთგული თავისი მრწამსისა და პრინციპებისა. ამის დამადასტურებელია თუნდაც მისი „ვოიცეკი", რომელიც არა ჰგავს არც ბელვედერელ აპოლონს და არც რაფაელის მადონას. ესაა „დედამიწის ზურგზე ყველაზე პროზაული არსება", ყოველგვარი ხატოვანების გარეშე ასე ცოცხლად რომ დაგვიხატა მწერალმა და დღემდე რომ ლიტერატორთა და ფართო მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა მივყვეთ გეორგ ბიუჰნერის სამწერლო გზას ქრონოლოგიურად და ჯერ ვისაუბროთ იმ უცნაურ, მისი შემოქმედებისთვის უჩვეულო პიესაზე. რომელსაც „ლეონსი და ლენა" ეწოდება. ერთი შეხედვით „ლეონსი და ლენა" არის საკმაოდ ბანალური, არაფრით გამორჩეული კომედია, რომლის მსგავსი ბიუჰნერამდე ბევრი დაწერილა. ამ პიესის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს მისი ცალკეული მონაკვეთი, ხასიათი, ფრაზა და სიუჟეტური ქარგა ძალზე ნაცნობი და გაცვეთილიც კი არის. მაგრამ ეს არ არის შემთხვევითი და სულაც არ მეტყველებს ნაწარმოების პლაგიატურობაზე. პიესაში „ლეონსი და ლენა" უამრავი პასაჟია აღებული ბრენტანოს, ჟან-პოლის, მიუსეს, ჰოფმანის, ტიკის, შექსპირის და სხვათა ნაწარმოებებიდან. ზოგი მათგანი თითქმის ზუსტად ემთხვევა პირველწყაროს. უთუოდ შევცდებით, ეს ფაქტი რომ მწერლის ხელმოცარულობას და შეზღუდულობას მივაწეროთ. ამ შემთხვევაში ბიუჰნერის მიერ იმ დროისათვის ძალზე პოპულარული და კარგად ნაცნობი ტექსტების გამოყენება უდავოდ თავისებური მწერლური ხერხია.

კომედიაში წარმოდგენილი ერთი ციცქნა სახელმწიფო, მისი ერთმანეთზე უფრო სულელი მკვიდრნი და ხელოვნური, ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებული კონფლიქტური სიტუაციები მისტიფიცირებულ თამაშს უფრო გვაგონებს, ვიდრე ცხოვრების კომიკური მხარეების გადმოცემას. ამ პიესაში მთავარია არა მოქმედების განვითარება და პერსონაჟების სახეების გახსნა, ან მწერლის ენა და სტილი, არამედ ის ძირითადი მოტივი, რის განვითარებასაც ემსახურება პიესის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხარე. ესაა ავტორის პოზიცია ხელოვნების მიმართ, რომლის გამოხატვა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ცნობილია, რომ იმ დროს რომანტიკოსთა უნიჭო მიმბაძველნი ქმნიდნენ ერთობ უხარისხო ნაწარმოებებს.

პიესა სიუჟეტურად ძალზე ჰგავს ბრენტანოს კომედიას „პონს დე ლეონსს" (გმირის სახელიც კი არ არის შეცვლილი), სადაც სასიყვარულო ინტრიგებით მოყირჭებული გმირი ბოლოს იპოვნის ნამდვილ სიყვარულს და მისი ცხოვრებაც აზრს შეიძენს. დაახლოებით იგივე სიტუაცია აქვს ბიუჰნერს უტრირებული და გამასხრებელი. პიესის მთავარი გმირი უფლისწული ლეონსი და მისი ენამახვილი მეგობარი ვალერიო ტიპური რომანტიკული გმირები არიან, — დაჯილდოებულნი ინტელექტითა და მოქნილი გონებით, ოცნების შეუდარებელი უნარითა და უქმად ყოფნის სურვილით. „მე გამაჩნია არაფრის კეთების უბადლო ნიჭი და სიზარმაცისადმი შეუდარებელი ერთგულება. ჩემი ხელები ჯერ იარას არ დაუმახინჯებია, დედამიწას ჩემი შუბლიდან მონადენი ოფლის ერთი წვეთიც არ დაპკურებია, საქმეში ქალწული ვარ", სიამაყით ამბობს ვალერიო და უფლისწულთან ერთად შორეულ მოგზაურობაზე ოცნებობს. ავტორი არც რომანტიკოსთა იტალიით გატაცებას ივიწყებს. იტალია ხომ მათი ოცნების ქვეყანა იყო, ქვეყანა, სადაც ტალღების დუდუნ-

ზე მთვლემარე ქმნილებებს ესიზმრებათ ჯადოქარი ვირგილიუსი და ჩირაღდნებითა და გიტარის ჰანგებით სავსე ველური ღამეები. თუმცა ამ უნდილ მეოცნებეებს თავიანთი სანუკვარი ოცნების განხორციელების უნარიც არა აქვთ და, მოგზაურობის სურვილით შეპყრობილი რაინდებისაგან განსხვავებით, პირველივე დუქანში ამოიყორავენ ხოლმე მუცლებს. კომედიის სტილიზებული გმირების ყოფა უკეთესობისკენ ცვლილების არავითარ იმედს არ იძლევა. მართალია, ლეონსი იპოვის ნამდვილ სიყვარულს, მაგრამ მისი მომავლის გეგმები მაინც უქმად ყოფნით, არაფრის კეთებითა და გართობით ამოიწურება.

რომანტიკული ქალიშვილის სტერეოტიპული სახეა მეფის ასული ლენაც. რომლის განწყობილება და აზროვნება ზუსტად ემთხვევა ენერგიადაცლილი უფლისწულის მისწრაფებებს. ბოლოს ავტორი იძლევა თავისი გმირების ობიექტურ შეფასებას და ორაზროვნად ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ ისინი მშვენიერები არიან, ჰათ ვერც აღზრდას დაუწუნებ, ვერც ქცევას და ვერც სიტყვა-პასუხს; მთელი უბედურება იმაშია, რომ ისინი არ არიან ცოცხალი ადამიანები, ბუნების ნამდვილი შვილები, ესენია ღილაკითა და ზამბარით ამოძრავებული მუყაოს თოჯინები. აი, ნოველაში წამოწყებული თემის გაგრძელება და ბიუჰნერის მიერ არაცოცხალი, ხელოვნურად გამოგონილი ხელოვნების დაგმობა. პიესის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია ლენას სიტყვები: „ვისხედით ბაღში წიგნებში თაეჩარგულები ოლეანდრებსა და მერტებს შორის და სამყარო, გალავანს იქით, სულ სხვანაირი გვეგონა“. მართლაც, პიესის გაზღაპრებული, შელოცვილი სამყაროს ჰუჰრუტანებიდან თითქოს მოჩანს ნამდვილი ცხოვრება, სადაც არ არიან არც მოხეტიალე უფლისწულები და არც ყოვლისშემძლე ჯადოქრები. ავტორის პოზიცია პიესის ეპიგრაფშივე ნათელია. ბიუჰნერი, იტალიელ მწერლებს, ალფიერისა და გოცის მიაწერს ორ შეკითხვას; პირველია „დიდება?“, მეორე — „შიმშილი?“. ეს ორი სიტყვა იწვევს ერთმანეთის საპირისპირო ასოციაციებს. დიდებით გამოწვეული აღმაფრენა იცვლება მიწიერი, ყველაზე უსიამოვნო შეგრძნებით. ასე ჩნდება შეკითხვა, რა უფრო მთავარია, დიდება თუ ყოველდღიური კუჭის პრობლემა, რომელიც ამ კომედია-ფანტაზიის მოქმედი გმირებისთვის უცხოა.

მწერლის სტილიც ასევე უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ პიესა ვარიაციაა რომანტიზმის თემაზე. რომანტიკოსებისთვის დამახასიათებელი მსჯელობა, მახვილგონივრული ენამზეობა კომედიაში ზედმეტადაა დახვავებული, ფუჰსიტყვაობის სახეს იღებს და ხაზს უსვამს პიესის გროტესკულ ხასიათს. „უფრო გაზრდაზე, ვიდრე აღზრდაზე. რას იზამ. მდგომარეობაში მოქმედებენ ჩვენს მდგომარეობაზე. დედაჩემის მდგომარეობაში ყოფნამ მძიმე მდგომარეობაში ჩამაგდო. რაც დედაჩემს ჩავესახე, კარგი არაფერი დამსახვია“ — ამბობს ვალერიო. ასეთი სიტყვათა თამაში პიესაში ძალზე ხშირად გვხვდება.

გეორგ ბიუჰნერი თვად რომანტიზმს კი არ უარყოფდა, იგი იბრძოდა თავის არარომანტიკულ ეპოქაში რომანტიკული ფორმების ხელოვნურად შენარჩუნების წინააღმდეგ. განა სწორედ რომანტიკის მამამთავარმა ლუდვიგ ტიკმა არ თქვა: თუ რომელიმე სკოლა დიდი ხნის განმავლობაში გაბატონდა, მაშინ ძალაუფლებას ხელში იღებენ მხოლოდ მისი შიშველი ფრაზები და დაშტამპული აზრებიო? სწორედ ასეთი დაშტამპული ფრაზებისა და აზრების წინააღმდეგ იყო ბიუჰნერიც. ამიტო-

ტაც. მისი კომედიის მთავარი გმირია ხელოვნება და არა ლეონსი, ან კიდევ ლენა. მთელი პიესა ავტორის იმ შეხედულებების დემონსტრირებაა, რომელიც მას ჰქონდა არანამდვილ, ილუზორულ, არაცოცხალ, ზამბარითა და ღილაკით ამოძრავებულ ხელოვნებაზე.

ბიუჰნერის უკანასკნელი ნაწარმოებია პიესა „ვოიცეკი“, რომლის გაბნეული გვერდები ავტორის სიკვდილის შემდეგ მისმა მეგობრებმა შეკრიბეს, სისტემაში მოიყვანეს და 1879 წელს გამოსცეს. პიესის სიუჟეტს მწერალმა ნამდვილი ამბავი დაუდო საფუძვლად: 1824 წელს ლაიფციგში დალაქმა იოჰან ქრისტიან ვოიცეკმა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა თავისი შეყვარებული. ვოიცეკი მართლმსაჯულებამ სიკვდილით დასაჯა. ამ ამბის გარშემო დიდხანს გაგრძელდა კამათი, რადგანაც ექიმებს განაჩენი არ მიაჩნდათ სამართლიანად, ისინი ვოიცეკს არ თვლიდნენ ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანად.

აი, ვინ არის ბიუჰნერის პიესის გმირი: ეს კაცი არც მწერლის ფანტაზიის ნაყოფია ლეონსივით, და არც ისტორიის წარსულიდან გაცოცხლებული, ლეგენდებით მოცული დანტონი ან დავიწყებას მიცემული ლენცი. ეს არის ბიუჰნერის თანამედროვე ცოცხალი ადამიანი, რომლისნაირებთანაც მწერალს ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა. „ერთხელ უნდა სცადო კაცმა ყველაზე მცირე და უმნიშვნელო არსების სულში ჩაწვდომა“ — ამბობს ნოველაში ლენცი და ბიუჰნერი კი ახორციელებს „ვოიცეკში“. მისი გმირი „საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი“ რიგითი ჯარისკაცი, ყველასგან გარიყული და აბუჩად აგდებული, კლავს თავისი ცხოვრების ერთადერთ იმედს, ერთადერთ ნათელ წერტილს, თავის სატრფო მარის. მართალია, პიესა მოულოდნელად წყდება და მკითხველი ვერ იგებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაგრამ თავად ავტორის პოზიცია სრულიად ნათელია; მას ეს ნაბიჯი კანონზომიერად მიაჩნია, იმიტომ, რომ მკვლელობა ჩაიდინა საზოგადოების მიერ ფიზიკურად და სულიერად გათელილმა კაცმა, რომელიც მეოცნებე უფლისწულისაგან განსხვავებით, ილუზიების გარეშე შეჰყურებს დაუნდობელ ცხოვრებას.

ვოიცეკი ფიზიკურად აბსოლუტურად დამორჩილებია თავის დამთრგუნველ ძალას, იგი კაპიტნის ყურმოჭრილი მონაა; აგერ, რამდენი თვეა მუხუდოს მეტი არა უჭამია რა, ეს კი ექიმის სურვილია; მაგრამ, პირუტყვული ყოფა მასში ვერ სპობს ადამიანს, არც ერთი მისი ნაბიჯი არ არის მექანიკური და გაუთვითცნობიერებელი. ზედმეტი გასამრჯელოს იმედით იგი შეგნებულად ხუჭავს თვალს ყველა დამცირებაზე და ეს ძვირად მოპოვებული გასამრჯელოც მარისა და ბავშვისთვის მიაქვს. ვოიცეკი საკმაოდ სწორად აფასებს მოვლენებს და კაპიტანს ირონიულად მიუგებს: „ბატონო კაპიტანო, თავად ღმერთმა შეგვქმნა ასეთი უბეიროები, აბა წესიერებას ჩვენთან რა ხელი აქვს. აი, დარბაისელი ბატონი რომ ვიყო, ქუდი რომ მეხუროს და ჯიბეში საათი მედოს, ფრაკი რომ მეცვას და კარგი სიტყვა-პასუხი მქონდეს, მაშინ მეც ვიქნებოდი წესიერი. მე კი ერთი საწყალი კაცი ვარ...“ ვოიცეკი დანას არ აღმართავს თავისი უშუალო მტრის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ეს მტერი ურიცხვია, ერთი დიდი სისტემაა და ვოიცეკს მისი მომრევი ძალა არ გააჩნია; იგი კლავს სწორედ თავისნაირ უსუსურ ადამიანს; ასეთ ნაბიჯს, რა თქმა უნდა, გარდა სოციალურისა, არაერთი ფსიქოლოგიური მოტივი აქვს.

ბიუხნერი ამ დრამაში ხაზს უსვამს მისთვის ყველაზე აქტუალურ თემას, — ესაა ბუნებრივისა და ხელოვნურის დაპირისპირება. კაპიტნისა და ექიმის მაღალფარდოვან, უაზროდ გაბუქებულ და გაუგებარ სჯა-ბაასს უპირისპირდება ვოიცეკის გულწრფელი ნათქვამი: „კი მაგრამ, ბუნება ხომ თავისას შვრებაო...“ მართალია, ვოიცეკი ვერ იძლევა ბუნების განსაზღვრებას, მაგრამ ავტორი თვლის, რომ მისი მოქმედება ბუნების კანონზომიერი პროდუქტია. თუკი ბუნებრივია, რომ მარის და ვოიცეკს სიღარიბის გამო ჯვრის დაწერა არ შეუძლიათ, რომ გაბღენძილი ბატონები ვოიცეკს ყველა დამცირებასთან ერთად მესამე პირში მიმართავენ, მაშინ რად არაა ბუნებრივი, რომ სასოწარკვეთილმა კაცმა დანაშაული ჩაიდინოს?

ეს წმინდად სოციალური დრამა (თუმცა ეკზისტენციალისტები მას საერთოდ ადამიანის არსებობის ტრაგედიად აღიქვამდნენ) „ჰესენელი მაცნეს“ მხატვრული ვარიანტია, სადაც ავტორი უკიდურესი გულისტკივილით აღწერს მდაბიოთა ყოფას.

ამ პიესას „დაუმთავრებელი“ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს. მართალია, ნაწარმოების უკანასკნელი სცენა შუაში წყდება, მაგრამ „ვოიცეკი“ მხოლოდ პრაქტიკულადაა დაუმთავრებელი. სინამდვილეში ესაა იდეურად და თემატურად დასრულებული ნაწარმოები. „ვოიცეკის“ დასასრული უფრო ხშირად შემდეგი ვარიანტით იბეჭდება; ხალხს წყლიდან რაღაც უსიამოვნო ხმები ესმის და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანის ძებნისას ვოიცეკი დაიხრჩო; ამ შემთხვევაში პიესას აშკარად დასრულებული სახე აქვს. მაგრამ არსებობს მომდევნო დაუმთავრებელი თავი, სადაც ვოიცეკი სასამართლოს მოხელეებს შორისაა და ეჭვგარეშეა, რომ შენდობას არც ამჯერად ელის. აქ პიესა შუა სიტყვაზე წყდება. თუმცა მისი სავალალო დასასრულის გამოცნობა ძნელი არ არის. მით უმეტეს, რომ ვოიცეკის პროტოტიპის ბედი ცნობილია.

გეორგ ბიუხნერი თავის თანამედროვეებს შორის არ სარგებლობდა ისეთი პოპულარობით, როგორც მერე, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა (ნატურალიზმი, ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ეკზისტენციალიზმი და ა. შ.) წარმომადგენლებმა მის შემოქმედებაში აღმოაჩინეს სამყაროს ის ესთეტიკური აღქმა, რომელიც ზუსტად ეხმიანებოდა მათ მსოფლმხედველობას. ბიუხნერის პიესები იდგმებოდა და დღესაც იდგმება ევროპის სხვადასხვა სცენაზე. პიესა „ვოიცეკს“ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ალბან ბერგის ამავე სახელწოდების ოპერამ, რომელიც გერმანიაში დაიდგა 1925 წელს, ლენინგრადში კი 1927 წელს. ბიუხნერის „ლენცს“ ახლაც ჰყავს მიმდევრები. ადამიანის შინაგანი სამყაროს ბიუხნერისეული გახსნა დღესაც დიდ ინტერესს იწვევს გერმანელ მწერლებსა და ლიტერატორებში. თანამედროვე გერმანელი მწერლების პ. შნაიდერის „ლენცი“, ჰ. კიპჰარდტის „მერცი“, მ. ვალზერის „გალისტლისეული სენი“ და სხვ. რომანები შექმნილია ზოგი ბიუხნერის ნოველაზე უშუალო დაყრდნობით, ზოგიც მის ტრანსფორმირებულ ვარიანტს წარმოადგენს. გერმანიასა და გერმანულენოვან ქვეყნებში არცთუ იშვიათად მიმართავენ ბიუხნერის პიესებს თეატრსა და კინოში ასამეტყველებლად. ბიუხნერის ცხოვრებაზე შექმნილია არაერთი ფილმი და პიესა.

საუკუნენახევარი ცოტა დრო როდია გამოსაცდელად. ახლა შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ გეორგ ბიუხნერი გერმანული ლიტერატურის ისტორიაში არის

ერთი დამოუკიდებელი, შეუცვლელი ეტაპი. ბიუხნერის შემოქმედების დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ გეორგ ჰერვეგმა აღნიშნა და 1841 წელს ახალგაზრდა მწერალს შესანიშნავი ოდა უძღვნა. ბიუხნერის საფლავზე, ციურიხში, სწორედ ჰერვეგის სიტყვებია ამოტვიფრული:

ის საფლავში ჩავიდა შეწყვეტილ სიმღერად
და თან ჩაიტანა სტროფთაგან საუკეთესო.

**წინასიტყვაობა და თარგმანი მარიამ ბარამიძისა.**

# ლეონსი
# და
# ლენა

Alfieri: „E la Fama?“[1]
Gozzi: „E la Fame?“[2]

# მოქმედი პირნი

| | |
|---|---|
| პეტერი | პოპოს ქვეყნის მეფე |
| უფლისწული ლეონსი | პეტერის ვაჟი |
| ლენა | პიპის ქვეყნის მეფის ასული, ლეონის საცოლე |
| ვალერიო | |
| ალმზრდელი | |
| სასახლის საქმეთა მმართველი | |
| ცერემონმაისტერი | |
| სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტი | |
| სამეფო კარის ხუცესი | |
| მრჩეველი | |
| მასწავლებელი | |
| როზეტა | |
| მსახურები, სახელმწიფო საბჭოს წევრები, გლეხები და სხვანი | |

---

1 ალფიერი: „დიდება?“
2 გოცი: „შიმშილი?“ (იტალ.)

## პირველი მოქმედება

ოი, მასხარავ, დიდებულო, სწორუპოვარო!
ჭრელ-ჭრულ მოსასხამს ქვეყნად აბა რა დაედაროს.

შ ე ქ ს პ ი რ ი

### პირველი სურათი

**ბაღი**

(ლეონსი, მერხზე მხართეძოზე წამოწოლილი. სასახლის საქმეთა მმართველი.)

ლ ე ო ნ ს ი. ბატონო ჩემო, რა გინდათ ჩემგან? საუფლისწულო ხელობისთვის მამზადებთ? ისედაც იმდენი საქმე მაქვს, რომელ ერთს ვეტაკო არ ვიცი. — აი ნახეთ, ჯერ ამ ქვას უნდა დავაფურთხო სამასსამოცდახუთჯერ, თუ გიცდიათ ოდესმე? სცადეთ, მშვენიერი თავშესაქცევია, მერე — ერთი ამ ქვიშას შეხედეთ (მუჭით იღებს ქვიშას, ჰაერში ყრის და ხელის ზურგს უშვერს). ახლა ისევ ავყრი, აბა დამენიძლავეთ, ქვიშის რამდენი მარცვალი მაქვს ხელზე. ლუწი რიცხვია თუ კენტი? რაო? დანიძლავება არა გსურთ? ურჯულო ხომ არა ხართ? ღმერთი არა გწამთ? მე ხან საკუთარ თავს ვენიძლავები, ხშირად ზედიზედ რამდენიმე დღე ამით ვარ დაკავებული. ძალზე დამავალებთ, სადმე კაცს თუ მიპოვით, ხანდახან მაინც რომ დამენიძლაოს ხოლმე. ჰო, კიდევ ისა მაქვს საფიქრალი, როგორ დავხე-

დო ჩემს თავს ზევიდან. ეჰ, ერთი ეგ შემაძლებინა! აი მაშინ კი მეშველებოდა, ეგეც ერთ-ერთი ჩემი ოცნებათაგანია. მერე? მერე კიდევ რამდენი რამ, ახლაც იტყვით, უქნარაო? საქმის მეტი რა მაქვს! დიახ, სამწუხაროა, რომ...

ს ა ქ მ ე თ ა  მ მ ა რ თ ვ ე ლ ი. დიდად სამწუხაროა, თქვენო აღმატებულებავ.

ლ ე ო ნ ს ი. აი, უკვე სამი კვირაა, ღრუბლები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიცურავენ. ამის შემყურეს მელანქოლია მიპყრობს.

ს ა ქ მ ე თ ა  მ მ ა რ თ ვ ე ლ ი. მართლაც რომ ჭეშმარიტი მიზეზი გახლავთ მელანქოლიისათვის.

ლ ე ო ნ ს ი. კაცო, ყველაფერზე თანხმობა მე არ გამიგია! თუმცა, მგონი გადაუდებელი საქმეები გაქვთ, არა? ძალიან ვწუხვარ ამდენ ხანს რომ მოგაცდინეთ (საქმეთა მმართველი მდაბლად უკრავს თავს და გადის.) ბატონო ჩემო, გიქებთ ფეხების დაბრეცილობას რევერანსის დროს.

ლეონსი (მარტო, გაიშოტება მერხზე). ფუტკრები ზანტად ახვედან ყვავილებს, მზის სხივიც ულმობლად გართხმულა მიწაზე. რა აუტანელი სიზარმაცეა ირგვლივ. სიზარმაცე ხომ ყველა ბოროტების სათავეა. ადამიანი რას აღარ სჩადის უსაქმურობის ჟამს: სწავლობს, ლოცულობს, უყვარს, ქორწინდება და მრავლდება, ბოლოს უსაქმოდ ყოფნის გამო კვდება კიდეც, სასაცილო კი ის არის, რომ ყველაფერს მეტად საქმიანი გამომეტყველებით ეკიდება, თუმცა არც კი იცის, რატომ, და უფალმა უწყის, ამ დროს რას აღარ წარმოიდგენს. ყველა გმირი, გენიოსი, სულელი და წმინდანი, ცოდვილი თუ ოჯახის მამა, რაფინირებული მუქთახორაა და სხვა არაფერი. აბა რა ხელს მაძლევს ამეების ცოდნა?! ნეტა მეც შემეძლოს გავიბლინძო, გაქუცულ თოჯინას ფრაკი ჩავაცვა, ხელში ქოლგა დავაჭერინო და წესიერ, მორალურ და სასარგებლო არსებად ვაქციო. როგორ მშურს იმ კაცის, ახლა ცხვირწინ რომ ჩამიარა, შურისაგან ერთი გემოზე მოვეთეთქვავდი; სხვა ვინმედ გადაქცევა მაინც შემეძლოს, თუნდაც ერთი წუთით (შემოდის შეზარხოშებული ვალერიო.) როგორ გარბის ის კაცი. ჩემთვის კი დედამიწის ზურგზე ისეთი არაფერი არსებობს, გადაქცევა რომ მაიძულოს.

ვ ა ლ ე რ ი ო (უფლისწულთან ახლოს მიდის, თითს ცხვირზე იდებს და თვალებში აშტერდება). დიახ!

ლ ე ო ნ ს ი (იგივეს იმეორებს). სწორია!

ვ ა ლ ე რ ი ო. ხომ გამიგეთ?

ლ ე ო ნ სი. მშვენივრად!

ვ ა ლ ე რ ი ო. მაშ ახლა სხვა რამეზე ვისაუბროთ (წვება ბაღახში.) მე ამასობაში ბაღახში ჩავწვები, ცხვირს ღეროებს შორის გადავფუ-რჩქნი, ისე, რომ ფუტკრებსა და პეპლებს ჩემი ცხვირი ვარდი ეგო-ნოთ და ზედ იჯანონ, მე კი რომანტიულ შეგრძნებებს მივეცემი.

ლ ე ო ნ ს ი. ძვირფასო, მხოლოდ აგრე ძლიერ ნუ იქშენ, თორემ ყვავილე-ბიდან ყველაფერს შეისრუტავ და ფუტკრები და პეპლები მშივრები დაგვრჩებიან.

ვ ა ლ ე რ ი ო. ოჰ, ბატონო, რომ იცოდეთ როგორ ვგრძნობ ბუნებას. ბა-ლახი ისე ბიბინებს, კაცი ინატრებს, ნეტავი ვირად მაქცია, ერთი გემოზე მომაძოვინა და მერე ისევ ადამიანი გამხადა, რომ ამ ბა-ლახით გამძღარი ვირი შევახრამუნოო.

ლ ე ო ნ ს ი. ბედკრულო, შენც იდეალს ხომ არ ეპოტინები?

ვ ა ლ ე რ ი ო. განა საცოდაობა არ არის, რომ ვერცერთი კოშკიდან ვერ გადმოხტები, რომ კისერი არ მოიტეხო. ოთხი ფუთი აღუ-ბალი ქვებთან ერთად ისე ვერ გიჭამია, რომ მუცლის გვრემამ არ შეგაწუხოს; მერწმუნეთ, ბატონო, შემიძლია ერთ კუთხეში მი-ვიყუჟო და ვიმღერო: „კედელზე ზის ბუზია, ბუზია, ბუზია"! ვიმღე-რო თუნდ სიცოცხლის ბოლომდე.

ლ ე ო ნ ს ი. მორჩი ერთი მაგ სიმღერას, თორემ გააგიჟებ კაცს და ეგ არის.

ვ ა ლ ე რ ი ო. ჰოდა, იმ კაცს სახელი მაინც ერქმევა, გიჟიაო, იტყვიან. ვცვლი საკუთარ გონიერებას სხვის სისულელეზე!

— ეჰეი, მე გახლავართ ალექსანდრე მაკედონელი. მზე ოქროს გვი-რგვინს მადგამს თავზე. დახეთ, როგორ დაპლაპებს ჩემი აბჯარი. ბატონო გენერალისიმუსო კალიავ, დარაზმეთ ჯარი! ბატონო ფი-ნანსთა მინისტრო ობობავ, ფული მჭირდება! საყვარელო სეფექა-ლო ჭრიჭინა, ჩემი ერთგული მეუღლე სარისლობიო რასა იქმს? აა, ჩემო ძვირფასო ექიმო მუწუკისმაღამოვ, ჩემს ბედნიერებას მხო-ლოდ ტახტის მემკვიდრელა აკლია! აი, ასეთი ზღაპრული ოცნებების წიდ მივიღებ გემრიელ წვნიანს, კარგ ხორცს, პურსა და რბილ სა-წოლს, თმასაც კი უფასოდ შემკრეჭენ საგიჟეთში, რა თქმა უნდა. ახლა კი ჩემი ჯანმრთელი გონებით დიდი-დიდი ალუბლის ხეს და-

ვუდგე მოჯამაგირედ და მისი ნაყოფის დროულ მომწიფებაზე ვიზრუნო, რომ, მერე....

დ ე ო ნ ს ი. რომ შენი დაკონკილი შარვლის შემყურე ალუბლები სირცხვილისგან გააწითლო. კი მაგრამ, ძვირფასო, შენი ხელობა, მდგომარეობა, უნარი?

ვ ა ლ ე რ ი ო (ღირსეულად). ბატონო ჩემო, მე მაქვს უქმად ყოფნის წმიდათაწმიდა მოვალეობა. მე გამაჩნია არაფრის კეთების უბადლო ნიჭი და სიზარმაცისადმი შეუდარებელი ერთგულება. ჩემი ხელები ჯერ იარას არ დაუმახინჯებია, დედამიწას ჩემი შუბლიდან მონადენი ოფლის ერთი წვეთიც არ დაპკურებია, საქმეში ქადწუდი ვარ და სიზარმაცე რომ არა, ცოტა მეტად გავირჯებოდი და უფრო ვრცლად მოგახსენებდით ამ დამსახურებათა შესახებ.

დ ე ო ნ ს ი (მოჩვენებითი ენთუზიაზმით). მოდი, გულში ჩაგიკრა. ნუთუ შენ იმ ღმერთთაგანი ხარ, ვინც უზრუნველად მიაბიჯებს ოფლითა და მტვერით გაპოხილ ცხოვრების გზაზე და სხივოსანი ტერფებითა და მოელვარე სხეულით წმინდა ღვთაებასავით ადის ოლიმპოზე. მოდი! მოდი!

ვ ა ლ ე რ ი ო (სიმღერით). კედელზე ზის ბუზია, ბუზია, ბუზია.

(გადიან ხელიხელგადახვეულნი).

## მ ე ო რ ე ს უ რ ა თ ი

(მეფე პეტერს აცმევს ორი პირისფარეში)

პ ე ტ ე რ ი (თან აცმევენ). ადამიანმა უნდა იაზროვნოს, მე კი ჩემი ქვეშევრდომების მაგივრადაც უნდა ვიაზროვნო, იმიტომ, რომ ისინი არ აზროვნებენ, სულ არ აზროვნებენ. — სუბსტანცია არის შენში, ეს მე ვარ (თითქმის დედიშობილა დარბის ოთახში). შეიგნეთ? შენში, არის შენში, ხომ გაიგეთ? ამას მოჰყვება ატრიბუტები, მოდიფიკაციები, აფექციები და აქციდენციები, სად არის ჩემი პერანგი, შარვალი? — მოიცათ, ფუი! ნებაყოფლობა სულ გალეულია! სად არის მორალი, მანჟეტები? ასე სამარცხვინოდ რამ არია კატეგორიები: ორი ღილი ზედმეტადაა შეკრული, რა უნდა სათუთუნეს მარჯვენა ჯიბეში, მთელი ჩემი სისტემა დაიმსხვრა და

ეგ არის. ცხვირსახოცში ლილი რაღას უნდა ნიშნავდეს? ბიჭო, რას ნიშნავს ეს ლილი, რა უნდა გამხსენებოდა?

პ ი რ ვ ე ლ ი  პ ი რ ი ს ფ ა რ ე შ ი. როდესაც თქვენმა უდიდებულესობამ ცხვირსახოცში ლილი ჩადო, მას სურდა...

პ ე ტ ე რ ი. რა?

პ ი რ ვ ე ლ ი  პ ი რ ი ს ფ ა რ ე შ ი. რომ რაღაც გახსენებოდა.

პ ე ტ ე რ ი. ეი, შენ, რას ამბობს ეს კაცი.

მ ე ო რ ე  პ ი რ ი ს ფ ა რ ე შ ი. თქვენმა უდიდებულესობამ ლილი ცხვირსახოცში იმიტომ ჩადო, რომ რაღაც გახსენებოდა.

პ ე ტ ე რ ი (აქეთ-იქით აწყდება). რაო, რაო? ეს ხალხი გადამრევს. ტვინი ამირიეს! რა ვქნა ახლა?! (შემოდის მსახური.)

მ ს ა ხ უ რ ი. თქვენო უდიდებულესობავ, სახელმწიფო საბჭო შეიკრიბა.

პ ე ტ ე რ ი (გახარებული). ჰოო, გამახსენდა — ჩემი ხალხი უნდა გამხსენებოდა. შემობრძანდით ბატონებო! მწყობრად იარეთ. აღბათ გცხელათ, არა? თქვენც ამოიღეთ ცხვირსახოცები და მოიწმინდეთ ოფლი! საჯარო გამოსვლებისას მუდამ ძალიან ვღელავ.

(მსახურები გადიან. მეფე პეტერი, სახელმწიფო საბჭო.)

პ ე ტ ე რ ი. ჩემო ძვირფასებო და ერთგულებო, მინდა მოგახსენოთ, რომა, მსურს მოგახსენოთ რომა, — ჩემი ვაჟი ან მოიყვანს ცოლს, ან არა (თითს ცხვირზე იდებს), ან ჰო, ან არა! — ხომ გესმით? მესამე ვარიანტი არ არსებობს. ადამიანმა უნდა იაზროვნოს (ერთხანს დაფიქრებული დგას), როდესაც ხმამაღლა ვლაპარაკობ, ველარ ვგრძნობ, მე ვლაპარაკობ თუ სხვა ვინმე, ეგ არის რომ მაშინებს (ხანგრძლივი ფიქრის მერე.) მე მე ვარ. თქვენ რა აზრისა ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი (მედიდური სიდინჯით). თქვენო უდიდებულესობავ, შეიძლება ეგრეა, შეიძლება არც არის ეგრე.

მ თ ე ლ ი  ს ა ბ ჭ ო (ერთხმად). დიახ, შეიძლება ეგრეა, შეიძლება არც არის ეგრე.

პ ე ტ ე რ ი (აღელვებული). ო, ჩემო ბრძენკაცებო! — ჰოო, რას ვამბობდი? რაზე ვმსჯელობდით? პრეზიდენტო, ასეთ საზეიმო ვითარებაში რად ღალატობთ მეხსიერება? სხდომას გადადებულად ვაცხადებ (თავმომწონედ გადის, სახელმწიფო საბჭო უკან მიჰყვება).

## მ ე ს ა მ ე  ს უ რ ა თ ი

(სანთლებით განათებული მდიდრული დარბაზი.
ლეონსი და რამდენიმე მსახური)

ლ ე ო ნ ს ი. ყველა დარაბა ჩარაზულია? სანთლები აანთეთ! შორს ჩვენგან დღე! მე ღამეს ვუხმობ, ღრმა ღვთაებრივ ღამეს. ბროლის ზარებიანი ლამპები ოლეანდრებს შორის დადგით ისე, რომ გოგოს თვალებივით მეოცნებედ ანათონ ფოთოლთა წამწამებიდან, ვარდები აქეთ მოსწით, რომ ღვინო გვირგვინზე ცვარად ეპკუროს. მუსიკა! ვიოლინოები სადაა? სად არის როზეტა? — გასწით! ყველანი გადით!

(მსახურები გადიან. ლეონსი ტახტზე წამოწვება.
შემოდის კოხტად ჩაცმული როზეტა. შორიდან ისმის მუსიკა.)

რ ო ზ ე ტ ა (კეკლუცად უახლოვდება). ლეონს?

ლ ე ო ნ ს ი. როზეტა!

რ ო ზ ე ტ ა. ლეონს!

ლ ე ო ნ ს ი. როზეტა!

რ ო ზ ე ტ ა. ბაგე დაგმძიმებია, ნუთუ კოცნისგან?

ლ ე ო ნ ს ი. არა, მთქნარებისგან.

რ ო ზ ე ტ ა. ოო!

ლ ე ო ნ ს ი. როზეტა, საძაგელი საქმე მაკისრია.

რ ო ზ ე ტ ა. მაინც რა?

ლ ე ო ნ ს ი. არაფრის კეთება...

რ ო ზ ე ტ ა. გარდა სიყვარულისა?

ლ ე ო ნ ს ი. ეგეც საქმეა!

რ ო ზ ე ტ ა (განაწყენებული). ლეონს!

ლ ე ო ნ ს ი. მაშინ საზრუნავი...

რ ო ზ ე ტ ა. ანდა უსაქმურობა.

ლ ე ო ნ ს ი. სწორი ხარ, როგორც ყოველთვის, ჭკვიანი გოგო ხარ და კაფასებ კიდეც შენს გამჭრიახობას.

რ ო ზ ე ტ ა. მოწყენილობისაა, რომ გიყვარვარ?

ლ ე ო ნ ს ი. არა, შენ რომ მიყვარხარ, იმიტომ ვარ მოწყენილი, მაგრამ ეს ჩემი მოწყენა შენსავით ძლიერ მიყვარს. თქვენ ერთნი ხართ

O dolce far niente![1] შენი თვალები ღრმა, ჯადოსნურ ნაკადულებად მეზმანებიან. შენი ბაგეთა ალერსი ტალღების ღუღუნივით მანანავებს. (ეხვევა.) მოდი, ძვირფასო მოწყენავ, შენი კოცნა ვნებიანი მთქნარებაა, ეგ ნაბიჯები კი უფაქიზესი პიატუსი.

როზეტა. გიყვარვარ ლეონს!

ლეონსი. მაშ!

როზეტა. სამუდამოდ?

ლეონსი. სამუდამოდ — გრძელი სიტყვაა! ხუთი ათასი წელი და შვიდი თვე რომ მიყვარდე, განა საკმარისი არ არის? მართალია, სამუდამოსთან შედარებით ცოტა დროა, მაგრამ ჩვენს სიყვარულს მაინც ეყოფა.

როზეტა. ან დროს ეყოფა ჩვენი სიყვარული.

ლეონსი. ან სიყვარული იმყოფინებს დროს. იცეკვე როზეტა, იცეკვე, რომ დრომ შენი კოხტა ფეხების რიტმით იაროს.

როზეტა. ამ ფეხებს დროდან გამოხვლა უფრო გაახარებდათ (ცეკვავს და მღერის.)

რა სჯობს, სიმშვიდე ჰპოვოთ მიწაში,
ჭრელ ფეხსამოსში გამოწყობილნო,
თუ ამჯობინებთ სიმშვიდეს ცეკვას,
როკვით დამშვრალო ფეხებო ღლილნო.

ჩემო ლაწვებო, ალანძულებო,
რა სჯობს, ამბორით გახურდეთ მარდად,
თუ გსურთ, რომ თქვენი მშვენება ლალი
გადაიფურჩქნოს ორ დიდ თეთრ ვარდად.

რა სჯობს, გაექცეთ საშინელ ტკივილს,
მშვიდად იძინოთ ჩემო თვალებო,
თუ სანთლის შუქზე ცეცხლად აენთოთ,
ჩემო ხაბრალო სევდის ალებო.

ლეონსი (თავისთვის მეოცნებედ). მომაკვდავი სიყვარული ახლადშო-

---

[1] ო, მშვენიერო უსაქმურობავ (იტალ.).

ბილზე უფრო ტკბილია. მე რომაელი ვარ. ჩემს ზღაპრულ პურმარილს აგვირგვინებს ჩაროზად მორთმეული ოქროს თევზების მომაკვდავ ფერთა ციცლიცი... აი, შეფაკლული ლაწვები უფერმკრთალდება, თვალები ჩუმად ქრებიან. დუნედ მიმოდიან მისი სხეულის ტალღები. მშვიდობით, მშვიდობით სიყვარულო, აწი შენი გვამი მეყვარება (როზეტა კვლავ უახლოვდება). ცრემლი, როზეტა? ტირილის ცოდნა მშვენიერი ეპიკურეიზმია. მზეში დადექი, რომ ღვთაებრივი წვეთები დაკრისტალდნენ და ძვირფას ბრილიანტებად იქცნენ. მერე ყელზე შეიბამ მძივად.

როზეტა. ფუი, ბრილიანტი ხომ თვალს მჭრის. აჰ, ლეონს (უნდა მოეხვიოს.)

ლეონსი. ფრთხილად, თავი! ამ თავში ხომ ჩვენი სიყვარული მარხია. აბა ჩემს თვალთა სარკმელში შემოიხედე! ხედავ, რა ლამაზად განისვენებს საწყალი? ლაწვებზე ორი თეთრი ვარდი აქვს, ორი წითელიც — მკერდზე. არ დამეჯახო, ციცქნა მკლავი რომ მოსტყდეს, ცოდო არ იქნება? თავი ისე შეურხევლად უნდა მედოს მხრებზე, როგორც ქალს მიაქვს ბავშვის კუბო.

როზეტა (ხუმრობით). სულელო!

ლეონსი. როზეტა (როზეტა ეჭყანება.) მადლობა ღმერთს (თვალებს ხუჭავს.)

როზეტა (შეშინებული). ლეონს, შემომხედე!

ლეონსი. ვერ მოგართვით!

როზეტა. ერთი წუთით!

ლეონსი. არც ერთით. შენ რა გგონია, ცოტაც და ჩემი სიყვარული შეიძლება ისევ გაცოცხლდეს. დავმარხე და მიხარია. ამ გრძნობას უნდა ვუერთგულო.

როზეტა (ნელა გადის და ნაღვლიანად მღერის).

> ობოლი ვარ და მარტო ვარ,
> მაშინებს ჩემი ბინაო,
> ო, სევდავ, ჩემო ძვირფასო,
> წამო, წამომყევ შინაო.

ლეონსი (მარტო). უცნაური რამაა ეს სიყვარული, მთელი წელი ძილბურანში ლოგინად ხარ ჩავარდნილი, ერთ ცისმარე დღეს კი გამო–

ილვიძებ, ცივ წყალს მოსვამ, ტანთ ჩაიცვამ, შუბლზე ხელს გადაის-ვამ და გამოერკვევი. — ღმერთო, ნეტავ რამდენი ქალია საჭირო, რომ სიყვარულის შკალა ლილინით აიარ-ჩაიარო? ერთ ხმას თითო ქალი არც ეყოფა. ნეტა რატომაა, დედამიწის გარშემო ნისლი ის პრიზმა, რომელიც სიყვარულის თეთრ სხივს ცისარტყელად გარდა-ტეხს? (სვამს.) რომელ ბოთლშია ის ღვინო, რითაც დღეს უნდა დავთვრე? თუ აღარც ეგ შემიძლია! ასე მგონია, ჰაერის დგუშის ქვეშ ვზივარ. ჰაერი ისეთი გაყინულია და გამჭოლი, რომ მაძაგძა-გებს, თითქოს ნაჭკის ფარატინა შარვლის ამარაღ ვიდგე თხილა-მურებზე. ბატონებო, ბატონებო, თუ იცით რანი იყვნენ კალიგუ-ლა და ნერონი? მე ვიცი! — მაშ მოდი, ლეონს, ერთი მონოლოგი-ცა თქვი. გისმენ! საკუთარი ცხოვრება ისე მამთქნარებს პირისა-ხეში, თითქოს დიდი თეთრი ქაღალდი იყოს, რომელიც ნაწერით უნ-და დავფარო. მე საკონდაკს კი, ერთი ასოც ვერ გამომიყვანია. ჩემი თავი ცარიელი საცეკვაო დარბაზია, იატაკზე რამდენიმე დამჭკნა-რი ვარდი და დაჭმუჭნული ბაფთა გდია, კუთხეში გაბზარული ვიო-ლინოებია აყუდებული, ბოლო მოცეკვავეებს ნიღბები მოუხსნიათ და გათანგული თვალებით შესცქერიან ერთმანეთს. საკუთარ თავს ხელთათმანივით დღეში ოცდაოთხჯერ მაინც ამოვატრიალებ ხოლ-მე. ეჰ, ჩემო თავო, რა კარგად გიცნობ, მშვენივრად ვიცი, რაზე იფიქრებ თხუთმეტი წუთის, რვა დღის ან სულაც ერთი წლის მერე. ღმერთო, ასეთი რა დავაშავე, რომ მაიძულებ მოწაფესავით ვიმეორო ეს ჩემი გაკვეთილი? — ყოჩაღ, ლეონს, ყოჩაღ! (ტაშს შემოჰკრავს.) გულზე მეფონება, ჩემს თავს რომ შევძახებ ხოლმე. ჰეი, ლეონს! ლეონს!

ვ ა ლ ე რ ი ო (გამოძვრება მაგიდის ქვეშიდან). მგონი თქვენი ალმატე-ბულება შეშლილობისკენ მიმავალ უტყუარ გზას ადგას.

ლ ე ო ნ ს ი. ჰოო, სინათლეში რომ ვუკვირდები, მეც აგრე მეჩვენება.

ვ ა ლ ე რ ი ო. მოიცათ, ამაზე დაწვრილებითი მსჯელობა გვმართებს. ოღ-ონდ ჯერ სამზარეულოდან აწაპნილ ხორცს მოვულევ ბოლოს და თქვენი მაგიდიდან მოპარულ ღვინოს გადავკრავ. ახლავე მოვრჩები.

ლ ე ო ნ ს ი. რა გემრიელად იღუკმება! ეს ვაჟბატონი ერთობ იდილიურ გრძნობებს მიღვიძებს; ცოტაც, და მეც დავიწყებ ყველის ჭამას, ლუდის სმას და თუთუნის ყნოსვას. დროზე ქენი, შეწყვიტე მაგ შენი ხორთუმით ღრუტუნი და ყბების რაკარუკი.

ვ ა ლ ე რ ი ო. ძვირფასო ალონის, საკუთარი ბარძაყების გამო ხომ არ ღელავთ? არხეინად ბრძანდებოდეთ, მე არც მეცოცხე ვარ და არც სკოლის მასწავლებელი, წკეპლები რომ დამჭირდეს.

ლ ე ო ნ ს ი. შენ ვალში არავის დარჩები.

ვ ა ლ ე რ ი ო. ჩემს ბატონსაც იგივეს ვუსურვებდი.

ლ ე ო ნ ს ი. მაშინ უკვე გვერდებს უნდა გიზელდე. ნუთუ ასე ზრუნავ საკუთარი თავის აღზრდაზე?

ვ ა ლ ე რ ი ო. უფალო შემინდე, უფრო გაზრდაზე, ვიდრე აღზრდაზე. რას იზამ, მდგომარეობანი მოქმედებენ ჩვენს მდგომარეობაზე. დედაჩემის მდგომარეობაში ყოფნამ მძიმე მდგომარეობაში ჩამაგდო. რაც დედაჩემს ჩავესახე, კარგი არაფერი დამსახვია.

ლ ე ო ნ ს ი. შენი დასახუდისა რა მოგახსენო, მაგრამ ერთი კი ვიცი, ცოტა გარკვევით თუ არ ილაპარაკებ, მე ვიცი და შენმა ასახვ-დასახვამ.

ვ ა ლ ე რ ი ო. როცა დედაჩემი იმ იმედის კიდისკენ მიცურავდა, რომელსაც ჩემი დაბადება ერქვა...

ლ ე ო ნ ს ი. მამაშენი კი რქის კონცხთან გემის დალუპვას შეეწირა...

ვ ა ლ ე რ ი ო. სრული ჭეშმარიტებაა, ის ხომ ლამის დარაჯი იყო. თუმცა ბუკი პირთან ისე ხშირად არ ჰქონია, როგორც ზოგიერთი წარჩინებული ვაჟის მამას რქა შუბლზე.

ლ ე ო ნ ს ი. ადამიანო, საოცრად თავხედი ვინმე ხარ. ძალიან მინდა მაგ შენს თავხედობას ხელით შევეხო და ერთი გემოზე გბრიგო.

ვ ა ლ ე რ ი ო. ზუსტად არ მოარტყით პასუხიც და მტკიცებაც?!

ლ ე ო ნ ს ი (იწევს ვალერიოსკენ). შენ თვითონ ხარ მოსარტყმელი პასუხი. მაგ შენი პასუხისთვის იცოდე მოგხვდება.

ვ ა ლ ე რ ი ო (გარბის, ლეონსი წაბარბაცდება და ეცემა). აბა, თქვენა ხართ რა, მტკიცება! არგუმენტაცია თქვენ არ გივარგათ და ფეხები თქვენ გეკეცებათ, მაგ ფეხებს აქეთ სჭირდებათ დამტკიცება. მაინც რა არაჩვეულებრივი კანჭები და პრობლემატური ბარძაყები გაქვთ.

(შემოდის სახელმწიფო საბჭო. ლეონსი იატაკზე ზის. ვალერიო)

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ...

ლ ე ო ნ ს ი. როგორც საკუთარ თავს! ვპატიობ საკუთარ თავს იმ სიკეთეს, თქვენი მოსმენით რომ იჩენს. ბატონებო, აი ადგილები, არ

დაბრძანებით? — სიტყვა „ადგილის“ გაგონებაზე რატომღაც ყველას ელეთმელეთი მოსდის! ძირს დაბრძანდით, ნუ მოგერიდებათ, ეს ხომ ჩვენი უკანასკნელი დაბრძანების ადგილია, თუმცა მესაფლავეების გარდა სიკეთე არავისთვის მოუტანია.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი (დაბნეული თითებს ატკაცუნებს). თქვენო აღმატებულებავ...

დ ე ო ნ ს ი. შეწყვიტეთ ეგ თითების ტკაცუნი, თუ არ გინდათ რომ ვიღაც შემომაკვდეს.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი (უფრო ძლიერ ატკაცუნებს). თქვენო აღმატებულებავ, გაითვალისწინეთ რომ...

დ ე ო ნ ს ი. ღმერთო ჩემო, ხელები ან შარვალში ჩაიყავით ან ზედ დააჯექით. ახლა სულ დაიშნა! გონს მოდით!

ვ ა ლ ე რ ი ო. ბავშვს ფისი-ფისი თუ შეაწყვეტინე, შარდის შეკავება დაემართება.

დ ე ო ნ ს ი. გამოფხიზლდით ძვირფასო, ნუ გავიწყდებათ ოჯახი და სახელმწიფო. თქვენ თუ სიტყვა გაგიწყდათ, დაილუპეთ და ესაა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი (ჯიბიდან ქაღალდს იღებს). თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით...

დ ე ო ნ ს ი. რაო? კითხვაც იცით? აბა...

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. მისი მეფური უდიდებულესობა გაუწყებთ, რომ ხვალ ჩამობრძანდება მისი ბრწყინვალება, თქვენი საცოლე, მეფის ასული ღენა, პიპის ქვეყნიდან.

დ ე ო ნ ს ი. ჩემი საცოლე თუ მეღის, ნამდვილად ვერ მოვაკლებ მაგ სიამოვნებას და მეც ვაღოდინებ. წუხელ სიზმარში ვნახე, იმოდენა თვალები ჰქონდა, ჩემი როზეტას საცეკვაო ფეხსაცმელი წარბებად დაშვენდებოდა. ლოყებს პატარა ფოსოების ნაცვლად სიცილის თხრილები უმშვენებდნენ. მე სიზმრისა მჯერა. სიზმრებს თუ ნახულობთ, ბატონო პრეზიდენტო? წინათგრძნობის სიზმრებს?

ვ ა ლ ე რ ი ო. ნახულობს, აბა არ ნახულობს?! განსაკუთრებით იმ დღის წინა ღამეს, როცა მწვადი დაიწვება, ყვერული მოკვდება ან თქვენს მეფურ აღმატებულებას მუცელი შეაწუხებს.

დ ე ო ნ ს ი. მგონი კიდევ რაღაც გადგათ ენაზე, აბა, ბრძანეთ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. არსებობს მისი უდიდებულესობის უმაღლესი სურვილი იმის შესახებ, რომ ქორწინების დღეს ყველა მეფური სურვილბრძანება თქვენს ხელით იქნას ბოძებული.

დ ე ო ნ ს ი. მოახსენე ამის მსურველ უდიდებულესობას, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ, გარდა იმისა, რასაც არ გავაკეთებ, თუმცა ეს გაკეთებული ორჯერ მეტ გაუკეთებელს არ გადააჭარბებს. ბატონებო, მობიტევეთ, რომ ვერ გაცილებთ. ჯდომის სურვილს ვყევარ შეპყრობილი, მაგრამ ჩემი წყალობა იმხელაა, რომ ფეხებითაც ვერ გავზომავ. (ფეხებს ჩაჩხავს.) ბატონო პრეზიდენტო, ზომა ამიღეთ, სხვა დროს რომ შემახსენოთ. ვალერიო, გაუღე ბატონებს კარი!

ვ ა ლ ე რ ი ო. ზარი? ბატონ პრეზიდენტს ზარი დავკიდო? ეს ბატონები ზანზალაკებით ოთხზე ვატარო?

ლ ე ო ნ ს ი. კაცო, უნიჭო სიტყვების თამაშის მეტი არაფერი იცი? მამა შენ არ გყავს და დედა, ხუთმა ხმოვანმა შეგქმნა თუ რაშია საქმე?

ვ ა ლ ე რ ი ო. სამაგიეროდ, თქვენ უფლისწულო, წიგნი ხართ ასოების გარეშე, ტირეებით გამოტენილი წიგნი. ახლა კი სვლა გმართებთ, ბატონებო! მაინც რა სავალალო სიტყვაა ეს „სვლა“: ქონების შემოსვლაზე ზრუნვისას — ვქურდობთ, ყველა ზესვლას — სახრჩობელა ელის; ჭეშმარიტ გზა-სავალს მხოლოდ დამარხვის მერე ვპოულობთ, ფუღების გასვლას ხომ ველარ ავუდივართ. დროა გასვლაზე იფიქროთ.

(სახელმწიფო საბჭო და ვალერიო გადიან.)

ლ ე ო ნ ს ი (მარტო). ამ საცოდავების აბუჩად აგდება ვერაფერი ვაჟკაცობაა! რას იზამ, ზოგჯერ ბოროტებაც სიამოვნებას გგვრის კაცს — ჰმ, ცოდი შეირთეო, გინდა ცოდი შეგირთავს და გინდა ჭა დაგიდევია ბოლომდე. ო, შენდი, ჩემო შენდი, ერთი შენი საათი მომეცა! (ვალერიო ბრუნდება.) ვალერიო, გაიგე?!

ვ ა ლ ე რ ი ო. მაშ, მაშ, მეფე ხდებით. უკეთეს გასართობს ინატრებს კაცი?! ისეირნე და იყავი, ხალხს კი ხშირი მოხდით ქუდები დაუცვდებათ. ერთგულ ადამიანებს ერთგულ ჯარისკაცებად აქცევ, მაგას რა სჯობია, შავ ფრაკებსა და თეთრ ყელსახვევებს სახელმწიფო მოღვაწეებად გამოაცხადებ; მოკვდები და, არც ერთი ღილი აღარ იბრჭყვიალებს, ზარის თოკები კი ბევრი რეკვისგან კოჭის ძაფებივით დაწყდება. უკეთესი გასართობი არსებობს განა?

ლ ე ო ნ ს ი. ვალერიო! ვალერიო! ჩვენ სხვა გზას უნდა დავადგეთ, გამოიცანი, რომელს.

ვალერიო. ჰოი მეცნიერებავ! სწავლულები უნდა გავხდეთ. A priori?[1] თუ a posteriori?[2]

ლეონსი. A priori მამა ბატონისგან უნდა ვისწავლოთ, ხოლო რაც შეეხება a posteriori-ს, ძველი ზღაპრისა არ იყოს, ყველაფერი ისედაც ეგრე არ იწყება — იყო და არა იყო რა.

ვალერიო. მაშ გმირები გავხდეთ! (დადის, თან ვითომ ბუკსა და ნაღარას სცემს.) ცამპა-ცუმპა, ცამპა-ცუმპა.

ლეონსი. არა, ჰეროიზმს მყრალი სუნი უდის, ლაზარეთის ციებ-ცხელებით იწვის და არც არსებობს ლეიტენანტებისა და რეკრუტების გარეშე. მოეშვი ერთი შენს მაკედონელისა და ნაპოლეონის რომანტიკას.

ვალერიო. რაო, გენიოსებად ვიქცეთ?

ლეონსი. პოეზიის ბულბული ისედაც მთელი დღე ჩვენ გვიგალობს, მაგრამ რად გინდა, ერთი სული გვაქვს, სანამ ფრთებს არ დავაძრობთ და მელანში ან საღებავში არ ვტუკავთ, აშასობაში კი ჭეშმარიტი მშვენიერება თვალსა და ხელს შუა გვიქრება.

ვალერიო. აღბათ ყველაფერს საზოგადოების სასარგებლო წევრობა აჯობებდა.

ლეონსი. მაგას მირჩევნია ადამიანობაზე სულ ავიღო ხელი.

ვალერიო. მაშ ეშმაკსაც წაუღია ჩვენი თავი.

ლეონსი. ჩვენდა საუბედუროდ, ეშმაკი მხოლოდ კონტრასტისთვის გვჭირდება, ზეცაში რაღაცის არსებობა რომ ვიწამოთ (წამოხტება.). აჰა, ვალერიო, მივხვდი, ახლა მივხვდი. სამხრეთიდან მონაბერ სიოს თუ გრძნობ? თუ გრძნობ როგორ იწევა ლურჯი ვარვარა ეთერი და როგორ აფრქვევენ შუქს ოქროსფერი, მზიანი დედამიწა, წმინდა ზღვა, მარმარილოს სვეტები და სხეულები. სძინავს დიდ პანს და ტალღების ლუღუნზე მთვლემარე ქმნილებებს ესიზმრებათ ჯადოქარი ვირგილიუსი, ტარანტელა და ტამბურიანი და ნილბებით, ჩირაღდნებით და გიტარით ახმაურებული უკუნეთი, ველური ღამეები. ლაცარონი, ვალერიო! ლაცარონი! იტალიისკენ, ჰეი!

---

[1] ცდამდე (ლათ.).

[2] ცდის შემდეგ (ლათ.).

# მეოთხე სურათი

(ბაღი. საპატარძლოდ მორთული მეფის ასული ლენა, ალმზრდელი)

ლ ე ნ ა. აი ახლაც, სულ ამაზე ვფიქრობ, რა კარგი იყო ყველაფერი და უცბად ეს დღე არ გამითენდა?! თავზე გვირგვინი, თან ეს ზარები (უკან გადაწევება და თვალებს მილულავს). ნეტა ჩემს ზემოთ ბალახი ბიბინებდეს და თავზე ფუტკრები დამბზუოდნენ; ხედავ, როგორ გამოვეწყვე, თმაში როზმარინიც კი დავიმაგრე, როგორ არის ძველი სიმღერა?

სიკვდილის შემდეგ რა მინდა?
რომ განვისვენო საფლავში,
ისე მშვიდად და ნეტარად,
თითქოს ბავშვი ვარ აკვანში.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. საბრალო ბავშვო, ეგ ბრჭყვიალა სამკაული სულ მთლად მიტკლის ფერსა გხდის.

ლ ე ნ ა. ღმერთო დიდებულო, განა მე არ შემიძლია სიყვარული?! ვივლი ხელების ფათურით, ერთიც იქნება და წავაწყდები იმ ხელს, რომელსაც მაგრად უნდა ჩავეჭიდო იქამდე, სანამ ხელებს გულზე არ დამიკრეფენ. მაგრამ ვაი, რომ ისეთ ხელს მაჭედებენ ლურსმნით, რომელიც არ მიძებნია. ეჰ, საწყალო ჩემო ხელო! (თითიდან ბეჭედს იძრობს.) ეს ბეჭედი გველივით გესლიანია.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. ამბობენ, ნამდვილი დონ კარლოსიაო!

ლ ე ნ ა. და მაინც კაცია...

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. ჰო?

ლ ე ნა. რომელიც არ მიყვარს (წამოდგება.) ფუი, მრცხვენის კიდეც! — ხვალ დამიწყდება ჩემი მშვენიერება. ნუთუ ჭსუსური ნაკადული ვარ, რომ ყველაფერი, რაც ჩემსკენ გადმოიხრება, უტყვად ავირეკლო. ყვავილიც კი თავის გემოზე შლის და ხურავს გვირგვინს დილის მზესა და მწუხრის სიოში. რითია მეფის ასული ყვავილზე ნაკლები?

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი (ტირილით). ჩემო ანგელოზო, სამსხვერპლოზე მიყვანილი ბატკანი ხარ.

ლ ე ნ ა. დიახ, ქურუმს კი უკვე დანა აღუმართავს. — ღმერთო ძლიერო, ნუთუ მართლა ტანჯვით უნდა გამოვისყიდოთ ჩვენი ცოდვები?

ნუთუ სამყარო ჯვარცმული მაცხოვარია, მზე — ეკლის გვირგვინი და ვარსკვლავები — მის ტერფებსა და თეძოებში ჩარჭობილი შუბლურსმანი?

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. შვილო, შვილო! შენი ცქერით აღარა ვარ. ამ სიმწარეს როგორ აიტან! — მოიცა, მგონი რაღაც მოვიფიქრე — ვნახოთ რა გამოგვივა. აბა წამოდი! (გაჰყავს მეფის ასული).

## მეორე მოქმედება

> ჩემს არსებაში მოულოდნელად
> მრავალმა სიმმა ის ხმა გაიღო,
> მოგონებები რომ ერთად შთანთქა,
> უმისამართოდ სადღაც წაიღო.
>
> შ ა მ ი ს ო

### პ ი რ ვ ე ლ ი ს უ რ ა თ ი

ტრიალი მინდორი. შორს მოჩანს პატარა სასტუმრო.

(შემოდიან ლეონსი და ვალერიო. ვალერიოს ფუთა აქვს მოკიდებული)

ვ ა ლ ე რ ი ო (ქშენით). უფლისწულო, სინდისსა ვფიცავ, ჩვენი დედამიწა ერთი ვეებერთელა სახლია და სხვა არაფერი.

ლ ე ო ნ ს ი. მოიცა ერთი. მე ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიწრო, სარკეებიან ოთახში ვიდგე, ხელებიც ვერ გამიშლია იმის შიშით, რამეს არ წამოვედო და ლამაზი ფიგურების ნამსხვრევებით არ მოვფინო იატაკი, და ცივი, გაძარცვული კედლების პირისპირ არ აღმოვჩნდე.

ვ ა ლ ე რ ი ო. გავიპარე.

ლ ე ო ნ ს ი. შენი წასვლით არავინ შეწუხდება შენი მპოვნელის გარდა.

ვ ა ლ ე რ ი ო. დღეიდან ჩემი ჩრდილის ჩრდილში ვიდგები.

ლ ე ო ნ ს ი. თუნდაც სულ აორთქლებულხარ. ერთი იმ კოხტა ღრუბლებს ახედე, ოთხჯერ შენზე პატარაა და რა ლაღად დასცქერის შენს უხეშ მატერიალისტურ აზრებს.

ვ ა ლ ე რ ი ო. ეგ ღრუბელი თქვენს თავს ვერაფერს დააკლებს, წვეთებადაც რომ ჩამოგეწუროთ... — ახლა მე დამიგდეთ ყური: ერთი დუ-

ჟინი სამთავრო, ნახევარი დუჟინი საპერცოგო და ერთი-ორი სამეფოც სულ ფაცხა-ფუცხით გამოვიარეთ რამდენიმე დღეში. — რატომ? იმიტომ რომ მეფედ კურთხევასა და პირმშვენიერი მეფის ასულის ქმრობას გიპირებდნენ. ნეტა ან ცოცხალი როგორია ხართ? ვერ ამიხსნია თქვენი ეგეთი სიმხდალე. მიკვირს დარიშხანი რომ არ დალიეთ და სრული გარანტიისთვის ეკლესიის მოედანზე ტყვია არ იკარით შუბლში.

დ ე ო ნ ს ი. კი მაგრამ ვალერიო, ჩვენი იდეალები? როგორ გგონია, მე არ ვატარებ გულით იდეალური ქალის სურათს, რომელიც უეჭველად უნდა ვიპოვნო. ის უსაზღვროდ მშვენიერია და უსაზღვროდ უტვინო. მისი მშვენიერება ახალშობილივით ამაღლევებელია და უმწეო. ასეთი კონტრასტი თუ გინახავს: ზეციურად უტყვი თვალები, ღვთაებრივად ბრიყვული პირი, ცხვირწვეტიანი ბერძნული პროფილი და უსულო სხეულის სულიერი სიკვდილი.

ვ ა ლ ე რ ი ო. ფუი, ეშმაკს! ისევ საზღვარს მივადექით. ქვეყანა კი არა, ხახვია, ისე ფურცელ-ფურცლაა შეკრული, თუმცა ერთმანეთში ჩაწყობილ ყუთებსაცა გავს; ყველაზე დიდი — ყუთებითაა-გამძეძგილი, პატარა კი — ცარიელია (ფუთას მიწაზე აგდებს). ეს ფუთა ჩემი საფლავის ქვად ხომ არ უნდა იქცეს! მომისმინეთ, უფლისწულო, ბარე ფილოსოფოსიც გავხდი — აი, სურათი კაცის ცხოვრებისა: მხარზე ფუთა მოგდებული, დაკოჟიჟებულ-დაჩეხილი ფეხებით მივაბიჯებ ავდარსა თუ პაპანაქებაში, იმიტომ, რომ საღამოს სუფთა პერანგი გადავიცვა. ნანატრი მწუხრის დადგომისთვის შუბლდალარულს, ლაწვებჩაცვენილსა და თვალდაბინდულს ჩემი კვართად ქცეული პერანგის ჩაცმის თავიც აღარ მექნება. ჩემს ადგილას, უფრო ყოჩაღი ბიჭი ამ ფუთას პირველივე დუქანში გაყიდის, ალებული ფულით კარგად იქეიფებს და მერე საღამომდე ჩრდილში იგორავებს, არც ოფლად გაილვრება და არც ხელებს დაიგლეჯს. ჰოდა, უფლისწულო, მოდი სიტყვა საქმედ ვაქციოთ. ნამუსისთვის ჩვენი შინაგანი კაცებიც შარვალ-პერანგით შევმოსოთ (ორივენი სასტუმროსკენ მიდიან.), იფ, ჩემო ფუთავ, რა არომატია?! როგორი ღვინის სურნელი და შემწვარ-მოხრაკულის ოხშივარი ტრიალებს! ეჰეი, ჩემო შარვალო, ვხედავ მოგისწრია მიწაში ფესვების გადგმა, უკვე ხაროხ და იფურჩქნები. ყურძნის მძიმე მტევნები ღამის პირში ჩამიძვრნენ, მაჭარი კი საწნახელში თუხთუხებს.

(ლეონსი და ვალერიო გადიან.
შემოდიან მეფის ასული ლენა და ალმზრდელი).

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. ეს დღე თითქოს შელოცვილია, მზე ჩასვლას არც კი აპირებს, არა და რა ხანია გამოვიპარეთ.

ლ ე ნ ა. არც ისე დიდი ხანია, ჩემო კარგო. ბაღიდან გამოსვლისას სახსოვრად ყვავილები დავკრიფე, ნახე, ჰკნობა ოდნავ შეპარვიათ.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. სად დავისვენოთ. არც მონასტერი ჩანს სადმე, არც მეუდაბნოვე და არც მწყემსი ვინმე.

ლ ე ნ ა. ვისხედით ბაღში წიგნებში თავჩარგულნი, ოლეანდრებს და მურტებს შორის და სამყარო გვეგონა გადავანს იქით სულ სხვანაირი გვეგონა.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. ო, რა საზიზღარია ეს ქვეყანა! მოხეტიალე უფლისწულის შეხვედრაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ლ ე ნ ა. ო, წარმტაცია ეს ქვეყანა, ვრცელი და უკიდეგანო! სულ წინ მინდა ვიარო, დღითაც და ღამითაც. რა სიჩუმეა ირგვლივ. მდელოებზე ყვავილთა ალისფერი შუქი დასთამაშებს, შორეული მთები განცხრომას მიცემული ღრუბლებივით გაწოლილან დედამიწაზე.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. მაღალო იესო, რას იტყვის ხალხი? მაინც რა ნაზია, რა ქალური! ცდოლვილ წმინდა ოტილიას არა გავს?! თუმცა, საცაა დაბნელდება, ახლა პირველ რიგში თავშესაფარზე უნდა ვიზრუნოთ.

ლ ე ნ ა. ყვავილები დასაძინებლად ემზადებიან და გვირგვინებს ხურავენ, მზის სხივები მოქანცული ჭრიჭინებივით ირწევიან ბალახის ღეროებზე.

## მ ე ო რ ე ს უ რ ა თ ი

მდინარის პირას გორაკზე სასტუმრო, გარშემო ლამაზი ბაღით. უკან ვრცელი ხედი იშლება.

(ვალერიო, ლეონსი).

ვ ა ლ ე რ ი ო. ხედავთ, უფლისწულო, თქვენმა შარვალმა რა მეფური ღვინო დაგვალევინა? არა, ჩექმებიც რა მარდად გადავუძახეთ კუჭში?!

ლ ე ო ნ ს ი. ვალერიო, შეხედე იმ ბებერ ხეებს, კვრინჩხსა და ყვავილებს.

ყოველ მათგანს საკუთარი ცხოვრება აქვს. იდუმალებით მოცული, სანუკვარი ცხოვრება. ხედავ ზღურბლთან, ვაზის ძირას მიმჯდარ სათნო მოხუცებს? სხედან ხელჩაკიდებულები და ფიქრობენ: ჩვენ უკვე დავბერდით, სამყარო კი ჯერ სულ ახალგაზრდაა. ო, ვალერიო, მე ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ, სამყარო კი ასეთი ბებერი. ზოგჯერ ისე მეცოდება საკუთარი თავი, რომ მინდა სადმე კუთხეში ჩავცუცქდე და ცხარე ცრემლით ვიტირო.

ვ ა ლ ე რ ი ო (ჭიქას აწვდის). აჰა, აიღე ეს ზარი, ზარი მყვინთავებისა და ღრმად ჩაყვინთე ზღვაში, ისე ღრმად, რომ პირისახეში მარგალიტები შემოგეფრქვიონ. უყურე ღვინისყვავილას ღეროებს შორის მოფარფატე ოქროსქოშება ალებსა და ღატკბი მათი წინწილას ჰანგებით.

ლ ე ო ნ ს ი (წამოხტება). ალე ვალერიო, უნდა ვიმოქმედოთ, რამე უნდა ვაკეთოთ! მოდი, ღრმა ანალიზს შევუდგეთ, გავიგოთ, რატომ დგას სკამი ოთხ ფეხზე და არა ორზე. ანდა ჭიანჭველები გავწიწკნოთ და მათი ციცქნა ნაწლავები დავითვალოთ. ამას მაინც ვიზამ მეფური მონდომებით. ბავშვივით ერთ საჩხაკუნოს ავიკვიატებ და ხელიდან იქამდე არ გავუშვებ, სანამ ბებერივით ბუტბუტს და საბნის ქაჩვას არ დავიწყებ. ენთუზიაზმის რაღაც მარაგი კიდევ დამრჩა დასახარჯი, მაგრამ როდესაც ყველაფერს ერთად მოვათუხთუხებ, მერე ერთი საუკუნე კოვზის ძებნას მოვუნდები, ამასობაში კი შექამანდიც აყროლდება.

ვ ა ლ ე რ ი ო. Ergo bibamus![1] ეს ბოთლი არც მიჯნურია და არც იდეა, არც მშობიარობის ტკივილებს იწვევს, თავსაც არ მოგაბეზრებს და არც გიღალატებს, უცვლელია პირველი წვეთიდან უკანასკნელამდე. ამოაძრობ საცობს და უმალ სახეში შემოგეფრქვევა მასში მიძინებული ოცნებები.

ლ ე ო ნ ს ი. ღმერთო დიდებულო, დაე ჩემი ცხოვრების ნახევარი ლოცვად იქცეს, ოღონდ ისეთი ჩალის ღერო მაპოვნინა, ფეხმარდი ბედაურივით რომ ვაჭენო იქამდე, სანამ თავად არ აღმოვჩნდები ჩალაზე. — მაინც რა იდუმალი საღამოა. აქ ჩქამიც არ ისმის, ზემოთ კი ღრუბლები მიმოდიან და სახეს იცვლიან, მზის შუქი ხან ქრება, ხან ისევ ჩნდება. აიხედე, ნეტა რას მისდევენ ის უცნაური სხეუ-

---

[1] მაშ, დავლიოთ (ლათ.).

ლები? გრძელ ოჩოფეხა თეთრ აჩრდილებს ღამურის ფრთები გამოუსხამთ, მაინც რა გიჟურად დაქრიან; აქ კი ბალახიც არ ირხევა, დედამიწა დამფრთხალი ბავშვივით მოკუნტულა და მის აკვანს საშინელი მოჩვენებები დაჰფუთფუთებენ.

ვალერიო. თქვენი არ ვიცი და მე კი მშვენივრად ვგრძნობ თავს. მზე დუქნის აბრას მაგონებს, ცეცხლოვანი ღრუბელი კი — წარწერას: „დუქანი — ოქროს მზე?“ დედამიწა — მაგიდაა, წყალი — ზედ დაღვრილი ღვინო, ჩვენ მაგიდაზე დაყრილი ბანქოს ქაღალდი ვართ, რითაც ღმერთი და ეშმაკი მოწყენის ჟამს თავს იქცევენ. თქვენ პაპა ხართ, მე — ვალეტი, გვაკლია ქალი, ხატულა, მკერდზე დიდი თაფლაკვერის გულითა და ხელში ტიტით, გრძელი ცხვირი შიგ სენტიმენტურად რომ ჩაურგია (შემოდიან მეფის ასული და აღმზრდელი). — და, — ღმერთმანი, აი ისიც! თუმცა ტიტის ნაცვლად ერთი მწიკვი თუთუნი აქვს ხელზე და ცხვირის მაგივრად ხორთუმი აბია. (აღმზრდელს.) პატივცემულო, ისე სწრაფად მიაბიჯებთ, რომ ფეხი გიშიშვლდებათ ნეტარი წვივიდან დარბაისლურ წინდის სამაგრამდე.

აღმზრდელი (აღშფოთებული ჩერდება). პატივცემულო, პირს ისე აბჩენთ, კაცი იფიქრებს, ხეებს ორმო გაუჩენიაო.

ვალერიო. იმიტომ ჩემო, რომ ეგ ცხვირია თუ ლიბნის კოშკი, დამასკოს რომ გადაჰყურებს, ჰორიზონტს არ მიახალოთ და არ დაიზიანოთ.

ლენა (აღმზრდელს). ძვირფასო, რა გრძელია ეს გზა.

ლეონსი (თავისთვის). ყველა გზა გრძელია, მხოლოდ ჩვენს მკერდში სიკვდილის საათის წიკწიკია მოკლე, სისხლის ყველა წვეთი ამ დროის საზომია, ჩვენი ცხოვრება ხანგრძლივი ციებ-ცხელებაა და სხვა არაფერი. დაღლილ ფეხთათვის ყველა გზა გრძელია...

ლენა (შეშინებული უსმენს). დაღლილ მზერას კი ყველა შუქი თვალს სჭრის, დაღლილი ბაგისთვის ყოველი შეხება ფუთიანია, (ღიმილით.) დაღლილი ყურისთვის ხომ ყველა სიტყვა ზედმეტია. (აღმზრდელთან ერთად სახლში შედის).

ლეონსი. ჩემო კარგო ვალერიო, განა მე არ შემეძლო ჰამლეტივით მეთქვა: „ამა ეს ლექსები, შუბლთან ბატის ფრთების ფრიალი და ვარდები აჭრელებულ ფეხსაცმელზედ...“ ძალზე მელანქოლიურად გამომივიდა არა? მადლობა ღმერთს, მგონი თავს ვაღწევ ამ მელან-

ქოლიას, აღარც ჰაერი მეჩვენება ცივი და გამჭვირვალე, ვარვარა ცა გარს მეკვრის და მძიმე წვეთებს მაპკურებს. ო, ის ხმა: „რა გრძელია ეს გზა?“ რამდენი ხმა ლაპარაკობს დედამიწის ზურგზე და ვერც გაიგებ, ვინ რას ამბობს. ამ ხმას კი გავუგე, ისე დამეფონა გულზე, როგორც სინათლის შექმნამდე წყალზე მოლივლივე სული. ჩემში რაღაც ჩნდება, რაღაც ილვიძებს, როგორ ილვრება არემარეში: „რა გრძელია ეს გზა“! (გადის).

ვ ა ლ ე რ ი ო. არა, საგიჟეთისკენ მიმავალი გზა არ არის გრძელი და არც თუ ძნელი მისაგნები, იქით მიმავალი ყველა ბილიკი, შარა და გზატკეცილი ზეპირად ვიცი. უკვე ვხედავ კიდეც. აი, სუსხიანი ზამთრის დღე, ფართე ხეივანს მიუყვება საგიჟეთში მიმავალი უფლისწული, ილლიაში ქუდამოჩრილი დგება გაძარცვულ ხეთა გრძელ ჩრდილში და ცხვირსახოცს იქნევს, გიჟია, აბა რაა! (გადის).

## მ ე ს ა მ ე  ს უ რ ა თ ი

**ოთახი**

(ლენა, ალმზრდელი)

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. ნულარ ფიქრობთ იმ კაცზე.

ლ ე ნ ა. მაინც რა მოტეხილი ჩანდა იმ ქერა კულულებს ქვეშ, ლაწვებზე გაზაფხულითა და გულში ზამთარჩაბულებული! რა საწყენია, დაქანცული სხეული მუდამ იპოვნის სასთუმალს, დაქანცული სულის მოსასვენებელი სადაა, არავინ იცის. საშინელი აზრი მომივიდა თავში: მგონი არსებობს ხალხი, ვინც უბედურია მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს (დგება).

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. საით, შვილო?

ლ ე ნ ა. ბაღში ჩავალ.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. კი, მაგრამ...

ლ ე ნ ა. რატომ მაგრამ, საყვარელო დედა, დაგავიწყდა, მინის გალიაში რომ მიპირებდნენ დამწყვდევას? მე ყვავილივით ცვარი და ღამის სიო მჭირდება — ყური უნდა მწუხრის ჰარმონიას; დღის ნათელს ჭრიჭინები ნანას უმღერიან, იები კი სურნელებით ათრობენ. არა, ოთახში ვერ გავჩერდები, ღამის კედლებმა გამსრისონ.

## მეოთხე სურათი

### ბაღი მთვარიან ღამეში

(ლენა ზის მღელოზე)

ვ ა ლ ე რ ი ო (მოშორებით). მშვენიერია ბუნება, მაგრამ უფრო მშვენიერი იქნებოდა, ყმელები რომ არ არსებობდნენ, სასტუმროს ქვეშაგებელი სუფთა რომ იყოს და კედელში სიკვდილის საათი ასე ხმამაღლა არ წიკწიკებდეს. შინ ადამიანების ხვრინვას მიაქვს ყურთასმენა, გარეთ ბაყაყების ყიყინს, შინ ოთახის ჭრიჭინები გაგაყრუებენ, გარეთ — მინდვრისა. პატარა მღელოვ, შენ თუ მიშველი (მღელოზე გაგორდება).

ლ ე ო ნ ს ი. (შემოდის). ო, სამოთხის პირველ ღამესავით ტკბილო ღამევ!

(შენიშნავს მეფის ასულს და მისკენ გაემართება.)

ლ ე ნ ა (თავისთვის). პატარა კოლო ძილში ღიღინებს — ღამე ღრმა ძილს მისცემია, გაფითრებული მშვიდად სუნთქავს. მთვარე მიძინებულ ბავშვსა გავს, ოქროსფერი კულულები ჩამოუყრია სათნო სახეზე — ო, ეს ძილი კი არა, სიკვდილია, შავ ბალიშზე მიწოლილ მკვდარ ანგელოზს უფრო ჰგავს. გარშემო ვარსკვლავები უნთია სანთლებად. საბრალო ბავშვი! მეცოდება, მკვდარია და თანაც სრულიად მარტო.

ლ ე ო ნ ს ი. ადექ თეთრით მოსილო, გაჰყევ ღამეში მიცვალებულს და უგალობე სიკვდილის საგალობელი!

ლ ე ნ ა. ვინა ხარ?

ლ ე ო ნ ს ი. სიზმარი.

ლ ე ნ ა. ნეტარ არს სიზმარი.

ლ ე ო ნ ს ი. ნეტარ ძილს გისურვებ, დაე, მე ვიყო შენი სიზმარი...

ლ ე ნ ა. უნეტარესი სიზმარი ხომ სიკვდილია.

ლ ე ო ნ ს ი. მაშ შენი სიკვდილის ანგელოზი ვიქნები და ბაგეს ფრთასავით თვალზე შეგახებ. (კოცნის.) ღამის სუდარაზე დასვენებული ისეთ სიმაზესა და სათნოებას ახხივებ, რომ ბუნებას სიცოცხლე აუთვალწუნებია და სიკვდილსა ყვარობს.

ლ ე ნ ა. არა, გამიშვი. (წამოხტება და გარბის.)

ლ ე ო ნ ს ი. კმარა! კმარა! მთელი ჩემი ცხოვრება ერთ წამში მოექცა; ახ-

და მოკვდი, ლეონს! მეტი აღარც მინდა რა! სამყარო ქაოსს გამოეყო და ახლა ჩემსკენ მოცურავს სიყმაწვილისა და სიტურფის მანათობელი! ლეღამიწა ოქროს თასია — კიდეებიდან აქაფებულ შუქს ღვრის და გარშემო კაშკაშა ვარსკვლავებს ფანტავს მარგალიტებად. ამ ნეტარების ერთი წვეთიც საუცხოო ჭურჭლად მაქცევდა. მაშ ავწიოთ წმინდა ჭურჭელი! (მდინარეში გადახტომა უნდა.)

ვ ა ლ ე რ ი ო (მივარდება და მოეხვევა). შესდექ, ბატონიშვილო!

ლ ე ო ნ ს ი. მომეშვი!

ვ ა ლ ე რ ი ო. მოგეშვებით, თუ გულზე მოგეშვებათ და წყალს მოეშვებით.

ლ ე ო ნ ს ი. სულელო!

ვ ა ლ ე რ ი ო. ნუთუ თქვენი აღმატებულება ლეიტენანტის რომანტიკას ვერ გასცდა; შესვა ბატონმა სატრფოს სადღეგრძელო და ჭიქა ფანჯრიდან მოისროლა.

ლ ე ო ნ ს ი. ჰო, ალბათ სწორი ხარ.

ვ ა ლ ე რ ი ო. დამშვიდდით. თუ ვერც ამ ღამით დაიძინეთ მდელოს ქვეშ, ზედ მაინც ხომ წამოწვებით. ეგეთი საწოლი თვითმკვლელობაზე უარესია. გდიხარ ჩალაზე მკვდარივით და ჭრწყილები ცოცხალივით გკბენენ.

ლ ე ო ნ ს ი. ეგრე იყოს (წვება ბალახში.) კაცო, მაინც რა ლამაზი თვითმკვლელობა ჩამიშალე. ასეთი შემთხვევა ჩემ ცხოვრებაში აღარ მექნება, ამინდიც რომ სწორედ საამისო იყო. ახლა რაღა, გუნება გამიფუჭე. არ მომშხამა ამ ყვითელჟილეტცისფერშარვლიანმა კაცმა?! მაღალო ზეცაო, შენ მარგუნე ღრმა და ჯანმრთელი ძილი.

ვ ა ლ ე რ ი ო. ამინ! მე კი აღამიანი სიკვდილს გადავარჩინე და ამ ღამით სუფთა სინდისში გახვეული დავიძინებ.

ლ ე ო ნ ს ი. ღამე მშვიდობისა, ვალერიო.

## მესამე მოქმედება

### პირველი სურათი

(ლეონსი, ვალერიო)

ვ ა ლ ე რ ი ო. ცოლი შევირთოთ?! როდის იყო, თქვენი ალმატებულება ცხოვრების სამუდამო კალენდარს ადგენდა?

ლ ე ო ნ ს ი. იცი, ვალერიო, ადამიანთა შორის ყველაზე მდაბალიც კი იმდენად დიდია, რომ მის შესაყვარებლად ერთი ცხოვრება არც გეყოფა. გარდა ამისა, ჩემი ქორწინებით იმ ხალხის გული მინდა მოვიგო, ვისაც სწამს, რომ ამ ქვეყნად არაფერია ისე ლამაზი და წმინდა, რისი მეტად გალამაზება და განწმენდა არ შეიძლებოდეს. აღბათ დამეთანხმები, რომ ამ წარმტაც თავხედობაში თავისებური სიამეცა ძევს. ჰოდა, ვისაც უნდა, ისიამოვნოს.

ვ ა ლ ე რ ი ო. ერთობ ჰუმანური და ფილობესტიალური აზრია. თუ იცის, ვინა ბრძანდებით?

ლ ე ო ნ ს ი. მხოლოდ ის იცის, რომ ვუყვარვარ.

ვ ა ლ ე რ ი ო. თქვენმა ალმატებულებამ თუ იცის მისი ვინაობა?

ლ ე ო ნ ს ი. ბრიყვო! მიხაკს ან მარგალიტივით ცვარს სახელს ვინ ეკითხება.

ვ ა ლ ე რ ი ო. გასაგებია, ე. ი. თუ ზომაზე მეტად ტლანქი არ არის და კანონების სუნი არ უდის, უკვე რაღაცას წარმოადგენს. საქმე ისაა, მოვახერხებთ, რომ... — ჰმ! უფლისწულო, ჩემი მინისტრობა თქვენზე იყოს, თუ დღეს მამათქვენის თვალწინ თქვენ და ეგ უსახელო სამუდამოდ ერთმანეთს შეგადუღაბეთ! მოდის?

ლ ე ო ნ ს ი. პატიოსან სიტყვას გაძლევ.

ვ ა ლ ე რ ი ო. საცოდავი, მაჩანჩალა ვალერიო მიესალმება მის ბრწყინვალებას ბატონ სახელმწიფო მინისტრს, ვალერიო ფონ ვალერიენტალს. — „ეს ვინლაა? არ ვიცნობ, რა ჭირი უნდა? აბა აქედან მოუსვი, შე არამზადავ"! (გარბის, ლეონსი უკან მისდევს).

## მ Ე Ო რ Ე ს უ რ ა თ ი

### მოედანი მეფე პეტერის სასახლის წინ

(მრჩეველი, მასწავლებელი, საზეიმოდ გამოწყობილი გლეხები, ხელში ნაძვის ტოტებით)

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. ძვირფასო ბატონო მასწავლებელო, თქვენ ხალხს თავი როგორ უჭირავს?

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. გაჭირვების ჟამს ისე კარგად უჭირავთ თავი, რომ რა ხანია ერთმანეთი ხელით უჭირავთ. თან გულდაგულ სპირტს ისხამენ ყანყრატოში, რომ ამ პაპანაქება სიცხეში თავის დაჭერა არ არ გაუჭირდეთ. ყოჩაღად, ხალხნო! ნაძვის ტოტები წინ ისე გაიშვირეთ, რომ კაცს ნაძვნარი ეგონოს, თქვენი ცხვირები ვითომ კენკრაა, სამკუთხა ქუდები — ირმის რქა, თქვენი ტყაპუჭი კი მთვარის შუქი. დაიმახსოვრეთ: ბოლო კაცი პირველის წინ უნდა ჩაირბოლეს, როგორც ოთხკუთხედში. აბა თქვენ იცით.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. ბატონო მასწავლებელო, თქვენ მგონი ამათ სიფხიზლეზე აგებთ პასუხს, არა?

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. დიახ, დიახ, აგერ სიფხიზლისგან ფეხზე ძლივსა ვდგავარ.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. ხალხნო, ყურად იღეთ, პროგრამაში წერია! „ამდენი და ამდენი სუფთად ჩაცმული, გამაძღარი და კმაყოფილი გამომეტყველების მქონე ქვეშევრდომი იდგება გზის გასწვრივ", აბა, არ შეგვარცხვინოთ!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. გამოიჩინეთ გამძლეობა! სანამ დიდებული წყვილი არ ჩაივლის, არ გაბედოთ ყურის მოქექვა ან ცხვირის მოხვეწა. გამოხატეთ საკადრისი აღელვება, თორემ იძულებული ვიქნებით ამაღელვებელ საშუალებებს მივმართოთ. დააფასეთ ჩვენი ზრუნვა და სიკეთე, განა საგანგებოდ ისე არ დაგაყენეთ, რომ სამზარეულოს

მხრიდან მონაბერი ქარი სახეში გცემდეთ და ცხოვრებაში ერთხელ მაინც იგრძნოთ შემწვარ-მოხრაკულის სურნელი. ხომ გახსოვთ, რაც გასწავლეთ? აბა, Vi!

გ ლ ე ხ ე ბ ი. Vi!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. Vat!

გ ლ ე ხ ე ბ ი. Vat!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. Vivat!

გ ლ ე ხ ე ბ ი. Vivat!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. აი, ბატონო მრჩეველო, ხედავთ როგორ იხვეწება ჩვენი ინტელიგენცია, ლათინურია — წარმოგიდგენიათ! საღამოს მეჯლისს ვაწყობთ დასვრეტილ-დაჭმული შარვლებითა და ქურთუკებით, თავზე მუშტებისა კოკარდებ მირტყმულნი.

## მ ე ს ა მ ე ს უ რ ა თ ი

### დიდი დარბაზი

(ჯგუფ-ჯგუფად დგანან გამოპრანჭული ქალბატონები და ბატონები, წინ ცერემონმაისტერი და რამდენიმე მსახური).

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. რა გვეშველება, ყველაფერი ჩაგვიფლავდა. მწვადი დაიხრუკება, მოლოცვები გაუქმდება, გახამებული საყელოები მელანქოლიური ლორის ყურებივით ჩამოიყრება, გლეხები ისევ მოიზრდიან წვერსა და ფრჩხილებს, ჯარისკაცებს კულულები გაეზრდებათ, თორმეტი ქალწულიდან ყველა ერთხმად ჰორიზონტალურ მდგომარეობას ვერტიკალურს ამჯობინებს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი. ეგ თეთრკაბიანები გამოფიტულ აბრეშუმის კურდღლებს არა გვანან? ერთი შეხედე, კარის მგოსანი შეფუცხუნებული ზღვის გოჭივით ღრუტუნით გარს რომ ურბენს. ეს ბატონი ოფიცრები რაღას ჩამოყაყულან ასე საცოდავად, მანდილოსნებსაც ზეთი ჩამოსდით ცხვირ-პირზე და შარიდი ეღქებათ ყელსაბამებზე.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი. ერთი კი კარგად მოუხერხებიათ, იციან რომ გულდიასობით არ გამოირჩევიან, ამიტომაც გაულელიათ გულები.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. ჰოო, თურქეთის რუქებივით გადაუშლიათ,

დარდანელიც კარგად ჩანს და მარმარილოს ზღვაც. გასწით აქედან, თქვე არამზადებო! ფანჯრებთან დადექით! მისი უდიდებულესობა მობრძანდება!

(შემოდიან მეფე პეტერი და სახელმწიფო საბჭო)

პ ე ტ ე რ ი. მეფის ასულიც გამქრალაო? ჩვენი ძვირფასი ტახტის მემკვიდრის კვალსაც ვერ მიაგენით? ჩემი ბრძანება თუ შეასრულეთ? მიუჩინეთ საზღვრებს მეთვალყურენი?

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ. ამ დარბაზის სარკმელი საუკეთესო სათვალთვალო გახდავთ.

(მიმართავს პირველ მსახურს.) რას ხედავ?

პ ი რ ვ ე ლ ი  მ ს ა ხ უ რ ი. სახელმწიფოს გადაურბინა პატრონის მეძებარმა ძაღლმა.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი (მეორე მსახურს.) შენ?

მ ე ო რ ე  მ ს ა ხ უ რ ი. ჩრდილო საზღვარზე ვიღაც დასეირნობს, მაგრამ უფლისწული არ არის, თორემ ვიცნობდი.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. შენ?

მ ე ს ა მ ე  მ ს ა ხ უ რ ი. მაპატიეთ, ვერაფერს.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. ძალიან ცოტაა, — შენ?

მ ე ო თ ხ ე  მ ს ა ხ უ რ ი. მეც ვერაფერს.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. ეგეც ცოტაა.

პ ე ტ ე რ ი. კი მაგრამ, მრჩეველო, განა არ ვბრძანე, რომ დღეს ჩემმა მეფურმა უდიდებულესობამ უნდა მოიღხინოს და ქორწილი იზეიმოს? განა ეს არ იყო ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ზუსტად ეგრეა ოქმში შეტანილი და დამოწმებული.

პ ე ტ ე რ ი. ჩემი გადაწყვეტილება რომ სისრულეში არ მოვიყვანო, ხომ შევრცხვე კაცი.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. თუ თქვენ უდიდებულესობას შერცხვენა უწერია, სჯობს ასე შერცხვეს.

პ ე ტ ე რ ი. კი, მაგრამ, ჩემი მეფური სიტყვა? — არა, სასწრაფოდ უნდა შევასრულოთ ჩემი გადაწყვეტილება და ვიმხიარულო (ხელებს ისრესს.). ო, რომ იცოდეთ როგორ ვმხიარულობ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. ქვეშევრდომებისთვის შესაძლებლობისდაგვარად ვიზიარებთ თქვენი უდიდებულესობის გრძნობა-განწყობილებას.

პ ე ტ ე რ ი. ო, სიხარულისგან აღარ ვიცი რა ვქნა? ჩემი მსახურებისთვის წითელ სერთუკებს შევაკერინებ, ზოგიერთ კადეტს ლეიტენანტად დავაწინაურებ, ჩემს ქვეშევრდომებს უფლებას მივცემ... კი მაგრამ ქორწილი? გადაწყვეტილების მეორე ნაწილში ხომ ნათქვამია, რომ ქორწილი უნდა ვიზეიმოთ?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

პ ე ტ ე რ ი. კეთილი, მაგრამ უფლისწული და მეფის ასული რომ არა სჩანან?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. ჰოო, თუ არც უფლისწული ჩანს და არც მეფის ასული, — მაშინ...

პ ე ტ ე რ ი. მაშინ, რა?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. მაშინ ვეღარ შეუღლდებიან და ეგ არის.

პ ე ტ ე რ ი. მოიცა, ამა ეგეთი დასასრული ლოგიკურია? თუ... მაშინ... სწორია... კი მაგრამ, ჩემი სიტყვა, ჩემი მეფური სიტყვა!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. თქვენმა უდიდებულესობამ სხვა უდიდებულესობებით დაიმშვიდოს თავი. მეფური სიტყვა ხომ ისეთი რამაა, ისეთი რამ, რაც არაფერიც არ არის.

პ ე ტ ე რ ი (მსახურებს). ისევ ვერაფერს ხედავთ?

მ ს ა ხ უ რ ე ბ ი. თქვენო უდიდებულესობავ, ვერაფერს, სულ ვერაფერს.

პ ე ტ ე რ ი. ეეჰ, როგორ მინდოდა მემხიარულა! საათის მეთორმეტე ჩამოკვრაზე დავიწყებდი და სრული თორმეტი საათის განმავლობაში ვიმხიარულებდი... ახლა ავდგები და მართლა დავლონდები.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. ყველა ქვეშევრდომს ვუბრძანებ თქვენი განწყობილება გაიზიაროს.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. ვისაც ცხვირსახოცი თან არ აქვს, ეტიკეტის დაცვის გამო, ტირილი ეკრძალება!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი. მოიცათ, რაღაცას ვხედავ! რაღაც წამონაშვერია, თითქოს ცხვირსა გავს, დანარჩენი საზღვარზე ჯერ არ გადმოსულა, კიდევ ერთ კაცს ვხედავ, ახლა უკვე ორს, კაცს და ქალს.

ც ე რ ე მ ო ნ მ ა ი ს ტ ე რ ი. საით მიდიან?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი. ჩვენ გვიახლოვდებიან, სასახლისკენ მოდიან, აი ისინიც.

(შემოდიან ვალერიო, ლეონსი, ლენა, აღმზრდელი — ნიღბებით).

პ ე ტ ე რ ი. ვინა ბრძანდებით?

ვ ა ლ ე რ ი ო. ვიცი რო? (ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ნიღაბს

იხსნის.) ესა ვარ? თუ აი ეს? იქნებ ესა? მართალი რომ გითხრათ, მეშინია, ასე სულ არ გავიფცქვნა და გავიძარცვო.

პ ე ტ ე რ ი (დაბნეული). კი მაგრამ, რომელიღაც ხომ უნდა იყოთ.

ვ ა ლ ე რ ი ო. თუ თქვენი უდიდებულესობა მიბრძანებს? ძვირფასო ბატონებო, ოღონდ ირგვლივ სარკეები დაკიდეთ, ეგ თქვენი ბრჭყვიალა ლილები დამალეთ და ისე ნუ მომაჩერდებით, რომ თქვენს თვალებში ავირეკლო, თორემ მართლა დამავიწყდება ბოლოს და ბოლოს რომელი ვარ.

პ ე ტ ე რ ი. ამ კაცმა სულ თავგზა ამირია.

ვ ა ლ ე რ ი ო. მინდა ამ დიდად პატივცემულ და მაღალ საზოგადოებას მოვახსენო, რომ გეახლათ ორი საქვეყნოდ სახელგანთქმული მანქანა, თუმცა ვინ იცის, იქნებ მე ვარ, მესამე, მაგათზე დიდი საკვირველება, თავად რომ ვიცოდე ვინა ვარ და რას წარმოვადგენ. ნურაფერს გაიკვირვებთ, აზრზე არა ვარ, რაებს ებრიტინებ, ისიც არ ვიცი, რომ არ ვიცი, ასე რომ, შეიძლება ტყუილად ვლაყბობ და ყველაფერი ბორბლებმა და გორგოლაჭებმა თქვან. (ჩახლეჩილი ხმით.) ქალბატონებო და ბატონებო, შეხედეთ, აი ორი, სხვადასხვა სქესის არსება, ძუ და ხვადი, ქალბატონი და ბატონი! მხოლოდ ხელოვნება და მექანიზმი, მუყაოს სარქველი და საათის ზამბარა. თითოეულს მარჯვენა ფეხის ნეკის ფრჩხილქვეშ ერთი ციცქნა დალის ღილაკი აქვს. ოდნავ თითს დააჭერ და მექანიზმიც ამუშავდება ორმოცდაათი წლის ვადით. ორივე იმდენად სრულყოფილად შეუქმნიათ, გაგიჭირდებათ მათი ადამიანებისაგან გამორჩევა, არა და, ერთიცა და მეორეც მუყაოს სარქველია და სხვა არაფერი. რაო, საზოგადოების წევრებად არ მიიღებდით თუ? აბა ერთი ნახეთ რა ნატიფი ბუნება აქვთ, რა დახვეწილად მეტყველებენ, ვერც აღზრდას დაუწუნებ — ზარის ჩამოკვრაზე დგებიან, ზარის ჩამოკვრაზე სადილობენ და იძინებენ; არც საჭმლის მონელებას უჩივიან — ეგეც შენი სუფთა სინდისი. ზნეობას აღარ იკითხავთ?! ქალბატონი აზრზე არ არის რა ქვია პერანგის ამხანაგს, ბატონისთვის კი წარმოუდგენელია კიბეზე ასვლისას ქალის უკან დგომა, ჩასვლისას კი წინ გასწრება; განათლებას ნულარ იტყვით, — ქალბატონი ყველა ახალ ოპერას გიმღერებთ, ვაჟი — მანჟეტებს ხმარობს. ქალბატონებო და ბატონებო, სმენა იყოს და გაგონება, ახლა ისინი ყველაზე საინტერესო სტადიაში იმყოფებიან: ამუშავდა სიყვარულის

მექანიზმი. ვაჟმა რამდენჯერმე ქალის მოსახვევი აილო ხელში, ქალმა პასუხად ამდენჯერვე გადაატრიალა თვალები და ზეცას ახედა. ორივემ მრავალგზის წაიჩურჩულა: იმედი, რწმენა, სიყვარული. ამათ შეხმატკბილებას აკლია მხოლოდ ერთი პატარა სიტყვა: ამინ.

პ ე ტ ე რ ი (თითს იდებს ცხვირზე). ფიქტიურად? ფიქტიურად? პრეზიდენტო, ადამიანის ფიქტიურად და ფაქტიურად ჩამოხრჩობას შორის დიდი განსხვავებაა?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ მგონი ფიქტიურად უკეთესიც უნდა იყოს, ჩამოხრჩობაშიც ჩაეთვლება და ტკენითაც არაფერი ეტკინება.

პ ე ტ ე რ ი. მოვიფიქრე. ვიზეიმებთ ფიქტიურ ქორწინებას. (მიუთითებს ლეონსა და ლენაზე.) ეს უფლისწული, ესეც მეფის ასული! ჩემი გადაწყვეტილება ხორცს ისხამს, ვიმხიარულებ და ვილალობებ! ზარებს ჩამოკარით! მისალოცად მოემზადეთ! მოძღვარო დაიწყე!

(წინ გამოდის კარის მოძღვარი, ჩაახველებს და რამდენჯერმე ახედავს ზეცას).

ვ ა ლ ე რ ი ო. დაიწყე, მოჩრჩი მაგ მანჭვა-გრეხვას და დაიწყე! აბა, დროზე!

მ ო ძ ღ ვ ა რ ი (აბეზდ-დარეულად). თუ ჩვენ... ანდა... მაგრამ...

ვ ა ლ ე რ ი ო. იმიტომ და ამიტომ...

მ ო ძ ღ ვ ა რ ი. რადგან...

ვ ა ლ ე რ ი ო. ეს მოხდა სამყაროს შექმნამდე...

მ ო ძ ღ ვ ა რ ი. როცა...

ვ ა ლ ე რ ი ო. ღმერთი მოწყენით იყო...

პ ე ტ ე რ ი. ცოტა მოკლედ, ძვირფასო.

მ ო ძ ღ ვ ა რ ი (მონდომებით). თუ თქვენო ბრწყინვალებავ, პოპოს სამეფოს უფლისწული ინებებს, და თქვენი ბრწყინვალება, პიპის სამეფოს მეფის ასული ინებებს, ორივე თქვენი ბრწყინვალება ინებებენ ერთურთს, მაშინ მკაფიოდ და რიხიანად თქვით — დიახ.

ლ ე ო ნ ს ი დ ა ლ ე ნ ა. დიახ!

მ ო ძ ღ ვ ა რ ი. მაშ მე ვიტყვი — ამინ!

ვ ა ლ ე რ ი ო. კარგია, მოკლედ და კონკრეტულად; ასე შეიქმნა მამაკაცი და დედაკაცი და სამოთხის ყველა ცხოველი მათ გარშემო დგას.

(ლეონსი იხსნის ნიღაბს)

ყ ვ ე ლ ა. უფლისწული!

პ ე ტ ე რ ი. უფლისწული! ჩემი ვაჟი! დავიღუპე, მომატყუეს! (ეცემა მეფის ასულს.) ეს ვინღაა? ყველაფერს ვაუქმებ!

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი (ტრიუმფით ხსნის მეფის ასულს ნიღაბს). მეფის ასული!

ლ ე ო ნ ს ი. ლენა?

ლ ე ნ ა. ლეონს?

ლ ე ო ნსი. ჩემო ლენა, სამოთხეში ვყოფილვართ ლტოლვილნი.

ლ ე ნ ა. რა დამთხვევაა!

ლ ე ო ნ ს ი. რა განგების ძალა!

ვ ა ლ ე რ ი ო. უი, უი, რა სასაცილოა, თქვენი ბრწყინვალებანი მართლაც რომ შემთხვევით გადაეყარნენ ერთმანეთს. იმედია, ამ შემთხვევის ძალას არ გააწბილებთ და ერთმანეთს შეიყვარებთ.

ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი. ჩემს ბებერ თვალებსაც ეღირსათ მოხეტიალე უფლისწულის ნახვა! ახლა მშვიდად მოვკვდები.

პ ე ტ ე რ ი. შვილებო, გული ამიჩუყდა, ისე ამიჩუყდა, თავს ძლივს ვიკავებ. მე ახლა უბედნიერესი კაცი ვარ. ამ საზეიმო ვითარებაში გადმოგცემ გვირგვინს, შვილო ჩემო, და თავად ვეძლევი აზროვნებას. აწი ხელს ხალა შემიშლის. ეს ბრძენკაცებიც უნდა დამითმო, (მიუთითებს სახელმწიფო საბჭოზე.) რომ ერთად ვიმუყაითოთ. წამობრძანდით, ბატონებო, ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ! (გვერდზე გადის სახელმწიფო საბჭოსთან ერთად.) იმ კაცმა ხომ სულ გამაოგნა, ცოტა გონს უნდა მოვეგო.

ლ ე ო ნ ს ი (დამსწრე საზოგადოებას). ბატონებო! მე და ჩემი მეუღლე ძალზე ვწუხვართ, რომ დღეს ესოდენ დიდხანს გამყოფეთ ჩვენს სამსახურში. თქვენი მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ აღარ გვსურს თქვენი გამძლეობის ავად გამოყენება, ახლა შინ წაბრძანდით, ოღონდ გთხოვთ, არ დაივიწყოთ მომზადებული სიტყვები და ლექსები, რათა ხვალ მეტ მყუდროებასა და სიმშვიდეში განვაახლოთ ჩვენი ღლევანდელი ზეიმი. კარგად ბრძანდებოდეთ!

(ყველანი გადიან, რჩებიან ლეონსი, ლენა, ვალერიო და ალმზრდელი).

ლ ე ო ნ ს ი. ხედავ ლენა, ჯიბეები თოჯინებითა და სათამაშოებით გვაქვს სავსე. როგორ სჯობია, ჯერ ხმლები დავკიდოთ და ულვაშები მივაწებოთ, თუ ფრაკში გამოვაწყოთ და პოლიტიკოსობანასა და დიპ-

ლომატობანას თამაში ვასწავლოთ, ჩვენ კი მიკროსკოპები მოვიმარჯვოთ? არლანს ხომ არ ისურვებდი, ზედ მოცუნცულე რძისფერი თაგუნებით? იქნებ გინდა თეატრი ავაშენოთ? (ლენა ლეონსს ეხუტება და თავს უქნევს.) თუმცა მე უკეთ ვიცი რაცა გსურს: დაე დაიმსხვრას ყველა საათი და აიკრძალოს ყველა კალენდარი, საათებს და თვეებს ყვავილების გაშლა-გაფურჩქვნის მიხედვით დავითვლით. მთელ ქვეყანას სარკეებით მოვფენთ და აწი აღარასოდეს დაზამთრდება, მარადიულ ზაფხულში ისკიასა და კაპრიზე გვეგონება თავი და მთელ წელს ფორთოხალსა და დაფნას შორის, ვარდსა და იაში ჩაფლულნი გავატარებთ.

ვ ა ლ ე რ ი ო. მე კი მინისტრი ვიქნები და ვბრძანებ, რომ დააპატიმრონ ყველა, ვინც ხელებზე წყლულებს გაიჩენს; ის, ვინც თავდაუზოგავად იმუშავებს, დაისაჯოს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე; ვინც დაიკვეხნის, პური ოფლით მაქვს მოპოვებულიო, შეშლილად და საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად გამოცხადდეს. მერე კი ჩრდილში მივწვებით და უფალს შევთხოვთ მაკარონს, საზამთროსა და ლეღვს, მუსიკალურ ყელებს, კლასიკურ სხეულებსა და მოსახერხებელ რელიგიას.

# ვ ო ი ც ე კ ი

# მოქმედი პირნი

ვოიცეკი
მარი
კაპიტანი
ექიმი
ტამბურმაჟორი*
უნტეროფიცერი
ანდრესი
მარგრეტი
ბალაგანის მეპატრონე
ბაზრის მხმობელი
მოხუცი მეარღნე
ებრაელი
მედუქნე
ხელოსნის პირველი შეგირდი
ხელოსნის მეორე შეგირდი
ქეთე
ჰკუასუსტი კარლი
ბებია
პირველი, მეორე, მესამე ბავშვი
პირველი, მეორე მოქალაქე
პოლიციის კომისარი
ჯარისკაცები, სტუდენტები, ვაჟები და ქალიშვილები,
ბავშვები, ხალხი.

* ტამბურმაჟორი — სამხედრო ორკესტრის ხელმძღვანელი. პირველად ეს თანამდებობა შემოიღეს საფრანგეთის არმიაში 1651 წ. (რუსეთში 1815 წ.). ტამბურმაჟორად ირჩევდნენ წარმოსადეგ და ახოვან უნტეროფიცერს.

## კაპიტანთან

(კაპიტანი ზის, ვოიცეკი მას წვერს პარსავს)

კ ა პ ი ტ ა ნ ი. დინჯად, ვოიცეკ, დინჯად. ასე, აი ასე. უჰ, თავბრუ არ დამახვია! კი მაგრამ ადრე რომ მორჩეს ვოიცეკი ჩემს პარსვას, მერე რა ვქნა, სად წავიღო ის დარჩენილი ათი წუთი?! აბა, დაფიქრდეს ვოიცეკი, სიკვდილამდე ხომ კიდევ ოცდაათი წელი დარჩა, ხუმრობა საქმეა, ესეც შენი სამასსამოცი თვე და ვინ მოთვლის რამდენი დღე, საათი და წამი! ნეტა ამდენ დროს რა თავში იხლის ვოიცეკი! იცოდეს, რომ დროს განაწილება სჭირდება!

ვ ო ი ც ე კ ი. დიახ, ბატონო კაპიტანო.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. მარადისობის გახსენება მოსვენებას მიკარგავს. თან საქმე ვოიცეკ, თან საქმე! მარადისობა მარადიულია, ხომ ესმის ვოიცეკს? თან მარადიულია, თან არა. აი, თუნდაც წამი. დიახ, დიახ ერთი წამი. როცა წარმოვიდგენ, რომ დედამიწა დღე-ღამეში ერთ ბრუნს აკეთებს, მაჟიჟინებს, დროის ფუჭი ხარჯვაა, ღმერთმანი. ნეტა ვის რაში არგია. წისქვილის ბორბალი რაა, მე ისიც კი ცუდად მხდის. ვოიცეკ!

ვ ო ი ც ე კ ი. დიახ, ბატონო კაპიტანო.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. ვოიცეკი კი სულ ვარბი-გამორბის. ეგ რა დარბაისელი კაცის საქციელია. ალბათ არც იცი, დარბაისელი ვისა ჰქვია. ვისა და იმას, ვისაც სინდისი არასოდეს ქენჯნის. რატომ დუმს ვოიცეკი? ერთი მითხრას, როგორი ამინდია.

ვ ო ი ც ე კ ი. უჟმური, ბატონო კაპიტანო, ქარია!

კ ა პ ი ტ ა ნ ი. მეც არა ვთქვი ეს რა ფორიაქია მეთქი. მშიერი ქარივით არ დაძრწის ეგ შენი ქარი?! (ეშმაკურად) მგონი სამხრეთ-ჩრდილოეთის ქარია, არა?

ვ ო ი ც ე კ ი. დიახ, ბატონო კაპიტანო.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. ჰა, ჰა, ჰა! სამხრეთ ჩრდილოეთის, არა?! ჰა, ჰა, ჰა! რა უტვინოა, რა ეშვედება! (ვითომ გულაჩუყებული) კარგი კაცია, ვოიცეკი, მაგრამ... (მედიდურად) ცოტა მორალთანაა მწყრალად. იცის ვოიცეკმა, მორალი ვისა აქვს? ვის და იმას, ვინც მორალურია, გასაგებია, ვოიცეკ! მე სრულ ჭეშმარიტებას ვლალადებ. ვოიცეკს კი შვილი ჰყავს ეკლესიის კურთხევის გარეშე. დიახ, დიახ, ზუსტად ასე ბრძანა ჩვენი გარნიზონის პატივცემულმა მოძღვარმა, ეკლესიის კურთხევის გარეშეო, მე კი არ მომიგონია.

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო კაპიტანო, ღმერთი მოწყალეა და შეგვინდობს, რომ პატარა მატლის გაკეთებამდე არავის ვუკურთხებივართ. განა თავად არა სთქვა: აცალეთ ყრმებს მაგას მოსვლად ჩემდაო.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. რაო, რაო? რაებსა ჩმახავს ეს კაცი. ეს რა მიპასუხა! ვოიცეკს მეთქი, რომ ვთქვი, ე. ი. ვოიცეკს ეხება, მორჩა და გათავდა...

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო კაპიტანო, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ. არადა ყველგან ფული, ფულიო, გაიძახიან. სულ მორალით თუ ვიცხოვრეთ, ჩვენისთანები ველარ გვიმრავლებია და ეგ არის. ჩვენც ხომ სისხლისა და ხორცისაგან ვართ. ეეჰ, არ უწერია ბედნიერება ჩვენებურ კაცს არც აქ, არც იმ ქვეყნად. ზეცაში რომ ვიყოთ, ალბათ, იქაც დაგვასაქმებდნენ და ჭექა-ქუხილის დაგრუხუნებას დაგვავალებდნენ.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. ესაა, წესიერიაო! ვოიცეკი და წესიერება! ხორცი და სისხლიო! მე რომ მე ვარ, წვიმის მერე ფანჯარასთან წამოწოლილმა თუ დავინახე, თეთრწინდიანი ფეხები გუბეებს ახტებიან, ეშმაკმა დალახვროს, მეც კი სიყვარულის სურვილი თავბრუს მახვევს. თუ გგონია, რომ მე არა მაქვს სისხლი და ხორცი? მაგრამ ზნეობას არ ვღალატობ, ვოიცეკ, ზნეობას. განა ასე ვიცხოვრებდი, ჩემს თავს რომ არ ჩავძახოდე გამუდმებით: შენ, ჩემო თავო, წესიერი ხარ (ალერსებით.) კარგი კაცი ხარ, კეთილშობილი.

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო კაპიტანო, თავად ღმერთმა შეგვქმნა ასეთი უხეირონი. აბა წესიერებას ჩვენთან რა ხელი აქვს. აი, დარბაისელი ბატონი რომ ვიყო, ქუდი რომ მეხუროს და ჯიბეში საათი მედოს, ფრაკი რომ მეცვას და კარგი სიტყვა-პასუხი მქონდეს, მაშინ მეც ვიქნებოდი წესიერი. მაგ თქვენს წესიერებას მშვენიერება სჭირდება ბულდელ. მე კი ერთი საწყალი კაცი ვარ...

კ ა პ ი ტ ა ნ ი. კარგი, ვოიცეკ. შენ კეთილი კაცი ხარ, კეთილი. მაგრამ ნამეტანი ბევრი ფიქრი გიყვარს, ეგაა რომ გათაყვანებს. დამღალა შენთან კამათმა. წადი ახლა, ოღონდ შენებურად ნუ გაქუსლავ, ნელა იარე ქუჩაზე, დინჯად, აბა შენ იცი, როგორ წახვალ.

ტრიალი მინდორი, შორს მოჩანს ქალაქი.

(ვოიცეკი და ანდრე ბუჩქნარში წნელებს ამტვრევენ. ანდრე უსტვენს.)

ვ ო ი ც ე კ ი. დამიჯერე ანდრე, ეს ადგილი დაწყევლილია. ხედავ სინათლის ზოლს. ბალახის თავზე, აი იქ, ფშუკურა სოკო რომ იზრდება? საღამოობით იქ თავი დაგორავს. ერთხელ ვიღაცას ზღარბი გონებია და ხელში აუღია. სამი დღის თავზე სულიც განუტევა. (ჩურჩულით.) ანდრე, მე მგონი მასონები არიან. ახლა მივხვდი, მასონები!

ა ნ დ რ ე (მღერის). იქ იჯდა ორი კურდღელი,
იქ იჯდა ორი კურდღელი...

ვ ო ი ც ე კ ი (ჩუმად). გესმის, ანდრე, გესმის? როგორ ფხაკურობს რაღაც?

ა ნ დ რ ე. ქორფა ბალახს რომ მიადგნენ,
არ გადურჩათ შეუჭმელი.

ვ ო ი ც ე კ ი. უკანაც ფუთფუთია, ფეხქვეშაც, (მიწას დაჰკრავს ფეხს.) გაიგე, ფუყეა. ჩვენს ფეხქვეშ მიწაა გამოფუღრული. მასონებია, მასონები!

ა ნ დ რ ე. მეშინია.

ვ ო ი ც ე კ ი. რა საოცარი სიჩუმეა, დამის სუნთქვა შევიკრა, რომ ეს უცნაური სიჩუმე არ დავარღვიო, ანდრე!

ა ნ დ რ ე. რა იყო?

ვ ო ი ც ე კ ი. ხმა გამეცი! (სივრცეს მიშტერებული.) ანდრე, ეს რა შუქია! ქალაქის თავზე რაღაც ნათებაა. ცაზე ცეცხლი დასრიალებს, აგერ საყვირის ხმაც. შეხე, აღი ავარდა. გავიქცეთ! უკან არ მიიხედო! (ბუჩქებში შეათრევს.)

ა ნ დ რ ე (ხანმოკლე დუმილის შემდეგ). ვოიცეკ, კიდევ გესმის რამე?

ვ ო ი ც ე კ ი. არა, სამარისებური სიჩუმეა, თითქოს სამყარო ჩაკვდაო.

ა ნ დ რ ე. გესმის, ქვემოთ დაფდაფებს სცემენ. წამო, წავიდეთ აქედან!

# ქალაქი

(მარი ბავშვით ხელში ფანჯარასთან. მარგრეტი. ქუჩაში ჩაივლიან დაისის მაუწყებელი მუსიკოსები, წინ ტამბურმაჟორი მიუძღვით.)

მ ა რ ი (ბავშვს ათამაშებს). პატარა ბიჭი, პატარა ბიჭი! ცამპა-ცუმპა-ცამპარი. გესმის? აი ისინიც!

მ ა რ გ რ ე ტ ი. იფ, რა აშოლტილი ყმაწვილია!

მ ა რ ი. ლომივით არა დგას!

(ტამბურმაჟორი ესალმება ქალებს.)

მ ა რ გ რ ე ტ ი. რაო მეზობელო, აგიციმციმდა თვალები? მეც არ გამიკვირდა...

მ ა რ ი (მღერის). ჯარისკაცები, ლამაზი კაცები...

მ ა რ გ რ ე ტ ი. თვალები კი გიციმციმებს და!..

მ ა რ ი. მერე შენ რა! საკუთარი თვალები ურიას წაუღე, სთხოვე, გაგიპრიალოს. იქნებ მაგათაც იციმციმონ, ლილებად მაინც იყიდის ვინმე.

მ ა რ გ რ ე ტ ი. რაო, რაო, ქალბატონო ქალწულო. მე წესიერი ქალი ვარ, მაგრამ აი, შენ, შენზე ხომ ყველამ იცის, შვიდი წყვილი ტყავის შარვალს იქითაც რომ ხედავ რაღაც-რაღაცებს!

მ ა რ ი. შე წუნკალო! (მიუჯახუნებს ფანჯარას.) წამო შვილო! ნეტა რას მერჩის ეს ხალხი, ვის რა დავუშავე, ერთი საწყალი კახპა ვარ. მოდი ჩაეხუტე დედაშენს, ჩამაკონე ეგ უკანონო სახე (მღერის.)

> გოგო, ახლა რას აპირებ?
> ბავშვი გყავს და ქმარი არა!
> თუმცა რაღას გეკითხები?
> მთელი ღამე მაინც მღერი,
> იავნანა, ვარდო ნანა,
> ვის რად უნდა ეს სიმღერა. იავნანინაო!

(ფანჯარაზე აკაკუნებენ.)

მ ა რ ი. ვინ არის? ფრანც, შენა? შემოდი.

ვ ო ი ც ე კ ი. ვერ შემოვალ, სიის ამოკითხვას უნდა მივუსწრო.

მ ა რ ი. კაპიტანს წნელები თუ დაუტეხე?

ვ ო ი ც ე კ ი. კი.

მ ა რ ი. რა გჭირს კაცო, შეშლილსა ჰგავხარ.

ვ ო ი ც ე კ ი (იდუმალებით მოცული ხმით). მარი, ისევ რაღაც საოცრება ვნახე — განა ასე არა სწერია: და აჰა, ესერა აღვიდოდა აღი ცეცხლისა ქვეყნით ვითარცა არმური სახმილისა.

მ ა რ ი. ადამიანო!

ვ ო ი ც ე კ ი. ქალაქამდე ფეხდაფეხ მომყვა. სასწაულია რაღაც, და ალბათ ვერც გავიგებთ, რა არის. ბოლოს ჭკუიდან გადაგვიყვანს და ეგ იქნება. ეჰ, კაცმა არ იცის, რა გველის.

მ ა რ ი. ფრანც!

ვ ო ი ც ე კ ი. წავედი ახლა. საღამოს ბაღაგანში გელოდები! ცოტა რამ დავზოგე, და... (გადის.)

მ ა რ ი. ნეტა ერთი გამაგებინა, ამ კაცს რა სჭირს. მაინც რა აფორიაქებული იყო, თავის შვილს არც კი შეხედა. ნეტა ამ აზრების გადამკიდე არ შეიშალოს და...! შენ როგორ გატრუნულხარ, პატარავ, ხომ არ გეშინია? რა უცბად ჩამობნელდა, თითქოს თვალისჩინი დამეკარგოს. თუმცა როდის იყო ქუჩის ფარანი გვინათებდა ოთახს. აღარ შემიძლია, ღამისაა შიშით გული გამისკდეს! (გადის.)

## ბაღაგანი, შუქები, ხალხი

მ ო ხ უ ც ი (მღერის. ბიჭი ცეკვავს არღნის ხმაზე.)

ქვეყნად მუდმივი არაფერია,
ვიცით, რომ ბოლოს ყველა მოვკვდებით,
ვიცით, ან მეტი რა დაგვრჩენია.

ვ ო ი ც ე კ ი. ჰეიდა, ჰეი საბრალო მოხუცი, საწყალი პატარა ბიჭი! აქეთ დარდია, იქით მოლხენა.

მ ა რ ი. რომ არ გაგიჟდე, ალბათ გიჟად უნდა დაიბადო. უცნაურია ეს ქვეყანა! უცნაური და მშვენიერი!
(გაეცლებიან იქაურობას და ბაზრის მხმობელისკენ წავლენ.)

მ ხ მ ო ბ ე ლ ი (დგას ბაღაგანის წინ, იქვეა მისი ცოლი და ტანსაცმელში გამოწყობილი მაიმუნი). ბატონებო, ბატონებო! ერთი აქეთ მობრძანდით და ამ სულიერს დააკვირდით. აი, როგორი შეუქმნია იგი ღმერთს. რას წარმოადგენს? არაფერს! აბა ახლა ნახეთ, ხე-

ლოვნეშამ რა მისცა: ადამიანივით წელში გასწორებულა, ტანზე შარვალი აქვს მშვენივრად მორგებული, ეს ხმალიც რა კოხტად ჰკიდია. არც მეტი და არც ნაკლები, ეს ჩვენი მჭიმუნი ნამდვილი ჯარისკაცი გამხდარა. თუმცა დიდი ბედენა ვერც ახლაა. რატომო, იკითხავთ. იმიტომ, რომ ადამიანთა მოდგმის ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება. აბა, თავი დაგვიკარი! ყოჩაღ. ახლა კოცნა გამოგვიგზავნე! (მხმობელი საყვირს ჩაბერავს.) რომ იცოდეთ რა მუსიკალურია?! — შემობრძანდით ბატონებო, აქ თქვენ იხილავთ ასტრონომიულ ცხენსა და კანარის ჩიტებს, რომლებმაც ევროპის არა ერთი გვირგვინოსანი გააოცეს. ამათ ვერაფერს გამოაპარებ, უცბად ჩამოგირაკრაკებენ, რამდენი წლისა ბრძანდებით, რამდენი შვილი გყავთ, რა გაწუხებთ. ჰკითხეთ, პასუხი მუდამ მზადა აქვთ. წარმოდგენა იწყება! იწყება ყველა საწყისის დასაწყისი!

ვ ო ი ც ე კ ი. შევიდეთ?

მ ა რ ი. აბა რა, საინტერესოა. ნახე, ამ კაცს რა ლამაზი ფოჩები ჰკიდია! უი, ქალს შარვალი აცვია?!

(ორივენი ბალაგანში შედიან.)

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. მოიცა, აგერ! დაინახე! ბიჭოს, რა ქალია!

უ ნ ტ ე რ ო ფ ი ც ე რ ი. ფუი ეშმაკს, აი ვის უნდა აშრავლებინო ბექთარონსნები!

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. ტამბურმაჟორების გამრავლება გაუჭირდება თუ...?!

უ ნ ტ ე რ ო ფ ი ც ე რ ი. თავი რა ამაყად უჭირავს. ერთი ეგ გრუზა თმა ჩამომაშლევინა, თავს რომ უმძიმებს. ნახე, ნახე, რა თვალები აქვს...

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. თვალები კი არა უძირო ჭაა, წამო, გავყვეთ.

## ბაჩახჩახებული ბალაგანი

მ ა რ ი. რა სინათლეა!

ვ ო ი ც ე კ ი. ჩემო მარი, შავ კატას თვალები უელავსო, ხომ გაგიგია. საღამოც ასეთი უნდა.

ბ ა ლ ა გ ა ნ ი ს მ ე პ ა ტ რ ო ნ ე (გამოჰყავს ცხენი). აბა, გვიჩვენე რა შეგიძლია! დაგვიმტკიცე, რომ პირუტყვსაც აქვს გონება! შეარცხვინე ადამიანი. ბატონებო, ეს ცხოველი, თქვენს წინაშე რომ

დგას ოთხ ჩლიქზე და უკან კუდი ჰკიდია, ყველა განათლებული საზოგადოების წევრია, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ, სტუდენტებს ჯირითსა და ფარიკაობას ასწავლის. ეს მისი გონების მარტივი პროდუქტია! ახლა გაორმაგებული მონდომებით იფიქრე! აბა, როგორ ფიქრობ გაორმაგებული მონდომებით? გვითხარი, ამ განათლებულ საზოგადოებაში ვინი თუა? (ცხენი თავს აქნევს.) ხედავთ, გაორმაგებული მონდომების შედეგს? ესეც თქვენი ფიზიოგნომიკა. არა, უტვინო ცხოველი არ გეგონოთ, პიროვნებაა, ადამიანი, ადამიანური ცხოველი, მაგრამ მაინც ცხოველია და პირუტყვი. (ცხენი უგვანოდ იქცევა.) ჰო, ასე, შეარცხვინე პატივცემული საზოგადოება. ხომ ხედავთ, ეს პირუტყვი ჭეშმარიტად ბუნების შვილია, ბუნების დაუხვეწავი შვილი! მივბაძოთ მას! ექიმისგანაც ხომ გაგიგიათ, რომ ამ დროს თავის შეკავება ძალიან მავნებელია! რამეთუ ითქვა: ძეო კაცისაო, გახსოვდეს შენი ბუნება, ქმნილი მიწისა და ნაცრისაგან. რისთვის ამაოებ და გსურს იყო უმეტესი მიწისა და ნაცრისა?!

აი, რა არის გონება: მართალია, ამ პირუტყვს თითებით თვლა არ შეუძლია, სამაგიეროდ მშვენივრად ანგარიშობს, როგორ? როგორ და ესეც ადამიანია, ოღონდ სახეცვლილი, აზრის გამოთქმა და ყბედობა არ ეხერხება. აბა, უთხარი ბატონებს, რომელი საათია. ქალბატონებო და ბატონებო, ვისა გაქვთ საათი? საათი ვისა გაქვთ?

უ ნ ტ ე რ ო ფ ი ც ე რ ი. საათი? (დინჯად იღებს საათს ჯიბიდან.) ინებეთ, ბატონო.

მ ა რ ი. ერთი კარგად შევხედო. (პირველი რიგისკენ მიიწევს, უნტეროფიცერი ხელს შეაშველებს.)

უ ნ ტ ე რ ო ფ ი ც ე რ ი. ოო, რა ქალია!

## მ ა რ ი ს ო თ ა ხ ი

მ ა რ ი (კალთაში ბავშვი ჰყავს, ხელში სარკის ნამსხვრევი უჭირავს). უბრძანეს და იმიტომ წავიდა. (სარკეში იხედება.) რა ბრწყინავალა ქვებია, რა თქვა, რა ქვააო? დაიძინე, პატარავ! დახუჭე თვალი!

(ბავშვი ხელებში მალავს სახეს.) მაგრად დახუჭე! ჩუმად, თორემ ბუა მოვა და წაგიყვანს! (მღერის):

გოგოვ, დახურე დარაბა,
თორემ მოვა ციგნის ბიჭი,
ხელს დაგტაცებს და ციგნების
ქვეყანაში გაგიტაცებს.

(ისევ სარკეში იხედება.) ნამდვილი ოქროა! ცეკვის დროს როგორ დამამშვენებს! ბედმა მე და ჩემისთანებს დედამიწაზე ერთი პატარა კუნჭული და სარკის ნამსხვრევი გვარგუნა. არაფერია, ტუჩები მაინც მაქვს დიდებულივით ქალბატონივით წითელი. ეჰ, იმ ქალბატონებს იატაკიდან ჭერამდე აყუდებული სარკეები უდგათ და ხელებს მოხდენილი ვაჟკაცები უკოცნიან. მე კი ერთი ლატაკი ქალი ვარ. (ბავშვი წამოიწევა.) ჩუმათ, პატარავ, დახუჭე თვალი, ხედავ, როგორ დარბის კედელზე ძილის ანგელოზი. (კედელზე ათინათს ათამაშებს.) დახუჭე თვალი, თორემ ჩაგხედავს და დაბრმავდები.

(შემოდის ვოიცეკი. მარი წამოხტება და ყურებზე ხელს აიფარებს.)

ვოიცეკი. რა დაგემართა?

მარი. არაფერი!

ვოიცეკი. ეგ რა გიბრჭყვიალებს თითებში?

მარი. საყურეა, ვიპოვნე.

ვოიცეკი. მისდღეში ეგეთი არაფერი მიპოვნია, თანაც წყვილად.

მარი. ვიპოვნე, აბა საიდან გავაჩენდი!

ვოიცეკი. კარგი მარი, რა დაგემართა. სძინავს ბავშვს? ხელი ამოუდე თავქვეშ, თორემ მგონი სკამზე უდევს. სულ ოფლშია გაწურული. ეეჰ, ძილია თუ ცხადი, ნუთუ სულ ოფლის ღვრაში უნდა ვიყოთ, რა დავაშავეთ ასეთი?! აი ფული, ჩემო მარი, ხელფასია და ცოტაც კაპიტნის გასამრჯელო.

მარი. მადლობა ღმერთს.

ვოიცეკი. აბა, წავედი. სალამომდე! კარგად იყავი, მარი.

მარი (მარტო, ხანმოკლე დუმილის შემდეგ). ფუი, რა საზიზღარი ვარ! ისე ავკუწავდი საკუთარ თავს, ერთს არ დავიკვნესებდი. ეჰ, რა არის ეს ცხოვრება, ეშმაკსაც წაუღია კაციცა და ქალიც.

# ექიმთან

(ვოიცეკი, ექიმი.)

ექიმი. ეს რა დავინახე, ვოიცეკ! მაგას კაცი იზამს?

ვოიცეკი. რა მოხდა, ბატონო ექიმო?

ექიმი. რა და, ვოიცეკმა ქუჩაში მოშარდა, ზედ კედელზე, ძაღლივით! — ყოველდღიურად მაინც არ ვაძლევდე ამ კაცს სამ გროშსა და საჭმელს! საშინელებაა ვოიცეკ, რამ შეშალა ეს ხალხი?!

ვოიცეკი. კი მაგრამ, ბატონო ექიმო, ბუნება თუ თავისას შვრება?

ექიმი. ბუნება თუ თავისას შვრებაო! ბუნება! მე დავამტკიცე, რომ Musculus constrictor vesicae[1] ჩვენს ნებას ექვემდებარება. ბუნებაო! ადამიანი თავისუფალი არსებაა, ვოიცეკ! სწორედ თავისუფლებისკენ სწრაფვა მეტყველებს ადამიანის ინდივიდუალობაზე. შარდი ვერ შეიკავა, ვაჟბატონმა! (თავს აქნევს, ხელებს ზურგზე იწყობს და ბოლთას ცემს.) მიირთვა ვოიცეკმა თავისი ულუფა მუხუდო? ხომ არ დაავიწყდა, მხოლოდ მუხუდო — cruciferae. ეს იქნება ნამდვილი გადატრიალება მეცნიერებაში, დიდი აფეთქება, დიდი! 0,10 შარდოვანა, მარილმჟავა ამონიუმი და ჰიპეროქსიდი, ახლა თუ ინებებს მოშარდვას, ვაჟბატონი? შებრძანდეს და სცადოს.

ვოიცეკი. ახლა ვერ შევძლებ, ბატონო ექიმო.

ექიმი (აღელვებით). კედელზე კარგად შესძლო! ხომ არ დავიწყებია ვოიცეკს, რომ ჩვენი კონტრაქტი შენახული მაქვს. მე არაფერი მეჩვენება, ჩემი ორი თვალითა ვნახე. ცხვირი მაინც არ მქონოდა ფანჯარაში გაყოფილი. ამჯერად ცემინების პროცესის შესწავლაში ვარ და ცხვირში მზის სხივებს ვუშვებდი. (ყვირის.) არა ვოიცეკ, მე არ ვბრაზობ, გაბრაზება მავნებელია ჯანმრთელობისთვის და თანაც არამეცნიერულია! პირიქით, ძალიან მშვიდად ვარ. ჩემი პულსი, როგორც წესი, საათში სამოცჯერ სცემს, ახლაც სრულიად მშვიდად ვარ. ღმერთმა დამიფაროს, ადამიანის გამო რომ ვინერვიულო. მჰ, ადამიანი! პროტეუსი რომ ვერ მოვარჩინო, კიდევ ჰო. არა, არ უნდა მოეშარდა ვოიცეკს კედელზე.

ვოიცეკი. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო ექიმო, ხასიათი ყველას სხვადასხვა აქვს, აი, რაც შეეხება ბუნებას, ბუნება ხომ ისეთი

---

1 შარდის ბუშტის შემკუმშველი კუნთი.

რამეა... (თითებს ატკაცუნებს.)... ისეთია, როგორ გითხრათ, აი მაგალითად...

ე ქ ი მ ი. ნეტა ამდენს არ ფილოსოფოსობდეს.

ვ ო ი ც ე კ ი (გულუბრყვილოდ). ბატონო ექიმო, ბუნებაში გაორებები არ შეგიმჩნევიათ? შუადღისას, მზე რომ აცხუნებს და გგონია, საცაა სამყაროს ცეცხლი შთანთქავს, სწორედ ეგეთ წუთებში საშინელი ხმა გამომელაპარაკებია.

ე ქ ი მ ი. ვოიცეკის დიაგნოზია — აბერაცია[1].

ვ ო ი ც ე კ ი (თითს ცხვირზე იდებს). ყველაფერი ფშუკურა სოკოს ოინებია, ბატონო ექიმო. გინახავთ მიწაზე ფშუკურა სოკო რანაირ ფიგურებს ხატავს? მათი წაკითხვა რომ შეეძლოს ვინმეს...

ე ქ ი მ ი. ვოიცეკს სჭირს მეორე სახის კლასიკურად გამოხატული ტიპიური aberatio mentalis partialis[2], ნამდვილად ხელფასს მოუმატებენ. — გარდა მაგისა, ზოგადად ნორმალურ მდგომარეობაში ხანდახან ტრალალაცის ახირება. — ყველაფერს ძველებურად თუ აკეთებს ვოიცეკი? პარსავს კაპიტანს ყოველდღე?

ვ ო ი ც ე კ ი. დიახ.

ე ქ ი მ ი. მუხუდოს თუ ჭამს?

ვ ო ი ც ე კ ი. ერთი დღეც არ ჩამიგდია, ბატონო ექიმო. მიღებულ თანხას ჩემ ცოლს ვაძლევ.

ე ქ ი მ ი. სამხედრო ვალდებულებასაც პირნათლად ასრულებს?

ვ ო ი ც ე კ ი. დიახ.

ე ქ ი მ ი. ეს ჩვენი ვოიცეკი ერთობ საინტერესო ეგზემპლარია. თუ იბეჯითა, ხელფასსაც მოუმატებენ. ერთი პულსიც მიჩვენოს. ჰოო, კარგია.

## მ ა რ ი ს   ო თ ა ხ ი

(მარი. ტამბურმაჟორი.)

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. მარი!

მ ა რ ი (ვნებიანად შესცქერის.). აბა, ერთი გაიარ-გამოიარე. მკერდი ბუღას მიგიგავს, წვერ-ულვაში ლომის ფაფარს. ლედამიწის ზურგზე

[1] სწორი აზროვნებიდან გადახრა.

[2] გონების ნაწილობრივი აბერაცია.

შეენაირი კაცი არ დაიარება, ნეტა არის ქალი, ჩემი რომ არ შემურდეს?

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. მოიცა ერთი, კვიცას ბუმბულიანი ქუდი დავირქვა თავზე და თეთრი ხელთათმანები ჩავიცვა, ეშმაკმა დალახვროს! პრინცი იტყვის ხოლმე: ბიჭოს, რა ვაჟკაციაო.

მ ა რ ი (დამცინავად). რასა ბრძანებ! (წინ გადაუდგება.) ვაჟკაცი.

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. არც შენა ხარ ნაკლები. ქალი ვარო, შენ უნდა თქვა, მიაფურთხე ეშმაკს და მოდი, პატარა ტამბურმაჟორები ვაკეთოთ. (ეხვევა.)

მ ა რ ი (გუნება წამხდარი). გამიშვი!

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. რამ გაგაველურა?

მ ა რ ი (უხეშად). არ მომეკარო!

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. რა ეშმაკი ჩაგიძვრა თვალებში?

მ ა რ ი. რაც გინდა ისა თქვი, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია.

## ქ უ ჩ ა

(კაპიტანი, ექიმი. კაპიტანი ქშენით მიუყვება ქუჩას. მერე გაჩერდება, მძიმედ სუნთქავს და აქეთ-იქით იყურება.)

კ ა პ ი ტ ა ნ ი. ბატონო ექიმო, თუ ღმერთი გწამთ, ასე ნუ გარბიხართ! ნეტა ასე გამალებით არ იქნევდეთ ჯოხს ჰაერში! კაცი იფიქრებს, სიკვდილს აედევნებიაო ფეხდაფეხო. წესიერი და დარბაისელი ხალხი ასე არ დარბის, ჰო, დარბაისელი ხალხი. (ექიმს სერთუკში ჩაავლებს ხელს.) ბატონო ექიმო, ნება მომეცით თქვენი სიცოცხლე ვიხსნა განსაცდელისაგან.

ე ქ ი მ ი. მეჩქარება, ბატონო კაპიტანო, მეჩქარება.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. ბატონო ექიმო, იცით, ამ ბოლო დროს ისეთი კაეშანი შემომაწვა, ისე დამპია სევდამ ხელი, რომ... ჩემ ფორმასაც კი რომ ვუყურებ კედელზე დაკიდებულს, ტირილი მინდება.

ე ქ ი მ ი. ჰმ, შეშუპებული სახე, ცხიმმოდებული სხეული, სქელი ლაბაბი, ტიპური აპოპლექსიური აგებულება, ჰო, კაპიტანო, მოსალოდნელია Apoplexia cerebri[1]. თუ მხოლოდ ერთ მხარეს ჩაგექცათ სისხლი,

---

[1] ტვინში სისხლის ჩაქცევა (ლათ.).

მაშინ დამბლაც ცალ მხარეს ჩამოგიყალიბდებათ. თუ შედმა გაგილიმათ, მარტო გონება დაგებინდებათ და ასე უაზროდ ჩაათავებთ ამ წუთისოფელს: აი დაახლოებით თქვენი პერსპექტივა მომავალი ოთხი კვირისათვის. მაგრამ მერწმუნეთ, ერთობ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენთ, და თუ ღმერთმა ინება, და მეტყველების უნარი მთლიანად არ დაკარგეთ, თქვენზე ეპოქალურ ექსპერიმენტებს ჩავატარებთ.

კ ა პ ი ტ ა ნ ი. გულს ნუ მიხეთქავთ, ბატონო ექიმო. განა ცოტა ვინმეს გასკდომია გული შიშისგან! უკვე ვხედავ შავებში ჩაცმულ ხალხს. მე ვიცი, ჩემზე ყველა ერთხმად იტყვის, კეთილი კაცი იყოო, ეშმაკსაც წაუღიხარ, ექიმი ხარ თუ კუბოს ფიცარი!

ე ქ ი მ ი (ქუდს უწვდის). ბატონო კაპიტანო, როგორ ფიქრობთ, ეს რა არის? ცარიელი გოგრა გახლავთ, პატივცემულო ჯარის მაჩანჩალავ.

კ ა პ ი ტ ა ნ ი (ხელით ჩაჭყლიტავს ქუდს). ეს ვინლაა, ბატონო ექიმო? — თავში ჩარტყმული გახლავთ, ძვირფასო კუბოს ფიცარო! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — სრ გეწყინოთ, მე კეთილი კაცი ვარ, მაგრამ თუ მოვინდომე, ჰა, ჰა, ჰა, თუ მოვინდომე... (გამოჩნდება ვოიცეკი და ისაა მოსაუბრეებს უნდა ჩაუაროს, რომ...) ეპეი, რა მიარბენინებს ვოიცეკს, მოიცადოს ვოიცეკმა. გახსნილი სამართებელივით არ დაქრის, ფრთხილად, ზედ ვინმე არ წამოაგო. გარბის, თითქოს მთელი ლეგიონი ჰყავდეს გასაპარსი და თუ ვერ მოასწრო, ისე ჩამოახრჩობენ, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს. რაც შეეხება გრძელ წვერს — მოიცა, რა უნდა მეთქვა? გრძელი წვერი, ვოიცეკ...

ე ქ ი მ ი. ჯერ კიდევ ფლინიუსს უთქვამს, ჯარისკაცები გადააჩვიეთ ნიკაპზე წვერის მოშვებასო...

კ ა პ ი ტ ა ნ ი (თავისას აგრძელებს). ჰო, გრძელ წვერზე მოგახსენებდით! როგორ არის საქმე, ჯერ არ უპოვნია ვოიცეკს თეფშში წვერიდან ჩავარდნილი თმა? არ ესმის ვოიცეკს, რას ვამბობ? კაცის თმა, მესანგრის ან უნტეროფიცრის ან სულაც ტამბურმაჟორის? ნაო ვოიცეკ, თუმცა ვოიცეკს ხომ წესიერი ცოლი ყავს. სხვებივით კი არ აცუცურაკებს ქმარს.

ვ ო ი ც ე კ ი. რისი თქმა გნებავთ, ბატონო კაპიტანო?

კ ა პ ი ტ ა ნ ი. რანაირად მოექცა ამ კაცს სახე!.. თუმცა, თუ წვნიანში არაფერი უპოვნია, ახლა აჩქარდეს ვოიცეკი და იქით შეუხვიოს, შეიძლება ერთი ვინმეს ბაგეზე კიდევ არის ის თმა. ოღესლაც მეც

მიყვარდა ქალის ბაგე, ვოიცეკ. ერიჰაა, რა მიტკლის ფერი დაედო ამ კაცს!

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო კაპიტანო, მე ერთი საწყალი კაცი ვარ და ქვეყნად მეტი არაფერი გამაჩნია. ბატონო კაპიტანო, თუ მეხუმრებით...

კ ა პ ი ტ ა ნ ი. მეხუმრებით?! შენ გეხუმრები, ბიჭო?

ე ქ ი მ ი. პულსი, ვოიცეკ, პულსი — სუსტი, არითმიული, გამოვარდნებით...

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო კაპიტანო, დედამიწა ჯოჯოხეთივით ვარვარებს, მე კი ვიყინები, თავს დავდებ, ჯოჯოხეთში საყინულეა. შეუძლებელია! ადამიანო! შეუძლებელია!

კ ა პ ი ტ ა ნ ი. რა ექნა, ამ კაცს შუბლში ტყვია ხომ არ მონატრებია! ღამის თვალებით გამბურღლის, მე კი მისთვის კარგის მეტი რა მინდა, იმიტომ, რომ ვოიცეკი კარგი კაცია და კეთილი.

ე ქ ი მ ი. სახის კუნთები დაჭიმული, რიგიდული, დროდადრო მთრთოლვარე. საერთო მდგომარეობა დაძაბული და აღგზნებული.

ვ ო ი ც ე კ ი. წავალ, ყველაფერი მოსალოდნელია. კაცნი ვართ, ყველაფერი მოსალოდნელია. რა მშვენიერი ამინდია დღეს, ბატონო კაპიტანო. ისეთი ლამაზია ცა, ისეთი ურყევი და რუხი, რომ ლურსმნის მიჭედება და ზედ ჩამოკონწიალება მოუნდება კაცს, თუნდაც იმიტომ, რომ ზღვარი არსებობს ჰო-სა და არას შორის. ჰო და არა, ბატონო კაპიტანო! ნეტა არამ ავნო ჰო-ს რამე, თუ ჰო-მ არას. ამაზე უნდა ვიფიქრო (გრძელი ნაბიჯით შორდება იქაურობას, ჯერ ნელა მიდის, მერე ფეხს აუჩქარებს.)

ე ქ ი მ ი (მიაძახებს). ფენომენალურია! ხელფასის მომატება მაგას!

კ ა პ ი ტ ა ნ ი. ეს ხალხი გამაგიჟებს. რას დარბის, რა დაკარგვია?! თუ აყლაყუდაა, ობობას ფეხის ჩრდილივით მოძრაობს, ჩია კაცი თუა, კუნტრუშ-კუნტრუშით მიდის. აყლაყუდა ჭექას მაგონებს, ჩია კი — ქუხილს, ჰა, ჰა, ჰა, ესეც გროტესკი!

# მარის ოთახი

(მარი, ვოიცეკი.)

ვ ო ი ც ე კ ი (მარის დაჟინებით მიშტერებული თავს აქნევს). ჰმ, ვერაფერს ვხედავ, ვერაფერს! არადა, ცოტა დავინახო და მუშტიკრივზე გადავიღე.

მ ა რ ი (შეშინებული). რა გჭირს, ფრანც? რამ გაგაგიჟა, რა მოხდა?!

ვ ო ი ც ე კ ი. აქ ისეთი სიგრძე-სიგანის ცოდვა ტრიალებს, და ეს ცოდვა ისე ყარს, რომ ანგელოზებმა თავს უშველეს და ცაში მიიმალნენ. მარი, ტუჩები დაგწითლებია, იარაც ხომ არა გაქვს ზედ? რა ლამაზი ხარ, მარი, ცოდვასავით ლამაზი — არ მეგონა, ცოდვა ასეთი მომხიბლავი თუ იყო.

მ ა რ ი. ფრანც, რას ბოდიალობ?

ვ ო ი ც ე კ ი. ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი! სთქვი, აქ იდგა? აქ? ასე?

მ ა რ ი. დღე რაც გრძელია და სამყარო ისე ძველი, მე რა ვიცი, ვინ სად და როდის იდგა.

ვ ო ი ც ე კ ი. დავინახე!

მ ა რ ი. თვალი თუ გიჭრის და მზეც თუ კარგად ანათებს, ბევრ რამეს დაინახავ.

ვ ო ი ც ე კ ი. დედაკაცო! (მივარდება მარის.)

მ ა რ ი. არ მომეკარო! მირჩევნია დანა ჩამცე გულში, ოღონდაც ხელი არ მახლო, ათი წლის გოგო ერთს რომ შევხედავდი მამაჩემს, ისიც კი ვერ მეკარებოდა.

ვ ო ი ც ე კ ი. დედაკაცო! — არა, როგორ არაფერი შეგეტყო! ადამიანი — უფსკრულია, ჩაიხედავ შიგ და გულგახეთქილი უკან გამოხტები. თავი კი ისე მოგაქვს, თითქოს შენზე უმწიკვლო ქალი არ დადიოდეს დედამიწის ზურგზე. სწორედ ეგეთი უმწიკვლოება ყოფილა საშიში. აბა მე რა ვიცოდი! იცის კია ვინმემ? (გადის.)

## ს ა გ უ შ ა გ ო

(ვოიცეკი, ანდრე.)

ა ნ დ რ ე (მღერის). დღისით და ღამით ბალში დამჯდარა,
მსახური გოგო ბალში დამჯდარა,
ხელმარჯვე გოგო მედუქნე ქალის...

ვ ო ი ც ე კ ი. ანდრე!

ა ნ დ რ ე. რაო!

ვ ო ი ც ე კ ი. კარგი ამინდია, არა?

ა ნ დ რ ე. ნამდვილი საკვირაო ამინდია. ქალაქგარეთ უკრავენ და მღერიან, წელან გოგოები გარბოდნენ იქით. აუარება ხალხი ტრიალებს, ერთი ამბავიაო.

ვ ო ი ც ე კ ი (ალგზნებული). ცეკვავენ, ანდრე, ცეკვავენ!

ა ნ დ რ ე. ჰო, ალბათ სულ გზრიალ-ტრიალი გააქვთ.

ვ ო ი ც ე კ ი. ცეკვავს! ცეკვავს!

ა ნ დ რ ე. იცეკვოს, შენ რა გენაღვლება.

და ჯარისკაცებს უცდის, მოელის,
თორმეტს ჩამოჰკრავს ვიდრე საათი,
ვიდრე საათი თორმეტს ჩამოჰკრავს.

ვ ო ი ც ე კ ი. ანდრე, აქ ვერ გავჩერდები.

ა ნ დ რ ე. სულელო!

ვ ო ი ც ე კ ი. გარეთ უნდა გავიდე. თვალწინ ყველაფერი მიტრიალებს. იცეკვე! იცეკვე! ალბათ როგორ უხურს ხელები! დასწყევლოს ღმერთმა, ანდრე!

ა ნ დ რ ე. რა იყო?

ვ ო ი ც ე კ ი. მივდივარ, უნდა ვნახო.

ა ნ დ რ ე. რა გაჭირვე საქმე. ღირდეს მაინც...

ვ ო ი ც ე კ ი. მცხელა, აქ სული მეხუთება, გარეთ უნდა გავიდე.

# დუქანი

(დუქნის ფანჯრები ღიაა, ოთახში ცეკვავენ. ეზოში, სახლის წინ მერხები დგას. ხელოსნის შეგირდები.)

პირველი შეგირდი. ჩემი არ არის, პერანგი რომ მაქვს,
არყის სუნად ყარს, სული რომ მაქვს.

მეორე შეგირდი. მეგობარო, გინდა ძმურად შენს ბუნებას ერთი დიდი ნახვრეტი გავუჩინო? მომყევით! ბუნებას ნახვრეტს ვუჩენ! კაცი არ ვიყო, ერთი ცოცხალი ტილიც თუ შეგარჩინე ტანზე.

პირველი შეგირდი. სული, ჩემი სული, არყის სუნად ყარს! — მთელი უბედურება იმაშია, რომ ფულიც ხრწნას იწყებს, ლამაზო კესანე, და მაინც, რა მშვენიერია ეს ქვეყანა! ძმაო, ისეთი სევდა შემომაწვა გულზე, ჩემი ცრემლი ერთ კასრს აავსებს. ეს ოხერი, ცხვირების ნაცვლად ბოთლები მაინც გვება, რომ ერთმანეთს პირდაპირ ყელში ვასხათ ღვინო.

ანდრე (გუნდში). ერთხელ ერთი მონადირე,
ის ფალცელი მონადირე,
აჭენებდა ტყეში ცხენსა,
ლაღად იჯდა უნაგირზე,
არ ნაღვლობდა არაფერსა.

(ვოიცეკი ღია ფანჯრიდან ოთახში იხედება, მარი და ტამბურმაჟორი ცეკვა-ცეკვით ჩაუქროლებენ, მაგრამ მას ვერ ხედავენ.)

ვოიცეკი. ფუი, ეშმაკს! ერთიც აქ არის და მეორეც.

მარი (თან ცეკვავს). უფრო სწრაფად! უფრო სწრაფად!

ვოიცეკი (სუნთქვა ეკვრის). უფრო სწრაფადო (მუშტებს კრავს.) იტრიალეთ, იბზრიალეთ! რატომ ღმერთი მზეს არ დააბნელებს, რომ ყველაფერი, კაცი და ქალი, ადამიანი და პირუტყვი ერთმანეთში აიზილოს. დღისით, მზისით, ყველას თვალწინ ქინქლასავით ტრიალებს! — დედაკაცო! აგრე რამ აგანთო? სწრაფადო, უფრო სწრაფადო! (წამოხტება.) იმ ვაჟბატონს სადაც მოეპრიანება, იქ კიდებს ხელს. ჩემი იყო, ახლა სხვისია. (გაოგნებისგან ფეხები ეკეცება და ჯდება.)

პირველი შეგირდი (მაგიდაზე დგას და ქადაგებს). აი, თუნდაც

დროის მდინარესთან მისული ან ღვთაებრივ სიბრძნეს დაწაფული მგზავრი თუ ჰკითხავს საკუთარ თავს, რატომ არსებობს ადამიანიო, დიახ, რატომ არსებობს ადამიანი? გინდათ იცოდეთ, რატომ? — აბა, ღმერთს რომ ადამიანი არ შეექმნა, რითი იარსებებდა გლეხი, ან მლებავი, ან მეწაღე, ან სულაც ექიმი? რითი შეჭამდა თერძი პურს, ღმერთს რომ ადამიანისთვის სირცხვილის გრძნობა არ შთაეგონებინა? და უნდა ეკეთებინა ჯარისკაცს, მისთვის ღმერთს ხოცვის სურვილი რომ არ შთაენერგა? რატომ დაფიქრდით? სწორედაც რომ მშვენიერია და ნეტარი ეს სამყარო, რა ვუყოთ რომ დედამიწა გაოხრდა, ფულიც კი გაიხრწნა და ქოთს. მაშ მოდით, ჩემო კარგო მსმენელებო, და ურიას გულის გასახეთქად ერთი ჯვარედინად მოვშარდოთ.

(ღრიანცელი და შეძახილები გამოაფხიზლებენ ვოიცეკს. წამოხტება და საჩქაროდ გაშორდება იქაურობას.)

ვ ო ი ც ე კ ი. სწრაფადო! უფრო სწრაფადო! — წრუპ, წრუპ, წრუპუნებენ ვიოლინოები და ფლეიტა — სწრაფადო, უფრო სწრაფადო! შეწყვიტეთ დაკვრა! ეს რა ხმა ისმის ქვევიდან?! (მიწაზე გაწვება.) რაო, რას ამბობთ? ხმამაღლა მითხარით, უფრო ხმამაღლა! მოკალი, მოკალი ეგ ძუკნაო! — მოვკლა, მოვკლა ეგ ძუკნა?! — უნდა მოვკლა? აუცილებლად? აქედანაც იგივე მესმის. — ქარიც ამას იმეორებს? ყოველი მხრიდან ისმის: მოკალი, მოკალი!

## ოთახი ყაზარმაში

(ღამეა, ანდრე და ვოიცეკი ერთ საწოლზე წვანან.)

ვ ო ი ც ე კ ი (ხმადაბლა). ანდრე!

(ანდრე რაღაცას ბურტყუნებს ძილში. ანჯღრევს.) ანდრე, ანდრე!

ა ნ დ რ ე. რა იყო, რა გინდა?

ვ ო ი ც ე კ ი. ვერ ვიძინებ! თვალს დავხუჭავ თუ არა, ყველაფერი ტრიალებს, ვიოლინოები კი უკრავენ და უკრავენ, სწრაფად, უფრო სწრაფად. არ გესმის, კედლიდან ვიღაც რომ დაპარაკობს?

ა ნ დ რ ე. ჰოო — იცეკვონ, შენ რა?! თვალს ვერ ვახელ, ისე მეძინება. ღმერთო, შენ იყავი ჩვენი მფარველი, ამინ.

ვ ო ი ც ე კ ი. ყურში ვიღაც ჩამძახის: მოკალი და მოკალიო! თან დანასავით რაღაცას მიტრიალებს თვალწინ.

ა ნ დ რ ე. დაიძინე, გიჟო! (იძინებს.)

ვ ო ი ც ე კ ი. სწრაფად, სწრაფად, უფრო სწრაფად!

## ექიმის ეზო

(ეზოში დგანან სტუდენტები და ვოიცეკი. ექიმი მანსარდის ფანჯარაშია გადმოყუდებული.)

ე ქ ი მ ი. ბატონებო, იცით, აქ, სხვენში ვინა მგონია თავი? დავითი, ბაცება რომ იხილა. საუბედუროდ ვერაფერს ვხედავ, პანსიონის ეზოში გასაშრობად გაფენილი პანტალონების გარდა. ბატონებო, ჩვენ შევჩერდით ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, სუბიექტის დამოკიდებულებაზე ობიექტისადმი. მაგალითად, თუ ავიღებთ სულიერს, რომელშიც ღვთაებრივის ორგანული თვითდამკვიდრება ერთობ მაღალ საფეხურზე ვლინდება და განვიხილავთ მის დამოკიდებულებას სივრცის, დედამიწის ან პლანეტებისადმი, ბატონებო, ეს კატა რომ ფანჯრიდან ვისროლო, როგორი იქნება ამ არსების დამოკიდებულება centrum gravitationis-ადმი, საკუთარი ინსტინქტების შესაბამისად? — აბა, ვოიცეკ, (ღრიალებს.) ვოიცეკ!

ვ ო ი ც ე კ ი (იჭერს კატას). ბატონო ექიმო, იკბინება!

ე ქ ი მ ი. ისე ეხუტება, თითქოს ცხოველი კი არა, ბებიამისი იყოს. (ქვემოთ ჩამოდის.)

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო, მაკანკალებს.

ე ქ ი მ ი (აღფრთოვანებით) ოჰო, მშვენიერია, ვოიცეკ! (ხელებს ისრესს, მერე კატასართმევს.) ამას რას ვხედავ, ბატონებო, ნახეთ, ტილის ახალი სახეობა, თანაც რა მშვენიერი სახეობაა... (ლუპას მოიმარჯვებს, მაგრამ კატა ხელიდან გაუსხლტება და მოკურცხლავს.) ბატონებო, ნუ ელით ცხოველისგან მეცნიერულ ინსტინქტებს... არაფერია, ახლა თქვენ სხვა საინტერესო მოვლენის მოწმენი გახდებით: აი, ამ კაცს, აგერ უკვე მეოთხედი წელიწადი მთავრდება, მუხუდოს გარდა სხვა არა უჭამია რა. შედეგიც სახეზეა, აბა პულსი გაუსინჯეთ — სრულიად არათანაბარი! ახლა თვალებში ჩახედეთ!

ვ ო ი ც ე კ ი. ბატონო ექიმო, თვალთ მიბნელდება.

ე ქ ი მ ი. ჟოჩალად, ვოიცეკ, რამდენიმე დღეც და ყველაფერი დამთავრდება. ხომ ხედავთ ბატონებო, ხომ ხედავთ! (სტუდენტები ვოიცეკს უსინჯავენ საფეთქლებს, პულსს და მკერდს.) ჰო, მართლა, ვოიცეკ, აბა ერთი ამ ბატონებს უჩვენე, ყურებს როგორ ამოძრავებს! რა ხანია მინდა წარმოგიდგინოთ, აი, დააკვირდით, მოქრაობს მხოლოდ ორი კუნთი, აბა მოდი!

ვ ო ი ც ე კ ი. ოო, ბატონო ექიმო!

ე ქ ი მ ი. შე ვირო, მე აგიმოძრავო ყური? თუ კატასავით გინდა გაძვრე! აი, ბატონებო! ეს გახლავთ გარდამავალი საფეხური ადამიანიდან სახედარზე, ხშირ შემთხვევაში კი, დედის აღზრდის შედეგი. ნეტა დედაშენმა სიყვარულით რამდენი ღერი თმა ამოგაგლიჯა სამახსოვროდ! ამ ბოლოს ხანს ნამეტანი შეგითხელდა ქოჩორი. დიახ, ბატონებო, ესეც თქვენი მუხუდო.

## ყაზარმის ეზო

ვ ო ი ც ე კ ი. გაიგე რამე?

ა ნ დ რ ე. აქ არის ამხანაგთან ერთად.

ვ ო ი ც ე კ ი. რაო, რა თქვა?

ა ნ დ რ ე. რა იცი, რომ თქვა? აბა როგორ გითხრა, ჯერ იცინა, მერე ასე ბრძანა, გემრიელი დედაკაციაო. ვაგლახები, რა გავა აქვს, თანაც სულ ხურსო.

ვ ო ი ც ე კ ი (ცივად). მართლა ასე თქვა? მოიცა, რას მესიზმრებოდა წუხელ მთელი ღამე? მგონი დანა. ხან რა სისულელე ესიზმრება კაცს.

ა ნ დ რ ე. საით, მეგობარო?

ვ ო ი ც ე კ ი. ჩემს კაპიტანს ღვინო უნდა მივართვა. ანდრე, ჩემთვის მაინც ეგ იყო პირველი და უკანასკნელი.

ა ნ დ რ ე. იყო, ვინ?

ვ ო ი ც ე კ ი. არა, არაფერი, არავინ. მშვიდობით. (გადის.)

## დუქანი

(ტამბურმაჟორი, ვოიცეკი, ხალხი.)

ტ ა მ ბ უ რ მ ა ჟ ო რ ი. მე ვაჟკაცი ვარ! (მუშტს მკერდზე ირტყავს.) ვაჟკაცი ვარ მეთქი. ვინმეს რამე ხომ არ გეშლებათ? ვინც მთვრალი არ არის, აქედან მოშორდეს, თორემ საჯდომში შეუტენი ცხვირს! — მე — (ვოიცეკს მიმართავს.) ეი, შენ დალიე! ეს ქვეყანა არყად მინდა იქცეს, არყად. კაცი თუ ხარ, სმა უნდა შეგეძლოს (ვოიცეკი უსტვენს.) ბიჭო, იმდენს ნუ იზამ, რომ ენა ამოგაძრო და ტანზე შემოგახვიო. (ჩხუბობენ, ვოიცეკი მარცხდება.) გინდა სული ამოგხადო, გინდა? (ქანცგაწყვეტილი და აკანკალებული ვოიცეკი სკამზე ეშვება.)

ცხოვრება ჩემი — არაყია,
ძალა ჩემი — არაყია.

ქ ა ლ ი. უი, რა ღლეში ჩაუგდია.
ა ნ დ რ ე. სულ სისხლიანი.
ვ ო ი ც ე კ ი. ჯერ ერთი, მერე მეორე.

## მეწვრილმანის მაღაზია

(ვოიცეკი, ებრაელი.)

ვ ო ი ც ე კ ი. იარაღში ძვირს ითხოვ.
ე ბ რ ა ე ლ ი. ჰა, ყიდულობ თუ არა, გადაწყვიტე!
ვ ო ი ც ე კ ი. დანა რა ღირს?
ე ბ რ ა ე ლ ი. არჩევანიც ეგეთი უნდა. ყელში გინდა გაშოისვა? თქვი რაღა. იაფად ვიძლევი. მუქთად არც სიკვდილი ვარგა, იაფად სიკვდილს რა ჯობია? თან მოკვდები, თან ფულს დაზოგავ!
ვ ო ი ც ე კ ი. ამით პურსაც გაჭრი და სხვა რამესაც.
ე ბ რ ა ე ლ ი. ორი გროში.
ვ ო ი ც ე კ ი. აჰა! (გადის.)
ე ბ რ ა ე ლ ი. აჰა! ორი გროში რა, ფული არ არის? ძაღლო შენა!

## მარის ოთახი

ჰ კ უ ა ს უ ს ტ ი კ ა რ ლ ი (წევს, ზღაპარს ყვება, თან თითებს ათამაშებს). მეფე ბატონს ოქროს გვირგვინი ადგას თავზე. ხვად ქალბატონ დედოფალს შვილს მოვგერი... სისხლის ძეხვი ღვიძლის ძეხვს ეუბნება: მოდი ჩემთანო...

მ ა რ ი (ბიბლიას ფურცლავს). „არცა იპოვა ზაკუვაი პირსა მისსა"... ღმერთო, ნუ მიცქერი (წიგნს გადაფურცლავს.) „ხოლო ფარისეველთა მოიყვანეს მისა დედაკაცი, რომელი ცხადად ერსა ზედა დაეპყრო მრუშობასა, და დაადგინეს იგი შორის... და იესუ ჰრქუა მას: არც მე განგიკითხავ, წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ შენ" (ხელებს ერთმანეთს აჭდობს.) ღმერთო! ღმერთო! არ შემიძლია ღმერთო, მომეცი ძალა, რომ ვილოცო! (ბავშვი ეხუტება მარის.) ეს ბავშვი მაინც არ მიკლავდეს გულს. (კარლს.) კარლ, ბავშვი გამომართვი. (კარლი ჩუმდება და ბავშვს იყვანს ხელში.) ფრანცი არ გამოჩენილა არც გუშინ, არც დღეს, როგორ ჩამოცხა. (აღებს ფანჯარას და აგრძელებს კითხვას.) „და დადგა ფერხთა თანა მისთა და ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლთა ფერხთა მისთა და თმითა თავისა მისისაითა წარხოცად და ამბორს უყოფდა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა".

(მკერდზე ხელს იცემს და ტირის.) ყველაფერი დაიმსხვრა! უფალო! უფალო! მეც მინდა შენს ფეხს ვეამბორო.

## ყაზარმა

(ანდრე, ვოიცეკი თავის ნივთებს ალაგებს.)

ვ ო ი ც ე კ ი. ანდრე, ეს ქურთუკი ჩემი საკუთრებაა. აჰა, გამოგადგება.

ა ნ დ რ ე (გახევებული ზის და ყველაფერზე ერთნაირად პასუხობს). კარგი.

ვ ო ი ც ე კ ი. ეს ჯვარი ჩემი დისაა, ბეჭედიც.

ა ნ დ რ ე. კარგი.

ვ ო ი ც ე კ ი. ერთი წმინდა სურათიცა მაქვს. ზედ ორი გულია ოქროთი მოხატული — დედაჩემის ბიბლიაში იდო, ნახე რა აწერია:

დაე აგრე იყოს გულიცა ჩემი,
ჭრილობებით დასერილი და ალისფერი,
უფალო როგორც სხეული შენი.

ღელაჩეში მზის სითბოსაც ძლივსღა გრძნობს ხელებზე, ასე რომ, ესეც შენ გქონდეს.

ა ნ დ რ ე. კარგი.

ვ ო ი ც ე კ ი (რაღაც ქაღალდს იღებს და კითხულობს). ფრიდრიჰ იოჰან ფრანც ვოიცეკი, მეოთხე ასეულის მეორე ბატალიონის მეორე ფეხოსანი ლეგიონის ჯარისკაცი. დაბადებული 20 ივლისს. მაშ დღეს 30 წლის, 7 თვისა და 12 დღისა ვყოფილვარ.

ა ნ დ რ ე. ფრანც, წადი ლაზარეთში. შე საწყალო, იქნებ რამე წამალი ან არაყი მაინც დაგალევინონ. სიცხე დაგიდგარდება.

ვ ო ი ც ე კ ი. ეჰ, ჩემო ანდრე, როცა დურგალი ბურბუშელას აგროვებს, არავინ იცის წინასწარ, ზედ ვისი თავი გაგორდება.

ქ უ ჩ ა

(მარი და გოგონები სახლის წინ დგანან, იქვეა ბებიაც. მერე მოდის ვოიცეკი.)

გ ო გ ო ნ ე ბ ი: ჩახჩახა მზის ქვეშ, ნათელ დღეს,
თავთავენი ყელყელაობდენ,
ისინიც დაწყვილებულნი,
ორ-ორად მინდორს გაუყვნენ.
წინ უძღოდნენ მესტვირენი,
ვიოლინოზე დამკვრელნი,
მათ ეცვათ ჭრელი წინდები...

პ ი რ ვ ე ლ ი გ ო გ ო. ეს სიმღერა არ მომწონს!

მ ე ო რ ე გ ო გ ო. აბა რა ვიმღეროთ?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ო გ ო. მარი, ვიმღერე რა?!

მ ა რ ი. არ შემიძლია.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ო გ ო. რატომ?

მ ა რ ი. იმიტომ.
მ ე ო რ ე  გ ო გ ო. რატომ იმიტომ?
მ ე ს ა მ ე  გ ო გ ო. ბებია, მაშინ შენ გვიამბე რამე.
ბ ე ბ ი ა. აბა აქეთ მოდით, თქვე ჭინკებო! — იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი ბავშვი. არც დედა ჰყავდა, არც მამა, დახოცვოდა ყველა და იყო სულ მარტო. ქვეყნად ცოცხალი აღარავინ დარჩენილიყო, ის კი დადიოდა და ეძებდა, დღე და ღამე დადიოდა, რომ ერთი სულიერი მაინც ეპოვნა. და როცა დარწმუნდა, დედამიწაზე აღარავინაა ცოცხალიო, გადაწყვიტა ზეცაში ასულიყო, იმიტომ, რომ იქიდან კეთილი მთვარე დაჰყურებდა, მაგრამ მთვარესთან რომ მივიდა, იქ მთვარის ნაცვლად დამპალი შეშის ნაჭერი დახვდა. მერე მზისკენ წავიდა, და მზეს რომ მიაღწია, მზის ნაცვლად დამჭკნარი მზესუმზირის ყვავილი დახვდა. და როდესაც ვარსკვლავებთან მივიდა, ვარსკვლავების მაგიერად ცას მიჭიმბილი ოქროს კოლოები იხილა, აი ისეთი, მრავალფეხა რომ კვრინჩხს მიარჭობს ხოლმე; როცა დედამიწაზე დაბრუნება მოუნდა, აღმოჩნდა, რომ დედამიწა გადმობრუნებული თხიდის ნაჭუჭი იყო და სხვა არაფერი. ასე დარჩა ბავშვი სულ მარტოდ მარტო. მერე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. ახლაც მარტო ზის და ცრემლი სდის.
ვ ო ი ც ე კ ი (შემოდის). მარი!
მ ა რ ი (შეშინებული). რა იყო?
ვ ო ი ც ე კ ი. წავიდეთ, დროა.
მ ა რ ი. სად უნდა წავიდეთ?
ვ ო ი ც ე კ ი. ეგ რომ ვიცოდე!?

## ტბა ტყის პირას

(მარი და ვოიცეკი.)

მ ა რ ი. მაშ ქალაქი იქითაა? რა უკუნეთი სიბნელეა.
ვ ო ი ც ე კ ი. ჯერ ნუ წახვალ, აქ ჩამოჯექი.
მ ა რ ი. უნდა წავიდე, მეჩქარება.
ვ ო ი ც ე კ ი. ისე წახვალ, ფეხი არ დაგელდება.
მ ა რ ი. რა სხვანაირად მელაპარაკები?

ვ ო ი ც ე კ ი. თუ იცი მარი, რამდენი ხანია ერთად ვართ?

მ ა რ ი. სამებას გარე ორი წელი გახდება.

ვ ო ი ც ე კ ი. იქნებ ისიც იცი, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებით ერთად?

მ ა რ ი. მეჩქარება, ვახშამი მაქვს მოსამზადებელი.

ვ ო ი ც ე კ ი. რა გაკანკალებს მარი, გცივა? თბილი რომ ხარ? ტუჩებიც ცხელი გაქვს. ხურხარ, ხურხარ, შე კახპავ! ახლაც კი, სამოთხეს დავთმობდი შენი ერთი კოცნისთვის. — გცივა? არაფერია, გაცივდები და კანკალიც გაგივლის. დილის ცვარზე აღარ იკანკალებ.

მ ა რ ი. რას ამბობ?

ვ ო ი ც ე კ ი. არაფერს.

(ერთხანს დუმან.)

მ ა რ ი. როგორი წითელი მთვარე ამოცურდა.

ვ ო ი ც ე კ ი. მთვარე კი არა, სისხლიანი დისკოა.

მ ა რ ი. ფრანც, მითხარი, რას აპირებ? სახეზე ფერი არ გადევს. (ვოიცეკი დანას აღმართავს.) შეჩერდი, ფრანც! გემუდარები, ღვთის გულისათვის, მიშველეთ, მიშველეთ!

ვ ო ი ც ე კ ი (დანას არტყამს). აი შენ, აი შენ! არ კვდები? ესეც, ესეც! — კიდევ ფართხალებს, ახლაც არ მოკვდები?! არც ახლა! ესეც შენ. (გამალებით ურტყამს დანას.) ახლა ხომ მოკვდი! ხომ მოკვდი. (დანას ძირს აგდებს და გარბის).

## დუქანი

ვ ო ი ც ე კ ი. იცეკვეთ, იცეკვოს ყველამ! სწრაფად, უფრო სწრაფად! გაიოფლეთ, გაიხვითქეთ! ბოლოს ხომ მაინც ყველას სიკვდილი დაგრევთ ხელს (მღერის), ეჰ, ძვირფასო ჩემო ქალო,

რა გეგონა, რას ფიქრობდი,
მეფორნეებს, მეეტლეებს,
ყელზე რომ ეკიდებოდი.

(ცეკვავს.) ასე, ჩემო ქეთე! დამცხა, ძალიან დამცხა, (პერანგს იხდის.) ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი. ეშმაკი ერთ ქალს რომ დაიჭერს, მეორეს გაუშვებს. ქეთე, ასე რამ გაგახურა? მოვა დრო და შენც გაცივდები. იცოდე, ჭკუით იყავი — ერთი იმღერე რა?

ქ ე თ ე (მღერის). არ მიყვარს შვაბთა ქვეყანა,
არც ჩაცმა გრძელი კაბის,
მოახლეს რაც არ უხდება,
იმისი ჩაცმა არ ღირს.

ვ ო ი ც ე კ ი. არა, არც ფეხსაცმელი გინდა, ჯოჯოხეთში ფეხშიშველსაც მიგიღებენ.

ქ ე თ ე (მღერის). ეს რა ჰქენი კარგო, ეს რა ჩაიდინე,
შეინახე ეგ ტალერი, მარტო დაიძინე.

ვ ო ი ც ე კ ი. მართალი ხარ, რაზე გავისვარო სისხლში!

ქ ე თ ე. მოიცა, ეს რა გაქვს ხელზე?

ვ ო ი ც ე კ ი. მე? რა?

ქ ე თ ე. წითელია! ვაი მე, სისხლი!

(ყველა მათ მოსცვივდება.)

ვ ო ი ც ე კ ი. სისხლი? სისხლი?

მ ე დ უ ქ ნ ე. უი, სისხლი!

ვ ო ი ც ე კ ი. ალბათ ხელი გავიჭერი, აი ეს, მარჯვენა.

მ ე დ უ ქ ნ ე. იდაყვი როგორ დაისისხლიანეთ?

ვ ო ი ც ე კ ი. ზედ შევიწმინდე და...

მ ე დ უ ქ ნ ე. მარჯვენა ხელი მარჯვენა იდაყვზე შეიწმინდეთ? მაგასაც მოხერხება უნდა!

ჭ კ უ ა ს უ ს ტ ი  კ ა რ ე ი. და სთქვა დევმა: სუნი მცემს, კაცის ხორცის სუნი მცემს. ფუი, როგორ ყარსო!

ვ ო ი ც ე კ ი. წყეულებო, რას გადამეკიდეთ! რა თქვენი საქმეა! გამატარეთ, ვინც მომეკარება... ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი და ტანი, ხომ არ გგონიათ, მოვკალი ვინმე, რა მკვლელი მე მნახეთ, რას მომჩერებიხართ, თქვენ თავს შეხედეთ, გამატარეთ! გამატარეთ! (გარბის.)

## ტ ბ ა ს თ ა ნ

ვ ო ი ც ე კ ი. დანა! დანა სად არის! აქ არ დავტოვე! დანა გამცემს! აქ არ იყო! აი ის ადგილი! რა ხმაა, რაღაც მოძრაობს. ჩუ, აი იქაა, მარი! არა, სიჩუმეა, სამარისებური სიჩუმეა! როგორ გაფითრებულხარ,

მარი?! ეს რა წითელი ზოლი გაქვს ყელზე? ვინ გაჩუქა ცოდვების-თვის ეგ ყელსაბამი? მაინც რამხელა ცოდვა გაწევს, რამხელა! მე კი შევძელი შენი განწმენდა. თმაც როგორ გაგწეწვია. დაგავიწყდა დაგეწნა? დანა! დანა! აი, ვიპოვნე! ასე! (გარბის წყლისკენ.) ჭირ-საც წაუღიხარ! (დანას წყალში აგდებს.) ქვასავით ჩაიძირა შავ წყალში — ცოტა არ იყოს, წინ მომივიდა, ვინმემ ბანაობისას რომ ნახოს?! (შედის ტბაში და უფრო შორს აგდებს.) ესეც ასე. მოიცა, ზაფხულში ნიჟარების ძებნას რომ დაიწყებენ? თუმცა იქამდე და-ჟანგდება, ველარ იცნობენ. არა, აღბათ ჯობდა გამეტეხა... კიდევ სისხლიანი ვარ? უნდა მოვიბანო. აი დაქა, აგერ აქაც...

(მოდის რამდენიმე კაცი.)

პ ი რ ვ ე ლ ი  კ ა ც ი. დაიცადეთ!

მ ე ო რ ე  კ ა ც ი. ჩუმათ, გესმის იქიდან?

პ ი რ ვ ე ლ ი. ჰო! რა საოცარი ხმაა.

მ ე ო რ ე. წყლის ხმაა, წყალი ყივის. დიდი ხანია არავინ დამხრჩვალა. წა-მო წავიდეთ, ეგ ხმა კარგს არაფერს დაგვმართებს!

პ ი რ ვ ე ლ ი. აი, ისევ. — თითქოს ვილაც კვდებაო!

მ ე ო რ ე. რა საშინელებაა; თავზე მოქუფრული ცა, ირგვლივ ხოჭოების ზუზუნი, გეგონება, გაბზარულ ზარს რეკავენო. წამო, წავიდეთ!

პ ი რ ვ ე ლ ი. მოიცა, ნახე რა გარკვევით ისმის! იქით წავიდეთ, მომყევი!

## დაუმთავრებელი ჩანაწერი

(ჭკუასუსტი კარლი, ბავშვი, ვოიცეკი.)

კ ა რ ლ ი (ბავშვი მუხლზე უზის). წყალში ჩავარდაო, წყალში ჩავარდაო წყალში ჩავარდაო...

ვ ო ი ც ე კ ი. ჩემო ბიჭო, ჩემო ქრისტიან.

კ ა რ ლ ი (ვოიცეკს მისჩერებია). წყალში ჩავარდაო...

(ვოიცეკი ბავშვის მოსაფერებლად დაიხრება, ბავშვი ემალება და ტირის.)

ვ ო ი ც ე კ ი. ღმერთო, შენ მიშველე!

კ ა რ ლ ი. წყალში ჩავარ-და-ო.

ვ ო ი ც ე კ ი. ქრისტიან, გინდა ცხენი გაჩუქო? აჩუ, აჩუ.

(ბავშვი არ ეკარება კარლის.)

აჰა, ფული, წადი ცხენი უყიდე.

(კარლი ისევ ისე ზის.)

აჩუ, აჩუ ცხენო.

კ ა რ ლ ი (გახარებული). აჩუ, აჩუ ცხენო, საით გაგაჭენო (გარბის ბავშვით ხელში.)

(შემოდიან ბავშვები.)

პ ი რ ვ ე ლ ი ბ ა ვ შ ვ ი. წამოდით, გავიქცეთ, მარი ვნახოთ!

მ ე ო რ ე ბ ა ვ შ ვ ი. ვინა? სად?

პ ი რ ვ ე ლ ი. შენ რა, არაფერი გაგიგია? უკვე ყველა იქ არის. ტყის პირას წევს თურმე.

მ ე ო რ ე ბ ა ვ შ ვ ი. სად?

პ ი რ ვ ე ლ ი. სად და გზიდან მარჯვნივ, ტყის პირას, წითელ ჯვართან.

მ ე ო რ ე ბ ა ვ შ ვ ი. წამო ჩქარა, გავიქცეთ, თორემ ვერაფერს ველარ ვნახავთ. წაიღებენ.

(სასამართლოს მოხელე, ვოიცეკი, ექიმი, მოსამართლე, პოლიციელი.)

პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. მკვლელობაც ეგეთი უნდა, აი მესმის, ჩინებული მკვლელობაა. უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. რა ხანია, ჩვენთან მსგავსი არაფერი მომხდარა!

# ლ ე ნ ც ი

ოცი იანვარი იყო. დენცი მთას მიუყვებოდა. გადასავლელი ჰქონდა თოვლიანი მწვერვალები და ქედები, რუხლორლიანი ხეობები, მწვანე მდელოები, კლდეები და ნაძვნარი.

სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ჭიუხებიდან მოჩქრიალე ჩანჩქერი ბილიკს ჰკვეთდა. ნესტიან ჰაერში მძიმედ იზნიქებოდნენ ნაძვის ტოტები. ცაზე რუხი ღრუბლები მწკრივად მიცურავდნენ, ნისლი კი ზანტად, ტლანქად დგებოდა და ნესტით დამძიმებული ეფინებოდა ბუჩქნარს.

დენცი გულგრილად მიუყვებოდა გზას, ხან აღმა, ხანაც დაღმა, არაფერი აბრკოლებდა, არც დაღლას გრძნობდა, მხოლოდ ხანდახან სინანულით თუ გაიფიქრებდა, რატომ თავდაყირა სიარული არ შემიძლიაო.

როცა ფეხქვეშ ქვა ასხლტებოდა, დაბლა ჭალარა ტყე შეირხეოდა და ნისლი ვეება მთებს ხან შთანთქავდა, ხანაც სანახევროდ გააშიშვლებდა, მაშინ აფორიაქდებოდა დენცი, ისე ეძებდა რაღაცას, როგორც გარდასულ სიზმრებს, თუმცა ვერას პოულობდა. ისე გალუმპული და უსუსური ესახებოდა ყოველივე, რომ სურდა გათოშილი დედამიწა ღუმელთან მიეტანა და გაეთბო. უკვირდა, რა დიდხანს უნდებოდა ერთი ფერდობის ჩავლას და შორეულ მიზნამდე მიღწევას. ასე ეგონა, ქვეყანას ორი ნაბიჯით შემოვივლიო, მაგრამ, როცა ქარიშხალი ღრუბლებს ხეობისკენ მოისვრიდა და ტყეს ოხშივარი აუვიდოდა, როცა კლდეები აგუგუნდებოდნენ, ჯერ ყრუდ დაიქუხებდნენ, მერე კი ისე მჭექარედ, თითქოს ველური ზარ-ზეიმით დედამიწისთვის ხოტბის შესხმა სწადიათო, როცა ღრუბლები აწყვეტილი ცხენებივით მიჭიხვინებდნენ, მათ შორის კი მზის შუქი ილვრებოდა და თავის მოელვარე მახვილს თოვლიან მაღლობზე მიასრიალებდა, ისე რომ ნათელი, თვალისმომჭრელი შუქი მწვერვალებს გადაღმა ხეობაში იჭრებოდა, როცა ქარიშხალი ღრუბლებს დაბლა მიედალებოდა და

მათ შორის ცისფერ ტბას გამოჭრიდა, როცა ქარი დაღუმდებოდა, მერე კი ღრმა უფსკრულებიდან და ნაძვების კენწეროებიდან იავნანას მსგავსად ან ზარების რეკვასავით ამოიზუზუნებდა, როცა მუქი სიდურჯე ნაზი წითელით შეფერადდებოდა და მასზე ვერცხლის ფრთაშესხმული პატარა ღრუბლები გადივლიდებოდნენ, როცა ყველა მწვერვალი, წამახული და ძლიერი, მიწიდან შორს აღმართული აკიაფდებოდა და აელვარდებოდა, მაშინ ჩასწყდებოდა ლენცს რაღაც გულში, აქოშინებული შედგებოდა, წინ გადაიხრებოდა, თვალებს და პირს ისე ფართოდ გააღებდა, თითქოს ქარიშხლის შესრუტვას, ყველაფრის საკუთარ თავში მოქცევას ლამობსო. მიწას გაეკვროდა, გაიშოტებოდა, სამყაროს შეერწყმოდა და ეს სიამოვნება ტკივილს უფრო ულვივებდა; ანდა იყო მდუმარედ, ხავსში თაჭარგული, თვალებმილულული; მაშინ ლენცი სადღაც შორეთში დაჰქროდა, მის ფეხქვეშ დედამიწა იკუმშებოდა, მოძრავი ვარსკვლავივით პატარავდებოდა და იქვე მოჩუხჩუხე ანკარა დინებაში იკარგებოდა. ეს მხოლოდ წამიერი ზმანება იყო; შემდეგ წამოდგებოდა სადი, ძლიერი, მშვიდი, თითქოსდა მის თვალწინ აჩრდილებმა გაიელვესო — ალარაფერი ახსოვდა.

შინწუხრისას ქედი გადაიარა და თოვლიან ზეგანს მიაღწია, აქედან დასავლეთ დაბლობისკენ ბილიკი ეშვებოდა. დაჯდა. სალამოს პირის სიწყნარე სუფევდა; ღრუბლები უძრავად მიჰკვროდნენ ცას; თვალი მხოლოდ მწვერვალებსა და დაქანებულ განიერ ფერდობებს სწვდებოდა, ისინიც საოცრად გარინდებული, რუხი და დაბინდული ჩანდნენ. ლენცმა თავი მეტად ეულად იგრძნო; მარტო იყო, სრულიად მარტო. საკუთარ თავთან სურდა ლაპარაკი, არ კი შეეძლო, სუნთქვასაც კი ძლივს ბედავდა, საკუთარი ნაბიჯის ხმა ჭექა-ქუხილად ეჩვენებოდა, იძულებული გახდა დამჯდარიყო. ამ უკაცრიელობაში ენით აუწერელმა შიშმა აიტანა, სიცარიელემ შთანთქა. სასწრაფოდ წამოხტა და ფერდობი ჩაირბინა.

შებინდებულიყო, ცა და დედამიწა ერთმანეთს შერწყმოდნენ. მოეჩვენა, თითქოს რაღაც კვალდაკვალ მისდევდა, რაღაც საშინელი და შემაძრწუნებელი ძალა ეწეოდა, ძალა, რომელსაც ადამიანები ვერ უმკლავდებიან, თითქოს მისკენ თავად სიგიჟე მიაჭენებდა ბედაურს.

როგორც იქნა ხმები გაიგონა, აქა-იქ შუქიც დაინახა და ცოტა გულზე მოეშვა. აქ შეიტყო, რომ ვალდბახამდე მხოლოდ ნახევარი საათის სავალილა დარჩენოდა.

სოფელს გაუყვა. ფანჯრებიდან შუქი გამოკრთოდა, მიდიოდა და თან ფანჯრებში იჭვრიტებოდა: მაგიდას ბავშვები, მოხუცი ქალები და გო-

გონები უსხდნენ, მშვიდი სახეები ჰქონდათ. ასე ეგონა, შუქს ისინი ასხივებენო, თავი უკეთ იგრძნო და სულ მალე ვალდბახის მოძღვრის სახლსაც მიაღწია.

შევიდა, მაგიდასთან ხალხი იჯდა. ტანსაცმელშემოგლეჯილ ლენცს გაფითრებულ პირისახეზე ქერა კულულები ჩამოყროდა, თვალი უთამაშებდა, ბაგის კუთხეები უთრთოდა. ობერლინს ხელოსანი ეგონა და შინ შეიპატიჟა:

— მობრძანდით, ვერ კი გიცანით.

— კაუფმანის[1] მეგობარი გახლავართ, მოკითხვა დამაბარა თქვენთან.

— რა გვარი ბრძანდებით?

— ლენცი.

— ოო, ეს გვარი მგონი წიგნში შემხვედრია. თქვენი რამდენიმე პიესა მაქვს წაკითხული.

— შესაძლებელია, ოღონდ იმ პიესებით ნუ შემაფასებთ.

საუბარს შეუყვნენ. ლენცი სიტყვებს ეძებდა, მერე კი სხაპა-სხუპით, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა; თანდათან დაწყნარდა. სიბნელეში იდუმალი ოთახი და დედა-შვილის მშვიდი სახეები გამოიკვეთა; ბავშვს პირისახეზე თითქოს ნათელი დასდგომოდა, სანდომიანად შეჰყურებდა ბნელ სიღრმეში ანგელოზივით გაყუჩებულ დედას. ლენცმა მშობლიური მხარე გაიხსენა. თავისი ეროვნული ტანსაცმელი დახატა. ოჯახის წევრები ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ გარს. ერთბაშად თავი შინაურად იგრძნო. ფერმკრთალი ბავშვური სახე გაბადროდა, რალაცას გატაცებით ყვებოდა. დამშვიდდა, ასე ეგონა, კვლავ ძველი ნაცნობები, მივიწყებული სახეები ამოტივტივდნენ ბნელიდან და აღრინდელმა სიმღერებმა გაიღვიძესო. ის შორს იყო, ძალიან შორს.

ბოლოს მისი წასვლის დროც დადგა. ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანეს. მოძღვარს პატარა ბინა ჰქონდა, ამიტომ ლენცს ოთახი სკოლის ეზოში მიუჩინეს. ზევით ავიდა, იქ სიცივე და დიდი, ცარიელი ოთახი დახვდა. სიღრმეში მაღალი საწოლი იდგა. სანათური მაგიდაზე დადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. თვალწინ გასული დღე წარმოუდგა, გაახსენდა როგორ მოეშურებოდა აქეთკენ. სინათლითა და სანდომიანი სახეებით გაცისკროვ-

---

[1] კრისტოფ კაუფმანი — ექიმი, ძლიერ ბაძავდა იმდროინდელ ელიტარულ საზოგადოებაში მიღებულსა და დაფასებულ თვალთმაქცს, კალისტროს. გოეთეს მასზე რამდენიმე ეპიგრამა აქვს დაწერილი.

ნებული მოძღვრის ოთახი სიზმარი ეგონა და უმალ ისეთივე სიცარიელე დაეუფლა, მწვერვალზე დგომისას რომ სტანჯავდა. აუწერელმა შიშმა აიტანა. წამოხტა, ოთახიდან გავარდა, კიბე ჩაირბინა და კარის ზღურბლზე შეჩერდა. ირგვლივ წყვდიადი გამეფებულიყო, ერთი სულიერიც არსად ჭაჭანებდა. ვერ გამორკვეულიყო, გონება დაბნეულებოდა, თვითონ ქცეულიყო საკუთარი თავის დანდად. გონებაში ამოტივტივებულ დაქუცმაცებულ აზრებს ხარბად ჩაეჭიდაუჭა, „მამაო ჩვენო"-ს თქმა მოუნდა, აწრიალდა, ყრუ ინსტინქტი გადარჩენისაკენ უბიძგებდა, ქვებზე წაბორძიკდა, ბრჩხილებით საკუთარ ხორცს ჩააფრინდა, ტკივილმა თანდათან დაუბრუნა ცნობიერება, ლელეში ჩახტა და წყალი აადვაფუნა.

ხმაურზე ხალხი შეიყარა, უყვიროდნენ. ობერლინმაც მოირბინა, ლენცი ერთბაშად გამოერკვა, ნათლად წარმოიდგინა სადაც იყო და შვებით ამოისუნთქა. შერცხვა და აიწურა, ეს კეთილი ხალხი როგორ შევაშინეო, ცივ წყალში ბანაობა მჩვევიაო, ჩაიბუტბუტა და ოთახში ავიდა. არაქათგამოცლილს მაშინვე ჩაეძინა.

მომდევნო დღემ უშფოთველად ჩაიარა. ობერლინთან ერთად ცხენით შეუყვა ხეობას. თვალწინ გადაეშალათ ფართო, დაქანებული ფერდობები, ვიწრო, დაკლაკნილ ხეობაში რომ იკარგებოდნენ, ხეობაში, რომელიც ყველა მიმართულებით მიცოცავდა მწვერვალებისაკენ. ბუმბერაზი ძირგანიერი კლდეები და მეჩხერი ტყე ნუხ, მკაცრ საბურველში გახვეულიყო; დასავლეთით დაბლობში და მთათა ჯაჭვი იშლებოდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით უდრტვინველად, დარბაისლური სიდინჯით, მთის მწვერვალები ალმართულიყვნენ. ეს სურათი შელამების სიზმარს გავდა. სინათლის ფართო ჭავლები დროდადრო ოქროს ნაკადივით ამოიფრქვეოდნენ ხეობებიდან, შემდეგ კვლავ ღრუბელი გამოჩნდებოდა, ყველაზე მაღალ მწვერვალზე გართხმული, ტყეს გადასერავდა, ხეობისკენ გადივლიდებოდა და მფრინავი ვერცხლის მოჩვენებასავით მზის ელვარებაში აფარფატდებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. არც ჩქამი, არც მოძრაობა, არც ჩიტის ფრთხიალი, მხოლოდ ქარი თუ დაუბერავდა ხან იქვე ახლოს, ხან სადღაც შორს, აქა-იქ ქოხებსაც დაინახავდა კაცი. ჩალით დახურულ ფიცრულებს თალხი, უნდილი ფერი ედო. მდუმარე და ნაღვლიანი მობინადრენი მხედრებს უსიტყვოდ ესალმებოდნენ, თითქოს ხეობის სიმყუდროვის დარღვევას ერიდებიანო.

ქოხებს გამოცოცხლება დაეტყო, ხალხი ობერლინს შემოეხვია, მოძღვარი სიკეთეს ქადაგებდა, არიგებდა და ამშვიდებდა ხალხს, სტუმრები

რწმენითა და ნდობით გამსჭვალულ მზერათა გარემოცვაში მოექცნენ. ობერლინს ზოგმა სიზმარი უამბო, ზოგმა თავისი წინათგრძნობა გაანდო, შემდეგ ცხოვრებისეულ საკითხებს მიუბრუნდნენ: გზების გაყვანაო, არხების გაჭრაო, ბავშვებისთვის სკოლაო და სხვ.

ობერლინი მეტად ენერგიული კაცი აღმოჩნდა, ლენციც მისი მუდმივი თანამგზავრი გახდა, საქმეში თუ სეირნობისას მუდამ თან ახლდა. ყველაფერი ეს მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. ხშირად ჩააშტერდებოდა ხოლმე ობერლინს თვალებში, უფრო მეტად რომ ეგრძნო ის უსაზღვრო სიმშვიდე, მიძინებული ბუნება ადამიანის სულს რომ მოჰფენს ხოლმე ზაფხულის მიწურულს, მთვარით განათებულ ღამეს, ულრან ტყეში ყოფნისას; ეგრძნო სიმშვიდე, მისი წყნარი თვალებიდან და დარბაისლური, დინჯი სახიდან რომ გამოსჭვიოდა. ლენცი მოკრძალებით იყო, თუმცა კი ხშირად ეკამათებოდა მოძღვარს. მასთან საუბარი ობერლინს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, მისი სათნო გამომეტყველება კი სიხალისეს მატებდა.

ლენცი მხოლოდ მანამდე იყო ყოჩაღად, სანამ ხეობას მზე დაჰნათოდა, შებინდებასთან ერთად უცნაური შიშის გრძნობა ეუფლებოდა და ისე იწყებდა ცმუკვას, თითქოს სურს, მზეს თან გაჰყვესო. ჩამოწვებოდა წყვდიადი, გარემო შემაზრზენ სახეს იღებდა და ლენცი კრთებოდა როგორც უკუნეთ ღამეში მძინარე ბავშვი. ეჩვენებოდა, ვბრმავდებიო. მერე დიდდებოდა, იზრდებოდა სიგიჟის კოშმარი და მის ფერხთით იკალათებდა. ღლისით განცდილი, სიზმარი ეგონა და სასოწარკვეთას ეძლეოდა. თითოეულ საგანს ებღაუჭებოდა, თვალწინ ალეკვებული უცხო სხეულებისკენ მიიწევდა, მერე ხვდებოდა, ჩვეულებრივი ჩრდილები რომ მოძრაობდნენ, ერთბაშად ძალა ეცლებოდა და ხელ-ფეხი უშეშდებოდა. იწყებდა დაპარაკს, სიმღერას, შექსპირის ხმამაღლა კითხვას, ეპოტინებოდა იმას, რასაც კი ოდესმე მისთვის სისხლი აუჩქროლებია, მაგრამ ამაოდ — სციოდა, იყინებოდა. ხან გარეთ გავარდებოდა. წყვდიადს რომ შეაჩვევდა თვალს, ღამეში გაფანტულ მკრთალ ნათელსაც დაინახავდა და ეამებოდა. მერე ლელეს მიაშურებდა, წყლის შაცოცხლებელი ძალა გამოაფხიზლებდა, თან თავს აიმედებდა, იქნებ ავად მაინც გავხდეო — ამიტომ ცდილობდა უხმაუროდ ებანავა.

აქტიურმა ცხოვრებამ ლენცს სულიერი სიმშვიდე დაუბრუნა. ხან ობერლინს ესაუბრებოდა, ხანაც ხატავდა, ან ბიბლიას კითხულობდა, ძველი, მივიწყებული იმედებიც გაახსენდა; და აი, ახალი აღთქმის არსს ახლადა

ჩაწვდა... ერთხელ ობერლინმა უამბო, ხიდზე უხილავმა ხელმა რომ შეაჩერა, სივრცეში ელვარებამ რომ მოსჭრა თვალი და წყვდიადში ხმა ჩაესმა; ასე გამოეცხადა ღმერთი. ობერლინსაც, იმის გასაგებად, მომავალში რა ექნა, უფლის ჯიბიდან ბავშვური გულუბრყვილობით თვისი ხვედრი ამოუღია. რწმენა, ზეცის მარადიულობა და ყოველის არსებობა უფალში, აი თურმე რა ყოფილა წმინდა წიგნის არსი. აი, როგორ უახლოვდებოდა ადამიანებს ზეციური მისტერიით მოცული ბუნება, ბუნება, რომელსაც არა მკაცრი დიდებულება, არამედ რაღაც თბილი და ნაცნობი ამკობდა.

ერთ დილას ლენცი შინიდან გამოვიდა. მოეთოვა, ველზე მზის კაშკაშა შუქი გართხმულიყო, შორს კი მთელი მიდამო ნისლს შთაენთქა. გზიდან მალე გადაუხვია, ნაძვნარი გაიარა და რბილ მაღლობს აუყვა; ადამიანის ნაფეხური აქეთ ალარსად ჩანდა, მზე მარგალიტებს აფრქვევდა; ფაფუკ თოვლზე მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნეოდა მთისკენ მიმავალი ნადირის კვალი. ირგვლივ ყველაფერი გარინდულიყო. სიოს ნელ ქროლვას ან ჩიტის გაფაჩუნებას თუ გაიგებდა კაცი. შორს, ჰაერში ხეები თეთრ წიწვებს არხევდნენ. ლენცს იდუმალება იპყრობდა. ის ერთფეროვანი, ვეება ლაქები და ხაზები, დროდადრო გუგუნით რომ მოიწევდნენ მისკენ, ახლა ბსუბუი ნისლივით გაფანტულიყვნენ. შობის იდუმალი განწყობილება ეუფლებოდა. ხანდახან ისიც ეჩვენებოდა, ერთ-ერთ ხეს მაღალი ქალი, დედაჩემი ამოფარებია, სადაცაა ჩემკენ წამოვა და მეტყვის, ეს ყოველივე შენთვის მიჩუქნიაო. მთიდან რომ ეშვებოდა, შეამჩნია, მისი ჩრდილის გარშემო სხივებს ცისარტყელა შემოერკალათ. მოეღანდა, თითქოს შუბლზე ვილაცამ ხელი შეახო და გამოელაპარაკა კიდეც.

შინ დაბრუნებულს ოთახში ობერლინი დახვდა. ლენცი ხალისიანად მიეახლა და განუცხადა, ძალიან მინდა ვწიროო.

— თეოლოგი ბრძანდებით?

— დიახ.

— მაშ, მომავალ კვირას სწირეთ.

გახარებულმა ლენცმა თავის ოთახს მიაშურა. ქადაგების წერას შეუდგა და ფიქრებში ჩაეფლო; რამდენიმე ღამემ უშფოთველად ჩაიარა. კვირა დილაც დადგა, ზამთრის თბილი დილა. მწკრივში ჩაწყობილ ღრუბლებს შორის სილურჯე აჭყიტებდა. საყდარი იქვე ახლოს, გორაკზე, სასაფლაოს შუაგულში იდგა. როცა ზარების რეკვა ატყდა, ლენცი სამრეკლოზე იდგა და იქიდან უყურებდა ბილიკებზე შეფენილ მრევლს. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ შაოსანი ქალები და გოგონები, ლოცვანზე თეთრი მაქ-

მანიანი ცხვირსახოცები და როზმარინის ტოტები ეწყოთ. ხეობას დრო-გამოშვებით მზის შუქი ედამუნებოდა, ნედა იძვროდა თბილი ჰაერი, გარემოს საამო სურნელი მოჰფენოდა, ზარების ხმას მოეცვა არემარე — ეს ყოველივე ერთ ჰარმონიულ ტალღად ქცეულიყო.

საყდრის პატარა ეზოში თოვლი დამდნარიყო, შავ ჯვრებქვეშ მუქი ხჰვსი მოჩანდა, გალავანს გვიანი ვარდის ბუჩქი აჰკვროდა, ხავსიდან ზამთრის ყვავილებს ამოეყოთ თავი; მზე დროდადრო გამოაჭყიტებდა, მერე ისევ ჩამობნელდებოდა. დაიწყო წირვა. ხალხის გალობა ერთიან, სუფთა, ნათელ ბგერად იქცა. ეს ბგერა კამკამა, გამჭვირვალე მთის წყაროს მოგაგონებდათ. გალობა მიწყდა და ლენცმა ქადაგება დაიწყო. გაუბედავად იყო. გალობის დროს გაქარწყლებულ შინაგან დაძაბულობას კვლავ ეჩინა თავი. ტკივილი გულს უწიწკნიდა, მერე უსაზღვრო სიამის ტკბილი გრძნობა შეეპარა. ხალხს გასაგებად მიმართავდა; ეს ადამიანები ხომ მასავით იტანჯებოდნენ, ჰოდა, რამხელა შვებას იგრძნობდა, თუკი ზოგიერთ გამოლამებულ თვალს რულს მოჰგვრიდა, ნაწამებ გულს კი სიმშვიდეს აზიარებდა, თუკი შეძლებდა მათი ყოველდღიური სიდუხჭირით გატანჯული ყოფის და გულისგამაწვრილებელი ტკივილების ზეცის საშუალებით აძლევას. ქადაგების დასასრულს აღმაფრენა შეემატა. და კვლავ გაისმა გალობა:

მომეცი ძალა ავიტანო შენთვის ტკივილი,
გავწყვიტო ჯაჭვის სიმძიმე რწმენით,
ტანჯვაში ვპოვო მე სიხარული
და გემსახურო ამ ტანჯვის თმენით.

ლენცი შინაგანმა მღელვარებამ, მუსიკამ და ტკივილმა აღაგზნო. მისი წარმოდგენით სამყარო ნაიარევი იყო — ეს აზრი ღრმა, აღუწერელ ტკივილს გვრიდა. მერე სხვა სურათი აეკვიატა; ღვთაებრივი, მთრთოლვარე ბაგეები იხრებოდნენ მისკენ და ტუჩებზე ეკონებოდნენ. თავის განმარტოებულ ოთახს მიაშურა. მარტო იყო, სრულიად მარტო! აი, წყარო აჩუხჩუხდა, ნაკადულებმა იდინეს თვალებიდან, მოიკუნტა, ხელ-ფეხი აუკანკალდა, ასე ეგონა, სადაა დავიშლებიო, აღარც საამო ტკივილს უჩანდა ბოლო. მერე გონება დაებინდა! უტყვი და ღრმა სიბრალულით განიმსჭვალა საკუთარი თავის მიმართ, თავის თავს გლოვობდა. მერე თავი მკერდზე ჩამოუვარდა და ჩაეძინა. ცაზე სავსე მთვარე ანათებდა. ლენცს საფეთქლებსა და პირისახეზე კულულები ჩამოყროდა, ცრემლს წამწამები

ჭაენამა და ლაწვებზე შეშრომოდა — აი ასე იწვა, მარტოდ-მარტო, გარემო კი იყო საოცრად მშვიდი, უქრავი და ცივი და მთელი ღამე მთვარე დაჰნათოდა მთებს.

გათენდა თუ არა, დენცი დაბლა ჩავიდა და ისე, სხვათა შორის უამბო ობერლინს, დედა გამომეცხადა ძილშიო: ეკლესიის ბნელი გალავნიდან გამოვიდა, თეთრი კაბა ეცვა, მკერდზე ერთი თეთრი და ერთიც წითელი ვარდი ებნია, შემდეგ გალავნის ერთ კუთხეში გაუჩინარდა, მის ადგილას კი ვარდი გაიფურჩქნა. ნამდვილად მოკვდაო, მშვიდად დასძინა ბოლოს. თავის მხრივ, ობერლინმაც უამბო, ერთხელ მინდორში უხილავმა ხმამ ჩამაგონა, მამაშენი აღარ არის, და შინ დაბრუნებულს მართლა გარდაცვლილი დამხვდაო. ასე შეჰყვნენ საუბარს. ობერლინმა სიტყვა მთის მცხოვრებლებზე ჩამოაგდო, გაიხსენა ის გოგონები, დედამიწაში წყალსა და ლითონს რომ შეიგრძნობდნენ; იმ კაცებზე მოუთხრო, მწვერვალზე ყოფნისას მოჩვენება რომ შეფეთებიათ და ჭიდილი გაუმართავთ მასთან. ისიც უამბო, ერთხელ მთაში სუფთა, ანკარა წყაროში ცქერისას ერთგვარმა სომნამბულიზმმა რომ შეიპყრო. დენცმა განუმარტა, წყლის სული დაგეპატრონათ და იმ წუთს სტიქიის მუდმივ მდგომარეობას თუ შეიგრძნობდითო. შემდეგ განაგრძო: „მარტივი და შეურყვნელი ბუნების ადამიანები სტიქიასთან მეტად ახლო კავშირში არიან, რამდენადაც დახვეწილია ადამიანის აზროვნება და გრძნობები, იმდენად დაჩლუნგებულია პირველადი მოვლენების განცდა. ადამიანის ამ მდგომარეობას დენცი განვითარების მაღალ საფეხურად არ მიიჩნევდა, რადგან მას დამოუკიდებლობას მოკლებულად თვლიდა. ამავე დროს ამტკიცებდა, რომ სიცოცხლის ყოველ არსებულ ფორმასთან შეხება ადამიანის სულში უსაზღვრო სიამოვნებას უნდა იწვევდეს, ადამიანის სული უნდა იტევდეს ყველაფერს — ქვა იქნება ის, ლითონი, წყალი თუ მცენარე, რათა შესძლოს ბუნების ყველა მოვლენის ისე სწორად აღქმა, როგორც ყვავილები ისუნთქავენ ჰაერს მთვარის ცხრომა-ავსებასთან ერთად.

მერე დენცმა თავისთვის განაგრძო: „ირგვლივ ყოველივე ხომ ენით გამოუთქმელი ჰარმონიის და ნეტარების შემცველია. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი არსებანი ამ თვისებებს სხვადასხვა საშუალებებით ამჟღავნებენ, აჟღერებენ და ისისხლხორცებენ, თუმცა კი ეს პროცესები მათ ვნებათაღელვას იწვევს.

დაბალი განვითარების არსებებში კი ყველაფერი დათრგუნული და შევიწროებულია, სამაგიეროდ მათში სიმშვიდე ჭარბობს... „ასე მსჯე-

ლობდა ლენცი, სანამ ობერლინმა სიტყვა არ გააწყვეტინა — თქვენს ჩვეულ სისაღავეს რად ღალატობთო. ერთხელ ობერლინმა ლენცს ფერადი დაფები უჩვენა, თან აუხსნა, თუ როგორ მიმართებაშია თითოეული ფერი ადამიანთან, თორმეტი მოციქულის მაგალითიც ახსენა და უთხრა, თითოეულ მათგანს სიმბოლურად ერთი გარკვეული ფერი შეესაბამებაო. ეს თემა ლენცმა ხელად აიტაცა, უფრო განავრცო, თავი მშფოთვარე ოცნებებს მისცა, შტილინგივით[1] აპოკალიფსის კითხვას მოჰყვა და ბიბლიაც სულერთავად ხელთ ჰქონდა.

ამასობაში შტაინთალში კაუფმანი ჩამოვიდა თავის მეუღლესთან ერთად. თავდაპირველად ლენცს მისი ჩამოსვლა არ ესიამოვნა, ეს მყუდრო კუთხე და აქ ნაპოვნი მყიფე სიმშვიდე მეტად ძვირად უღირდა. სტუმარი კი, ვისთანაც უთუოდ მოუწევდა ურთიერთობა, კარგად იცნობდა მას და ათას მოგონებასთან იყო დაკავშირებული. ლენცის ამ განცდებს ობერლინი, რა თქმა უნდა, ვერ ხვდებოდა. მოძღვარი ლენცს ღვთის მოვლენილად თვლიდა და ამიტომაც შეეკედლებინა, გულში ჩაეკრა და მთელი არსებით შეეყვარებინა ბედკრული. სხვები კი ლენცის იქ ყოფნას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევდნენ და ისე შესისხლხორცებოდნენ მას, თითქოს ეს კაცი მუდამ მათ გვერდით იყო, ამიტომ არც არავინ კითხულობდა, საიდან მოსულიყო ან საით წავიდოდა.

ლენცი სუფრასთან ისევ გამოცოცხლდა: საუბარი ლიტერატურაზე ჩამოვარდა და ისიც თავის სტიქიაში იყო. ამ დროს იდეალისტურ მსოფმხედველობას ეყრებოდა საფუძველი, კაუფმანი იდეალიზმის ერთგული ქომაგი აღმოჩნდა, ამიტომ ლენცი მას ცხარედ ეკამათებოდა და ამტკიცებდა, რომ მწერლებს, რომელთაც სინამდვილის გადმოცემა სწადიათ, წარმოდგენა არა აქვთ სინამდვილეზე, თუმც მათ უფრო გაუგებს კაცი, ვიდრე იმათ, ვისაც სინამდვილის ახსნა განუზრახავთო. შემდეგ ასე განაგრძო: „მამა ღმერთმა სამყარო შექმნა ისეთი, როგორიც უნდა იყოს, და ჩვენ უკეთესი სამყაროს შეთითხნის უფლება არა გვაქვს; ჩვენი ერთადერთი მიზანი უფლის მიბაძვაა. მე ყველაფერში მხოლოდ სიცოცხლეს და ყოფიერების უშრეტ შესაძლებლობას ვეძებ. იმის ძიება კი, ჩვენი გა-

---

[1] იოჰან ჰაინრიხ იუნგ-შტილინგი (1740—1817) — მისტიკოსი. დიდი პოპულარობა მოიპოვა ნაპოლეონის დაცემის შემდეგ რესტავრაციის ეპოქაში. ავტორია მრავალრიცხოვანი მისტიკურ-სამოძღვრებო ხასიათის ნაწარმოებისა.

რემომცველი საგნები ლამაზია თუ მახინჯი, სრულიად ზედმეტია. რწმენა იმისა, რომ ადამიანის ყველა ქმნილება ცოცხალია, ამ თვისებებზე მაღლა დგას და ხელოვნების ერთადერთ საზომს უნდა წარმოადგენდეს. ჭეშმარიტი ხელოვნება იშვიათია, მას შექსპირთან ან ხალხურ სიმღერებში თუ ვხვდებით, შიგადაშიგ გოეთესთან თუ აღმოაჩენთ. სხვა ყველაფერი ცეცხლს უნდა მისცეს კაცმა. ადამიანებს ხომ იმის უნარიც არ გააჩნიათ, ძაღლის ჩვეულებრივი სადგომი დახატონ. იდეალური სახეების შექმნა განუზრახავთ, მათი ქმნილებანი კი ხის თოჯინებს უფრო ემსგავსებიან. ასეთი იდეალიზმი ადამიანის ბუნების უგულვებელყოფაა და სხვა არაფერი. ერთხელ უნდა სცადოს კაცმა ყველაზე მცირე და უმნიშვნელო არსებების სულში ჩაწვდომა, შემდეგ კი მისი ნაწილ-ნაწილ, მინიშნებებით, სახის ნაკვთების ფრთხილი, ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით გადმოცემა". ლენცმა ისიც აღნიშნა, დაახლოებით ამის მიღწევა ვცადე „აღმზრდელსა" და „ჯარისკაცებშიო", მერე დასძინა: „ეს ადამიანები ხომ დედამიწის ზურგზე ყველაზე პროზაული არსებანი არიან, გრძნობათა სისტემა ხომ ყველა ადამიანს თითქმის ერთნაირი აქვთ, მხოლოდ გარსი, რომელშიც ამ გრძნობებმა უნდა გამოაღწიონ, არის მეტნაკლებად მკვრივი, ამიტომ მთავარია ხელოვანმა მოსმენა და დანახვა შეძლოს. გუშინ, ხეობაში მივავალმა, ორი გოგონა დავინახე: ერთი ნაწნავს იშლიდა, მეორე ეხმარებოდა, პირველს ოქროსფერი, ჩამოშლილი თმა, მღუმარე, ფერმკრთალი, ყმაწვილური პირისახე და შავი კაბა ამშვენებდა, მეორეს — ბეჯითი და ერთგული გამომეტყველება. მსგავს სურათს ძველგერმანული სკოლის ყველაზე უნაკლო, ყველაზე გულწრფელი ტილოებიც კი ვერ გადმოგვცემენ. ბევრჯერ მინატრია, ნეტა მედუზის თავად მაქცია და ასეთი სცენის გაქვავება და მისი სხვებისთვის ჩვენება შემაძლებინა-მეთქი. გოგონების წამოშლასთან ერთად ღვთაებრივი ანსამბლიც დაიშალა; თუმცა მათი კლდე-კლდე დაშვება უკვე სხვა სურათს წარმოადგენდა.

ასე ხდება: უმშვენიერესი სურათები და უნეტარესი ჰანგები ჯერ წარმოიქმნებიან, მერე კვლავ იშლებიან. მხოლოდ ერთი რამ არის მარადიული — უსაზღვრო სილამაზე, ერთი ფორმიდან მეორეში რომ გადადის, მუდამ სახეცვალებადი და გაფურჩქნული. განა ყოველთვის შეიძლება მისი ხელყოფა, მუზეუმში დადგმა ან ნოტებზე გადატანა, რათა შემდეგ ათასი ჯურის ხალხმა მოიყაროს თავი, რომ აღფრთოვანება გამოხატოს ან სისულელეები ჩმახოს! უპირველეს ყოვლისა კაცთმოყვარე უნდა იყო, ყოველი ადამიანის სულიერ სამყაროს რომ ჩაწვდე. თუ გინდა რომ ადამიანს

გაუგო, მასში მხოლოდ სიჩლუნგე და სიმახინჯე არ უნდა დაინახო. უტყვ სიდამაზეზე უფრო მეტად შეიძლება სულ უბრალო სახემ გაგაოცოს. ყოველ არსებას უნდა მიეცეს თავის ჩარჩოდან გამოსვლის საშუალება ისე, რომ მისი გარეგნობა დროებით დაგვავიწყდეს და მისი სულიერი ზრახვები, ძარღვები და გულისცემა თვალში არ გვეჩხირებოდეს".

კაუფმანმა აღნიშნა, რომ შელეველერელი აპოლონის ან რაფაელის მადონასთანა ტიპების სინამდვილეში პოვნა შეუძლებელიაო.

— მესე ია, — ხიტყვა ჩამოართვა ლენცმა, — მთელი ჩემი გრძნობა-გონების მოკრება მჭირდება, რომ მათი ცქერისას ცოტა გულიც ამიტოკდეს. მე ხელოვნებას იმდენად ვაფასებ, რამდენადაც უფრო ახლოსაა იგი სინამდვილესთან; სხვა დანარჩენი მხოლოდ მთრგუნავს. ამიტომაც იტალიურ მხატვრობაზე მეტად ჰოლანდიური ფერწერა მიტაცებს, ის ხომ გასაგებადაც უფრო მარტივია. სწორედ ჰოლანდიური სკოლის ორმა სურათმა მოახდინა ჩემზე ისეთივე შთაბეჭდილება, როგორც თავის დროზე ახალმა აღთქმამ: პირველი ტილო, ასც კი მახსოვს ვის ფუნჯს ეკუთვნის, — წარმოგვიდგენს ქრისტესა და მის მოწაფეებს ემმაოსში. კითხულობ, როგორ ნელ-ნელა გამოდიან მოწაფეები შინიდან და თან ნათლად ხედავენ რამდენიმე წინადადებაში მოქცეულ დასრულებულ სცენას. სურათი ასეთია: პირქუში, ბნელი საღამო, ჰორიზონტს ერთფეროვანი წითელი ზოლი გასდევს. ქუჩაში ბინდი ჩამოწოლილა. მოწაფეები მათკენ მიმავალ უცნობს მიმართავენ; უცნობი მათ პურს უწვდის და ისინიც, ამ უბრალო ადამიანური ქცევისა და ღვთაებრივ-გატანჯული სახის შემყურე, უმალ ხვდებიან ამ კაცის ვინაობას. მოწაფეებს სიბნელეში უჩვეულო გრძნობა და შიში ეუფლებათ, თუმცა ეს ის შიში როდია, მოჩვენების გამოჩენა რომ იწვევს ხოლმე, ასეთი შიში შენთვის ძვირფასი, მიცვალებული ადამიანის საზეუცველელი აჩრდილის წყვდიადში მოდანდებამ იცის. აი ასეთ სადა, თაღხ ფერებში დახატულ საღამოს გვთავაზობს ეს ტილო. ახლა მეორე სურათი: ოთახში ზის ქალი, ხელში ლოცვანი უჭირავს. საკვირაოდ გულდაგულ დალაგებულ და დაკრიალებულ ოთახში სითბოს დაუსადგურებია. ქალი საყდარში ვერ წასულა და შინ ლოცულობს, ზის, პირისახე ღია სარკმლისკენ მიუქცევია. ვრცელ ველებს გადაღმა სოფლიდან ზარების რეკვის ხმა იჭრება; გაღობას მიყურადებული ქალი ლოცვის ტექსტს აყოლებს თვალს.

დაახლოებით ასე მსჯელობდა ლენცი, დანარჩენები სულგანაბულნი უსმენდნენ. საუბრისას წამოჭარხლებულიყო, ხან გაიღიმებდა, ხანაც ჩაფი-

ქრდებოდა, თან ქერა კულულებს არხევდა. იმ წუთს საკუთარი თავი აღარ ახსოვდა.

სადილის შემდეგ კაუფმანმა ლენცი გვერდზე გაიხმო. მამამისის წერილები გადასცა. მამა სთხოვდა, შინ დაბრუნდი და მხარში ამომიდექიო, კაუფმანმაც დასძინა, შენი აქ ყოფნა მხოლოდ დროის ფუჭი ფლანგვაა, უმიზნო ცხოვრება არას გარგებსო. ლენცი წამოენთო:

— გინდა გავეცალო აქაურობას? შინ დავბრუნდე? ნამდვილად გავგიჟდები. ხომ იცი, აქაურობის გარდა რომ ვეღარსად გავძლებ. ხანდახან მთაზე რომ არ ავიდე და არ გადმოვიხედო, შინ დაბრუნებისას ბაღზე რომ არ გამოვიარო და ფანჯრებში არ შევიჭვრიტო — ნამდვილად შევიშლები. ახლა, როცა მოვმჯობინდი, შემარგეთ ეს იოტისოდენა სიმშვიდე! აქედან წავიდე? კი მაგრამ, რისი გულისთვის? ეს ორი სიტყვა ხომ ყველაფერს წყალში მიყრის. ადამიანს მუდამ აქვს რაღაც სანატრელი, ჰოდა, დაღლილმა კაცმა დასვენების მეტი რა უნდა ვინატრო? მთელ ცხოვრებას უთავბოლო ჭიდილსა და სიმაღლისკენ ლტოლვაში ვატარებთ, წამიერ სიამოვნებას კი ბრმად ვუვლით გვერდს, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ამ შეცდომას მწარედ განვიცდით. თავს მაშინ ვიკლავთ წყურვილით, როდესაც ცხვირწინ ჩუხჩუხა ნაკადული ჩამოგვდის! აქ თავს კარგად ვგრძნობ და ამიტომაც მსურს აქ ყოფნა. რატომ? რატომ? სწორედ იმიტომ, რომ თავს კარგად ვგრძნობ. მამაჩემს რაღა უნდა? უკეთესად მამყოფებს ვითომ? არა მგონია. ჰოდა, ყველამ თავი დამანებეთ! — ასე ცხარობდა. მართალია, კაუფმანი დროზე გაეცალა, მაგრამ ლენცს უკვე წახდომოდა გუნება.

მეორე დღეს კაუფმანმა წასვლის სურვილი გამოთქვა, ობერლინსაც შესთავაზა, შვეიცარიაში გამომყევიო. ამ უკანასკნელს ლაფატერთან[1] მხოლოდ მიწერ-მოწერა აკავშირებდა. ერთბაშად სძლია მისი პირადად გაცნობის სურვილმა და დათანხმდა. სამგზავრო სამზადისს ერთი დღე დასჭირდა. მასპინძლის წასვლა ლენცს ძლიერ აღონებდა. ყველაფერს ებღაუჭებოდა, რათა უსაზღვრო ტანჯვისთვის თავი დაეღწია; მხოლოდ დროდადრო გონს მოსვლისას ამჩნევდა, რომ თავის თავს ისე ელოლიავებოდა და დაჰფოფინებდა, როგორც სნეულ ბავშვს. ზოგიერთ აკვიატებულ

[1] იოჰან კასპარ ლაფატერი (1741—1801) — შვეიცარიელი მწერალი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული და ცნობილი პიროვნება. მისი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით ცნობილია „ფიზიოგნომიკა“.

აზრსა და მოძალებულ გრძნობას შეშფოთებული იცილებდა თავიდან; რაღაც წვრილმანის გამო მერე ისევ აფორიაქდებოდა, აკანკალდებოდა, თმა აებურძგნებოდა.. ამ მდგომარეობაში იყო, სანამ უკიდურესად დაძაბული, ერთბაშად არ განიმუხტებოდა. მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ედგა მუდამ თვალწინ და მხოლოდ ის ჰგვრიდა სულიერ სიმშვიდეს; ეს ადამიანი ობერლინი იყო. მოძღვარის ხმა და სახე უზომო სიამოვნებას ანიჭებდა. სწორედ ამიტომ, შეშფოთებული ადევნებდა თვალს მის გამგზავრებას.

ლენცს შინ მარტო დარჩენისა ეშინოდა, კარგი ამინდი იყო და გადაწყვიტა, ობერლინი გაეცილებინა. ისინი ერთმანეთს მთის გადაღმა გავაკებულზე დაშორდნენ. უკან მარტო გამობრუნდა. გზააბნეული მთაზე რამდენჯერმე ავიდა. ხეობაში ჩაკარგულ განიერ ფერდობებს მეჩხერი ტყე ძლივს ფარავდა; ქარის ქროლვა ძლიერდებოდა, არსად იყო ადამიანის ჭაჭანება, მხოლოდ აქა-იქ თუ წააწყდებოდა კაცი ფერდობზე აკრულ მიტოვებულ ქოხს, მწყემსების საზაფხულო სადგომს. ყველაფერი ერთ ზოლად ქცეულიყო და ტალღასავით ირწეოდა ცასა და დედამიწას შორის; მოეჩვენა, თითქოს უკიდეგანო ზღვის პირას გაწოლილი მის ჩუმ მიმოქცევას გასცქეროდა. დროდადრო ჩამოჯდებოდა, მერე კვლავ დინჯად, ოცნებებში ჩაფლული აგრძელებდა გზას; სულაც არ ადარდებდა, საით მიდიოდა.

პირქუში მწუხრი ჩამოწოლილიყო, როცა შტაინთალს იქით პირველივე ფერდობზე მდგარ ქოხს მიადგა. კარი ჩარაზული დახვდა; სარკმელიდან სინათლე გამოკრთოდა. შეიხედა. ლამფა ოთახის ერთ წერტილს ანათებდა, მუქ კუთხეში მიყუჟული გოგონას ფერმკრთალ სახეს ეცემოდა, გოგონას თვალები მიელულა და ბაგეებს ოდნავ შესამჩნევად ამოძრავებდა. ოთახის სიღრმეში მჯდარი დედაბერი ხრინწიანი ხმით ლოცვას ლილინებდა. ლენცს კარი მხოლოდ ხანგრძლივი კაკუნის შემდეგ გაუღეს; მოხუცს ყურში ძლივს ესმოდა. დედაკაცმა ლენცს ცოტაოდენი საჭმელი მიართვა და ლოგინი მიუჩინა. თან ჯიუტად აგრძელებდა გალობას. გოგონა არც კი შერხეულა. ცოტა ხნის შემდეგ ქოხში მაღალი, ხმელ-ხმელი, ჭაღარაშერეული კაცი შემოვიდა; აღელვებული და არეული გამომეტყველება ჰქონდა. გოგონა მის გამოჩენაზე შეკრთა და აფორიაქდა. კაცმა კედლიდან გამხმარი ბალახი ჩამოხსნა და გოგონას ხელზე დააფინა, ისიც დამშვიდდა და ნელა, გარკვევითა და დამარცვლით რაღაცის ლაპარაკს მოჰყვა. კაცმა უამბო, მთაში ყოფნისას საოცარი ხმა გავიგე, იმავე წუთას ხეობის თავზე უცნაური ელვარება გამოჩნდა. ეს მოელვარე სხეული მე მეძგერა და მეც

შევები იაკობიეითო. ესა თქვა, პირქვე დაემხო და ჩუმ, მგზნებარე ლოცვას მოჰყვა; ავადმყოფი კი სუსტ, მიმქრალ ხმაზე ღიღინებდა. ცოტა ხნის მერე კაცი მოსასვენებლად დაწვა.

ლენცმა ჩათვლემა ვერ მოასწრო, რომ საათის წიკწიკმა გამოაფხიზლა. გოგონას ყრუ სიმღერასა და მოხუცის ბუტბუტს ქარის ზუზუნი უერთდებოდა. ქარი თითქოს ჯერ იქვე ახლოს, მერე კი სადღაც ცხრა მთას იქით დაპარპაშებდა; ხან კაშკაშა და ხანაც ღრუბლებში ჩამალული მთვარე თავის ცვალებად ნათელს ეშმაკურად აპარებდა ოთახში. ხმებმა იმატა, გოგონა გარკვევით ამეტყველდა. ირწმუნებოდა, მოპირდაპირე პიტალო კლდეზე ეკლესიაა აღმართულიო. ლენცი წამოიწია, რომ გოგონა უკეთ დაენახა: მაგიდის უკან წამომჯდარს თვალები გაფართოებოდა, მის პირისახეზე მთვარის შუქი ილვრებოდა, ბავშვის სახე შეუდარებელ, უჩვეულო ნათელს ასხივებდა. მალე მოხუცმა ხვრინვა ამოუშვა და სინათლის ციცლიცსა და ბგერათა თამაშში ლენცს როგორც იქნა ჩაეძინა.

ირიჟრაჟა თუ არა, გამოეღვიძა. ყველა და ყველაფერი თვლემდა ჯერ კიდევ ბინდით მოცულ ოთახში; გოგონაც დამშვიდებულიყო, ხელები მარცხენა ლოყის ქვეშ ამოედო და ეძინა. იდუმალი გამომეტყველება გაჰქრობოდა პირისახიდან, ახლა მისი ნაკვთები მხოლოდ აუტანელ ტკივილს გამოხატავდნენ. ლენცი წამოდგა და სარკმელი გამოაღო, სახეში დილის სუსხი შეეფეთა. სახლი აღმოსავლეთისაკენ გადახრილი ვიწრო და ღრმა ხეობის პირას იდგა, თეთრ და მკვრივ ნისლში გახვეულ ხეობაში რუხი გარიჟრაჟიდან წითელი სხივები ილვრებოდნენ, ნაცარა ქვებზე სხლტებოდნენ და ქოხების სარკმლებს ასკდებოდნენ. კაცსაც გაეღვიძა. მისი მზერა კედელზე განათებულ ხატს წააწყდა. დიდხანს და დაჟინებით უცქირა, მერე ტუჩები აამოძრავა, ჯერ ჩუმად ილოცა, მერე ნელ-ნელა ხმას უმატა. მალე ქოხი ხალხით გაივსო, ყველანი უსიტყვოდ იჩოქებდნენ. გოგონა იწვა და იკრუნჩხებოდა, მოხუცი ძველებურად ღიღინებდა, თუმცა მეზობლებთან დაყბოპასაც ახერხებდა.

ლენცმა ხალხისგან შეიტყო, რომ ეს კაცი დიდი ხნის წინ მოსულიყო, თუმცა არავინ იცოდა საიდან. დედამიწაში წყლის დანახვა და სულების შელოცვა შეეძლო, აქაურები მას წმინდანად თვლიდნენ და მასთან სალოცავად დადიოდნენ. ლენცმა ისიც შეიტყო, შტაინთალს კარგა მანძილზე რომ დაშორებოდა და როდესაც უთხრეს, შეშის მჭრელებსაც შენი გზა აქვთო, გადაწყვიტა, მათ გაჰყოლოდა. გაუხარდა, მარტო რომ არ იყო, იმ გრძნეული კაცის შემყურეს თავგზა აბნეოდა, მისი უსიამოვნო ხმა

მოსვენებას არ აძლევდა, მარტო დარჩენილს კი საკუთარი თავიც აშინებდა.

ლენცი შინ დაბრუნდა. წუხანდელი ამბავი თავიდან არ ამოსდიოდა. ქვეყნიერებამ მის წინ უძირო უფსკრულივით დააღო პირი, და იქითკენ რაღაც ძალა ექაჩებოდა. აფორიაქებული იყო, ცოტას ჭამდა, ღამეებს ლოცვასა და ავადმყოფურ ხილვებში ატარებდა. ხანდახან გაიბრძოლებდა, მაგრამ ღონემიხდილი უმალ მიყუჩდებოდა და მდუღარე ცრემლს აფრქვევდა. მერე ისევ მიეცემოდა ძალა, ცივად და გულგრილად წამოდგებოდა და ცრემლს ღიმილით მოიშორებდა. რაც უფრო მეტად ეპოტინებოდა სიმაღლეებს, მით უფრო ღრმად ეფლობოდა ჭაობში. მერე ისევ ყველაფერი გაერთიანდა, წამოიშალნენ წარსულის ხილვები და მისი გონების უდაბურ ქაოსს სხივები სტყორცნეს.

დღისით დაბლა იყო, იმ ოთახში, სადაც ქალბატონი ობერლინიც ხშირად იჯდა. ხატავდა, კითხულობდა, ხარბად ეტანებოდა ყველაფერს, ოღონდ კი ცოტა ხნით ავი ფიქრები გაეფანტა. ახლა განსაკუთრებით ქალბატონ ობერლინს მიეტმასნა, სიამოვნებით უცქერდა ყვავილებს შორის მჯდარ ქალს, კალთაში ნაბოლარა შვილითა და ხელში ლოცვანით; ლენცი ბავშვსაც ხალისიანად ეთამაშებოდა. ერთხელ სწორედ ასე იჯდა ოთახში, მოულოდნელად შიში რომ დაეტაკა და ადგილიდან წამოაგდო. წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ოდნავ ღიად დარჩენილი კარიდან ჯერ გაურკვევლად, მერე კი უფრო ხმამაღლა მოახლის სიმღერამ შემოაღწია.

სატრფო შორსა მყავს, იქ მიმწუხდომი თვალი არ არი,
ქვეყნად სხვა ჩემებრ ნაღვლიანი არი? არ არი?

ამ სიმღერის გაგონებაზე წამოხტა, ქალბატონმა ობერლინმა გაოცება ვერ დაფარა. ლენცმა მუშტი იცა მკერდში, ველარ დაფარა სათქმელი:

— ძვირფასო ქალბატონო, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, როგორ არის ქალიშვილი[1], ვისი ბედიც ათფუთიან ტვირთად მაწევს გულზე?

— ჩემო კარგო, მე რომ არაფერი ვიცი?

ლენცი ისევ დადუმდა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ცოტა ხნის მერე დასძინა:

———————

[1] ქალიშვილი — ლენცის სატრფო ფრედერიკე ბრიონი, რომელმაც უარი უთხრა ცოლობაზე; ფრედერიკე ბრიონს ეტრფოდა გოეთეც, უძღვნა კიდეც მას რამდენიმე შესანიშნავი ლექსი.

— იცით რა, უნდა წავიდე. ღმერთია მოწმე, თქვენს ოჯახში ყოფნას არაფერი მირჩევნია, მაგრამ ჩემი წასვლა სავალდებულოა. იმასთან უნდა წავიდე, მაგრამ რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?! რომ არ შემიძლია, უფლება რომ არა მაქვს?! — ეს თქვა და აღელვებული გარეთ გავიდა.

შინ სალამოხანს დაბრუნდა, ოთახში ბნელოდა, ლენცი ქალბატონ ობერლინს მიუჯდა და დაიწყო:

— იცით, ოთახში რომ გაივლიდა ხოლმე, თან ღიღინებდა და მისი ყოველი ნაბიჯი მუსიკას ჰგავდა, თვითონ ნეტარებით ავსილი, მეც ნეტარებით მავსებდა; მისი შემოხედვა ან მკერდზე თავის მოყრდნობა სიმშვიდეს მგვრიდა.. ბავშვი იყო, ნამდვილი ბავშვი. სამყარო უკიდეგანო ეგონა, ამიტომ საკუთარ თავში ერჩივნა დამალვა; გამოძებნიდა მთელ სახლში ყველაზე მივარდნილ კუნჭულს და ისე მიიყუჟებოდა იქ, თითქოს თავისი ბედნიერება ერთ წერტილში მოუქცევიაო. მაშინ მეც ისეთივე გრძნობა შეუფდებოდა და შემეძლო მეც ბავშვივით მეთამაშა. ახლა კი როგორ მევიწროვება ყველაფერი! ასე მგონია, ხელები ზევით რომ ავწიო, ცას მივახლი. ამ ბოლო დროს მგონი ფიზიკურ ტკივილსაც ვგრძნობ აი აქ, მარცხენა მკლავში, მას რომ ვეხვეოდი, იმ მკლავში. მისი სახეც გამირბის, მიჭირს ცოცხლად წარმოდგენა, ესეც მაწამებს, ათასში ერთხელ თუ დავინახავ ნათლად და მაშინ მეშველება ხოლმე.

ასე ჩიოდა ხშირად ქალბატონ ობერლინთან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, არეულად. მართალია, ქალი ნუგეშის ცემას მუდამ ვერ ახერხებდა, მაგრამ ყოველი ასეთი გულახდილი საუბრის შემდეგ ლენცი მაინც გრძნობდა ერთგვარ შვებას.

ამასობაში, ჩვეული რელიგიური სატანჯველიც მოერია. რამდენადაც დაცლილი, გაყინული და ღონემიხდილი იყო, იმდენად უფრო ცდილობდა შინაგანი ცეცხლის გაღვივებას; ის დრო აგონდებოდა, ყველაფერი რომ უდუღდა და მოჭარბებულ გრძნობათა ზიდვა რომ უჭირდა. ახლა ყველაფერი ჩამკვდარიყო მასში. საკუთარი თავისა უკვირდა. ძირს დაეცემოდა ხოლმე, ხელებს იგრეხდა, იქნებ ჩემში სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი აღმოვაჩინოო, მაგრამ, ამაოდ; ყველაფერი გაყინული იყო, მკვდარი. მაშინ ღმერთს შეევედრებოდა, სასწაული მომივლინეო, მარხულობდა, ლოცულობდა იატაკზე გაწოლილი და ოცნებებს მიცემული.

სამ თებერვალს შეიტყო, რომ ფუდეში ბავშვი მომკვდარიყო, ბავშვს ფრედერიკა ერქვა; ამ ამბავმა მეტად აალელვა, ოთახში ჩაიკეტა და

მთელი დღე იმარხულა. ოთხ თებერვალს ქალბატონ ობერლინთან შევიდა სახეზე ნაცარი წაესვა, ტომარა მომეცითო, ითხოვა. შეშინებულმა ქალმა, თხოვნა შეუსრულა. ლენცი მონანიესავით გაეხვია ტომარაში და ფუდეს გზას დაადგა. ხეობის მკვიდრთ ლენცის საქციელი აღარ აკვირვებდა მასზე ისედაც ათას უცნაურ ამბავს ყვებოდნენ. აი ის სახლი, სადაც ბავშვი ესვენა. ხალხი გულგრილად საქმიანობდა; პატარა ოთახში შეუძლენ- მაგიდაზე, თივაში, პერანგისამარა ბავშვი იწვა.

ლენცი ოდნავ ღია შუშის თვალებს წააწყდა, მერე გაყინულ სხეულს შეეხო და აკანკალდა. მიტოვებული ბავშვი და თვითონაც ამ ბავშვივით მარტო, ეული. გვამზე დაემხო. სიკვდილმა შეაძრწუნა, მწვავე ტკივილმა დაუარა თხემიდან ტერფამდე. ნუთუ ეს ნაკვთები, ეს მშვიდი სახე უნდა გახრწნილიყო. მუხლებზე დაეცა. სასოწარკვეთილი კაცის თავგანწირვით ლოცულობდა, უფალს შესთხოვდა, ღმერთო, ძალა მომეცი ბავშვი გავაცოცხლოო... მერე ერთბაშად საკუთარ თავში ჩაიძირა, მთელი თავისი ძალა და ნება მოიკრიბა და ერთ წერტილში მოაქცია. დიდხანს იჯდა გახევებული. შემდეგ წამოდგა, ბავშვის ხელებს ჩაეჭიდა და ხმამაღლა და მტკიცედ წარმოთქვა: „აღსდეგ და ვიდოდე!" თითქოს დასცინიანო, ექო გამოსცეს კედლებმა, გვამი კი კვლავაც ცივი იყო. შეშლილივით პირქვე დაემხო, მერე წამოხტა, გარეთ გავარდა და მთას მისცა თავი.

მთვარე მალ-მალე იკარგებოდა ღრუბლებში. ნისლივით ცვალებად არემარეს ხან წყვდიადი ეპატრონებოდა, ხანაც მთვარის შუქი ჰფენდა ნათელს. ლენცი ალმა-ყალმა დაჰქროდა. მის მკერდზე ჯოჯოხეთის ტრიუმფალურ ხმებს დაესადგურებინათ. ქარის ქროლვა ტიტანთა სიმღერად ეჩვენებოდა. სწამდა, რომ იმ წუთას შეეძლო ვეება მუშტი ეკრა ცისთვის, ღმერთს მისწვდომოდა და ღრუბლებს შორის ეთრია; სამყარო კბილებით დაეგლიჯა და შემოქმედის სახეში მინთხევა სურდა, ილანძღებოდა, მკრეხელურად ავსიტყვაობდა. ასე მიაღწია მწვერვალს. დაბლა დახავსებულ ლოდებს მქრქალი შუქი დაჰფენოდა. უგუნურ, ლურჯ თვალს დამსგავსებული ციდან უსუსურად და სასაცილოდ იჭყიტებოდა მთვარე. ლენცმა ხმამაღლა გადაიხარხარა და მასში ერთბაშად მშვიდად, ძლიერად და ურყევად ღვთის უარყოფამ დაისადგურა. უცბად გადაავიწყდა ასე რა აფორიაქა ცოტა ხნის წინ, შეამცივნა, ძილი მოერია და სრულიად გულგრილი შეერია იდუმალ სიბნელეს — ახლა მისთვის ირგვლივ ყველაფერ ცარიელი და ფუყე იყო. მთა ჩაირბინა და შინ მივიდა თუ არა, საწოლზე მიეგდო.

დილით, გასული ღლე რომ გაახსენდა, შიშმა შეიპყრო. თითქოს უფსკრულის პირას იდგა და გიჟური ვნება აიძულებდა, შიგ ხშირ-ხშირად ჩაეხედა, რომ ტანჯვა მუდმივად განეახლებინა. მერე შიშის გრძნობა გაუძლიერდა, მოსვენება დაუკარგა სულიწმინდის წინაშე ჩადენილმა ცოდვამ.

რამდენიმე დღის შემდეგ, დათქმულ ვადაზე გაცილებით ადრე, ობერლინი ჩამოვიდა შვეიცარიიდან. ლენცმაც გაიხარა. სულგანაბული ისმენდა ობერლინისგან ელზასელი მეგობრების ამბავს. ობერლინი ბარგსა ხსნიდა, ოთახში მიმოდიოდა და თან ფეფელზე[1] უამბობდა, აღფრთოვანებული სოფლის მოძღვრის ქველმოქმედებით. მერე სხვათაშორის დასძინა, აღბათ სჯობს მამაშენის ნებას დაჰყვე, შინ დაბრუნდე და შენს საქმეს დაუბრუნდეო. თავის რჩევას სხვა ბიბლიურ შეგონებებთან ერთად ესეც დაართოდა: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა"-ო. ეს სიტყვები ლენცს გულში დახვარივით მოხვდა, მწარედ ამოიოხრა და თვალცრემლიანმა ამოილუღლუღა:

— არა, ამას ვერ გადავიტან, ნუთუ ჩემი გაგდება გინდათ?! ზეცისკენ მიმავალი ჩემი გზა მხოლოდ თქვენშია. თუმცა, აწი მე ალარაფერი მეშველება, დაცემული ვარ, სამუდამოდ დაწყევლილი, მარადი ურია.

ობერლინმა ანუგეშა, იესო ჩვენთვის ეწამა, მთელი არსებით თუ შეიყვარებ, შენც გახდები მისი მიტევების ღირსიო.

ლენცმა თავი აწია, ხელები გულზე დაიკრიფა და გამოსცრა:

— ოოჰ, უფლის ნუგეში.

მერე მორიდებით ქალიშვილის ამბავი იკითხა. ობერლინმა მიუგო, მასზე არა ვიცი რაო, მაგრამ მაშინვე დასძინა, ყველაფერში დაგეხმარები, ოღონდ მითხარი დაწვრილებით, სად და ვისთან მოვიკითხოო. ამაზე ლენცმა რაღაც აბდაუბდა უპასუხა:

— ეეჰ, ვინ იცის, ცოცხალია? იქნებ არცაა ცოცხალი, ანგელოზი! ძალიან ვუყვარდი — მეც მიყვარდა, ანდა როგორ არ მეყვარებოდა, ანგელოზი! წყეულიმც იყოს ეჭვიანობა, ჩემი ბრალია, მე დაველუპე, — მას სხვაც უყვარდა, მე კი მხოლოდ ის, ერთადერთი. დედა, ძვირფასო, შენც ხომ გიყვარდი. მე ვარ თქვენი მკვლელი!

ობერლინი ამ სიტყვებმა დააბნია და ჩააფიქრა: შეიძლება ეს ადამიანები სულაც ცოცხლები და ბედნიერნი იყვნენ; როგორც არ უნდა ყოფი-

---

[1] ფეფელი (1736—1809) — ელზასელი მწერალი, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით პოპულარულია იგავ-არაკები.

ლიყო, ოღონდ ლენცი უფლისკენ მობრუნებულიყო და მისი ლოცვისა და სინანულის შემყურე ღმერთი იმ ადამიანებს ლენცისგან მიყენებულ ტკივილებს სიკეთით გაუქარწყლებდა. ამასობაში ლენცი დამშვიდდა და კვლავ ხატვას შეუდგა.

ნაშუადღევს ისევ გამოცხადდა. მარცხენა მხარზე ტყაპუჭი შემოეხვია, ხელში წკეპლების ის შეკვრა ეჭირა, წერილთან ერთად რომ ჩამოუტანა ობერლინმა. წკეპლები მოძღვარს გაუწოდა და დაჟინებით სთხოვა, დამარტყიო. ობერლინმა წკეპლები ჩამოართვა, რამდენჯერმე აკოცა ლოყაზე და მიუგო: ეს ამბორი ვამჯობინოთ გვემასო. მერე ურჩია, დამშვიდდი და უფალს შუამავლის გარეშე მიმართე, თვითგვემით ცოდვებს ვერ მოინანიებ, ასე დაუწესებია იესოს, ამიტომ სჯობს უშუალოდ მას მიმართოო. ესა თქვა და გავიდა.

ვახშამზე ლენცი ჩვეულებისამებრ ჩაფიქრებული ჩანდა, თუმცა მაინც ახერხებდა ათას რამეზე საუბარს, მაგრამ ახლა მის ხმას ბზარი გასჩენოდა. შუაღამისას ობერლინი ხმაურმა გააღვიძა. ლენცი დარბოდა ეზოში და ფრიდერიკე, ფრიდერიკეო, ყვიროდა უხეში, ხრინწიანი ხმით. ლელეში ჩახტა, წყალი აადგაფუნა, მერე ოთახში ავარდა, ისევ ჩამოვიდა, ისევ წყალში ჩახტა, ასე იმორგა ერთხანს, ბოლოს, როგორც იქნა, მიყუჩდა. ლენცის ოთახის ქვეშ, ბავშვების ოთახში მოახლეებს ეძინათ, და მათ თქვეს: ამ ბოლო დროს, მეტადრე კი წუხელ, სტვირის ხმის მსგავსი კვნესა გვესმოდაო. ვინ იცის, იქნებ ლენცი მოსთქვამდა ამ გულისწამღები და სასოწარკვეთილი ხმით.

დილით ლენცი არ იქნა და არ ჩამოვიდა. ამიტომ ობერლინმა თავად აკითხა, ლოგინში დახვდა, მშვიდად იწვა, ერთი არ გატოკებულა. ობერლინმა ხან რა ჰკითხა, ხან რა, ბოლოს ძლივს ელირსა პასუხს:

— დიახ მამაო, ერთფეროვნებაა! მხოლოდ ერთფეროვნება და სხვა არაფერი. აბა მეტი რა გითხრათ, კედელზე რა აღარ დავხატე. — ობერლინმა ურჩია, უფალს მიმართეო, ლენცს გაეცინა:

— დიახ, თქვენსავით რომ მწყალობდეს ბედი, მეც გამოვძებნიდი დროის მოკვლის ასეთ კარგ საშუალებას, მაშინ ნამდვილად არ მოვიწყენდი ასე. განა ყველაფერი უქმად ყოფნის ბრალი არ არის?! ერთნი მოწყენილობისას ლოცულობენ, სხვანი იგივე მიზეზით სიყვარულს ეძლევიან, ზოგი სიკეთეს თესავს, ზოგიც ბოროტებას, მე კი, მე რა შემიძლია, არაფერი, არაფერი, თავის მოკვლის უნარიც არა მაქვს: გავბეზრდი!

ღმერთო, შუაღლის სივარვარეში
შენს წმინდა სახელს რომ მაზიარე,
დავიზიანე ჩემი თვალისა,
ნათლის ცქერაში დავიზიანე.

ობერლინს სახეზე უკმაყოფილება დაეტყო და წასვლა დააპირა, ლენცი საწოლიდან წამოხტა და ამღვრეული თვალებით დაჟინებით მიაშტერდა:

— ჰო, მართლა, ახლა გამახსენდა! იცით რა მეშმართება, სიზმარი და ცხადი ველარ გამირჩევია ერთმანეთისაგან, იქნებ დამეხმაროთ, — ესა სთქვა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

ნაშუადღევს ობერლინს ერთი ოჯახი უნდა მოენახულებინა. ქალბატონი ობერლინი უკვე წასულიყო. ის იყო თავადაც შინიდან გასვლას აპირებდა, რომ კარზე დააკაკუნეს; ოთახში ლენცი შემოვიდა, წელში მოხრილი, თავჩაქინდრული, პირისახეზე ნაცარი ესვა, ტანსაცმელიც ნაცარში ჰქონდა ამოგანგლული, მარცხენა მკლავზე ხელი ედო. ობერლინს სთხოვა, ხელი გამიჭიმეო. თურმე ფანჯრიდან გადმომხტარა და მკლავი დაუზიანებია. მერე დასძინა, არავის ხმაურს ვუნდივარ და ამ ამბავს ნუ გაახმაურებთო. ობერლინს ეძნა ეჭვა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს, ისე შეასრულა ლენცის თხოვნა. შემდეგ ბელფოსელ სკოლის მასწავლებელს სებასტიან შაიდეკერს გაუგზავნა ბარათი: ჩამოდი და ჩემი არყოფნის დროს ლენცს მიხედეო, შეუთვალა, თან დაუბარა, როგორ მოქცეულიყო. მერე ცხენს მოახტა და იქაურობას გაშორდა.

მალე ის კაციც მოვიდა. ლენცმა მაშინვე იცნო, რადგან ადრეც ხშირად ენახა. კაცმა მოიმიზეზა, ობერლინთან მქონდა საქმეო და წასვლა დააპირა. ლენცმა დარჩენა სთხოვა, ისიც დათანხმდა. ლენცმა ფუდესკენ გასეირნება შესთავაზა. იმ ბავშვის საფლავთან მივიდა, ვისი მკვდრეთით აღდგომაც ასე გულით ეწადა, რამდენჯერმე დაიჩოქა და საფლავს ეამბორა, ილოცა, საფლავზე დადებულ გვირგვინს რაღაც მოაგლიჯა სახსოვრადო, წაიბუტბუტა. მერე ვალდბახისკენ წავიდა, მაგრამ ისევ უკან გამობრუნდა, სებასტიანი გვერდიდან არ მოსცილებია. ლენცი ხან ძლივს მიდასლასებდა, ფეხებში სისუსტეს უჩიოდა, ხანაც თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. გარემო აშინებდა, ევიწროვებოდა, სულ იმის შიში ჰქონდა, რაღაცას დავეჯახებიო. უცნაური ზიზღის შეგრძნებაც გაუჩნდა. თანამგზავრმაც თავი მოაბეზრა, განზრახვას მიუხვდა და მიზეზს ეძებდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა. სებასტიანი ყველა მის სურვილს უსიტყვოდ

ასრულებდა, ამასობაში კი მოახერხა და თავის ძმას ამცნო მოსალოდნელი საშიშროება, ასე რომ, ახლა ლენცს ერთის ნაცვლად ორი ზედამხედველი ჰყავდა. ისიც წარბშეუხრელად იტანდა მათ თანხლებას, ბოლოს, როგორც იქნა, ვალდბახში დაბრუნება გადაწყვიტა და სწორედ მაშინ, როდესაც სოფლამდე ორიოდე ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, ელვის სისწრაფით შებრუნდა და უკანმოუხედავად მოკურცხლა ფუდესკენ. კაცებიც აედევნენ. ფუდეში მეწვრილმანეებისგან შეიტყვეს, რომ ერთ სახლში ვიღაც უცნობი გაუკოჭავთ, თავს მკვლელად ასაღებს, მაგრამ მკვლელს სულ არა გავს. ძმებმა მაშინვე იმ სახლისკენ გასწიეს, მეწვრილმანეების ნაამბობი დადასტურდა. ლენცი თურმე დაჟინებით ითხოვდა, გამკოჭეთო, ბოლოს ეს თხოვნა ერთ, ცოტა არ იყოს დამფრთხალ ყმაწვილს შეუსრულებინა. ძმებმა თოკები შემოხსნეს და ვალდბახში ჩაიყვანეს. ობერლინი და მისი მეუღლე უკვე დაბრუნებულიყვნენ. ლენცი დარცხვენილი იყო, მაგრამ მასპინძლის გულისხმიერებამ და სითბომ მალე დაუბრუნა სითამამე; სახე დაუმშვიდდა, ორივე თანამგზავრს ზრდილად მადლობა გადაუხადა და იმ საღამოს უშფოთველად ჩაიარა. ობერლინმა სთხოვა, ღამე ნუღარ იბანავებ, ეცადე არ ადგე და თუ დაძინება გაგიჭირდა, ღმერთს მიმართეო, ისიც დათანხმდა და იმ ღამეს კიდეც შეასრულა დანაპირები; მოახლეებს მთელი ღამე მისი ლოცვა ესმოდათ.

დილით სახეგაბადრული ეახლა ობერლინს. ხანმოკლე საუბრის მერე განსაკუთრებული მოწიწებით წარმოთქვა:

— ძვირფასო მამაო, ის ქალიშვილი, ვიზედაც მოგახსენებდით, გარდაიცვალა, ჰო, გარდაიცვალა, — ანგელოზი!

— საიდან იცით?! — გაიკვირვა მოძღვარმა, ლენცმა კი „იეროგლიფები, იეროგლიფებიო"! წაიბუტბუტა და ზეცას ალაპყრო მზერა, მერე დასძინა:

— დიახ, გარდაიცვალა — იეროგლიფებმა მანიშნეს.

ამის მეტი ვეღარაფერი ათქმევინეს. მაგიდას მიუჯდა და რამდენიმე წერილი დაწერა, ობერლინსაც სთხოვა, ერთი-ორი სტრიქონი თქვენც მიაწერეთო.

ლენცის მდგომარეობა უიმედო იყო. უკვალოდ გაქრა ის სიმშვიდე, ობერლინმა და მყუდრო ხეობამ რომ შესძინა. სამყაროს, რომლისგანაც შველას ელოდა, ბზარი გაუჩნდა; აღარც ზიზღი, აღარც სიყვარული, აღარც იმედი, ირგვლივ მხოლოდ შემზარავი სიცარიელე იყო, მხოლოდ ერთი სურვილიღა სტანჯავდა — როგორმე ეს სიცარიელე ამოევსო. ყვე-

ლაფერი დაკარგა. შეუგნებლად მოქმედებდა, მხოლოდ ინსტინქტი ამოძრავებდა. მარტო დარჩენილი, აუტანელ სიმარტოვეს გრძნობდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. ჯერ ყვიროდა, შეშინებული დუმდებოდა, ლაპარაკისას ბორძიკობდა, ნერვიულობდა, წინადადებების დასასრული დამავიწყდაო; მერე დაიჟინებდა, ბოლო სიტყვა დავიმახსოვრეო და უსასრულოდ იმეორებდა, მერე ამ აკვიატების დაძლევას უნდებოდა. გულკეთილი მასპინძლები ძალიან განიცდიდნენ, მათთან მშვიდად მჯდომარე და უშუალოდ მოსაუბრე ლენცს მოულოდნელად პირზე სიტყვა რომ შეაშრებოდა და შიში რომ მოუქცევდა სახეს. მაშინ მოსაუბრეს მკლავში ჩააფრინდებოდა და როდის-როდის მოეგებოდა გონს. უფრო ცუდად იყო საქმე, თუ ასეთი შეტევისას მარტო იყო ან კითხულობდა, მაშინ უფრო უჭირდა აკვიატებული აზრების თავიდან მოცილება. როცა ვინმეზე ფიქრობდა ან ვინმეს იხსენებდა, ეგონა თითქოს თვითონ იყო ის ადამიანი. გონებაარეულს ერთი დაუოკებელი სურვილი იპყრობდა; ცდილობდა გარემომცველ საგნებს, ბუნებას, ადამიანებს თავის წარმოდგენაში თვითნებურად მოქცეოდა, ობერლინის გამოკლებით ყველას და ყველაფერს ბუნდოვნად და უსიცოცხლოდ აღიქვამდა. სახლებს აყირავებდა, ადამიანებს მოსავდა და აშიშვლებდა, ათას სისულელეს იგონებდა. ხანდახან უნდოდა სწორედ ის ექნა, რაც გაიფიქრა, მაგრამ მერე ზიზღით იჭყანებოდა. ერთხელ ობერლინთან იჯდა, მოპირდაპირე სკამზე კატა გაწოლილიყო. ლენცს უეცრად თვალი გაუშტერდა, მზერა კატაზე გაეყინა. შემდეგ ნელ-ნელა სკამიდან ჩაცურდა, კატამაც მას მიბაძა. ცხოველი, თითქოს მისმა მზერამ მოაჯადოვაო, აიმრიზა, ბეწვი ყალყზე დაუდგა, ლენცს სახე შეეშალა და არაადამიანური ხმა აღმოხდა. კაცი და კატა ფეთიანებივით ეტაკნენ ერთმანეთს — მათ გასაშველებლად ქალბატონი ობერლინი წამოხტა. ლენცი მერე ძალიან განიცდიდა, ეს რა დამემართაო.

იმ ღამინდელმა შეტევამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამაოდ ცდილობდა აუტანელი სიცარიელის შევსებას და ხანგრძლივი ბორგვის შემდეგ ძლივს ჩაიძინა, მტანჯველი ხილვები შემოაწვნენ ძილ-ბურანში, თითქოს რაღაც უშველებელსა და შემზარავს ეჯახებოდა, სიგიჟე ერეოდა, ოფლში გაწურული საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა, ძლივს მოეგო გონს. ასე ეგონა, სხეული გაუორდა და მისი ერთი ნაწილი მეორეს ეძებდა გადასარჩენად. ამოძრავდა თავდაცვის ინსტინქტი, უზომო შიშმა ლექსებიც კი ათქმევინა, ასე იბუტბუტა, სანამ მთლად არ გამოფხიზლდა.

აქამდე სინათლე მაინც იცავდა მოლანდებებისაგან, ახლა კი შეტევე-

ბი დღისით უფრო მოეძალა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამქვეყნად მარტო თვითონ იყო, მთელი სამყარო კი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა, თითქოს მის გარდა არც არაფერი არსებობდა. მტანჯველი წარმოდგენების ამარა დარჩენილს, თავი საუკუნოდ დაწყევლილ სატანად მიაჩნდა. თავისი ცხოვრების გზას ნაუცბადევად რომ გადაავლებდა თვალს, „ლოგიკურია, ლოგიკურიო“, იტყოდა. სხვა ვინმე თუ ამოიღებდა ხმას, „არალოგიკურიო“. პასუხობდა. ეს იყო სიგიჟის უფსკრული, რომელიც მალე სამუდამოდ შთანთქავდა.

სულიერი წონასწორობის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ აამოძრავა: მკლავებში ჩაუვარდა ობერლინს, ისე ჩაებღაუჭა, თითქოს მის სხეულში შეღწევას ლამობსო; თქვენა ხართ ერთადერთი კაცი, ვისაც ჩემზე გული შესტკივა და ვინც ცხოვრებას მილამაზებსო, შესტირა. ობერლინის დაყვავებამ გონს მოიყვანა. მოძღვრის წინაშე დაიჩოქა, ხელები მის ხელს ჩასჭიდა, ცივი ოფლით დანამული სახე კალთაში ჩაურგო, მთელი სხეულით თრთოდა. ობერლინი უსაზღვრო სიბრალულმა შეიპყრო, მისი ოჯახის წევრები მუხლმოდრეკილი ავედრებდნენ ღმერთს უბედურის სულს, მოახლეები კი გიჟად თვლიდნენ და გაურბოდნენ. ოდნავ რომ დამშვიდდა, ჭირვეულ ბავშვს დაემსგავსა: სლუკუნებდა, საკუთარი თავი ებრალებოდა. ეს მისთვის ყველაზე ნეტარი წამები იყო. ობერლინმა ღმერთზე დაიწყო საუბარი, ლენცმა გატანჯული თვალებით შეხედა და მიუგო:

— იცით რა, მე რომ ვყოფილიყავი ყოვლისშემძლე, მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ადამიანის ასეთ ტანჯვას ვერ გავუძლებდი, ვიხსნიდი, ნამდვილად ვიხსნიდი; მე ხომ სიმშვიდის გარდა არას ვითხოვ, მხოლოდ ცოტაოდენი სიმშვიდე მჭირდება, სიმშვიდე — ძილი რომ შევძლო.

ობერლინი გაუწყრა, ნუ მკრეხელობო. ლენცმა თავი უიმედოდ გადაიქნია.

თავის მოკვლის ის უშედეგო ცდები, ლენცი ბოლო დროს რომ მიმართავდა, არ იყო საშიში. სიკვდილის სურვილი ნაკლებად ამოძრავებდა — მისთვის სიკვდილი მოსვენებას არ ნიშნავდა, — ფიზიკური ტკივილის გამოწვევა კი განსაკუთრებული სასოწარკვეთილების ან ჩლუნგი, არაფრისმთქმელი სიმშვიდის ჟამს თვითგამოფხიზლების ხერხი უფრო იყო. ყველაზე ბედნიერად კი იმ წუთებს თვლიდა, როდესაც მისი გონება რომელიმე ველურ იდეაზე ამხედრებული დააჭენებდა ბედაურს. მაშინ ჯერ კიდევ ფეთქავდა მასში სიმშვიდის ნიშანწყალი და მისი ამღვრეული თვალები კარგავდნენ იმ შეშლილ გამომეტყველებას, მოუსვენრობასთან მუდ-

[illegible]

მივი ჭიდილის დროს ან ველური შიშის გადაღახვის შემდეგ რომ ჰქონდა. ხან თავსაც კი ურტყამდა კედელს, რომ ფიზიკური ტკივილი ეგრძნო.

რვაში დილით არ ამდგარა, ობერლინმა აკითხა: თითქმის ღვიძობდა იწვა ლოგინში, ძალზე აღელვებული ჩანდა. ობერლინმა სცადა, საბანი წაეხურებინა, მაგრამ ლენცი გულაკლავად ჩიოდა, რა მძიმეა ყველაფერი, ახლაღა ვიგრძენი, ჰაერიც რა უსაშველოდ მძიმე ყოფილა, ნუთუ ოდესმე შევძლებ ადგომასო. ობერლინმა გაამხნევა. ლენცი არც კი განძრეულა, ასე იწვა მთელი დღე, საჭმელსაც არ მიჰკარებია.

საღამოს ობერლინი ბელფოსში გამოიძახეს ავადმყოფთან. თბილი, მთვარიანი მწუხრი იდგა. შინისკენ გამობრუნებულს გზაში ლენცი შეეფეთა. თითქოს სრულიად განკურნებული, დინჯად და მშვიდად გამოელაპარაკა ობერლინს. მოძღვარმა სთხოვა, შორს ნურსად წახვალო; ლენციც შეპირდა, გზა განაგრძო, მაგრამ მოულოდნელად შემობრუნდა, ობერლინთან სულ ახლოს მივიდა და სხაპასხუპით მიახალა:

— იცით რა, მამაო, ეს ხმაური რომ არა, ჩემი საქმე ნამდვილად კარგად იქნებოდა.

— რა ხმაური, ჩემო კარგო?

— როგორ, ნუთუ არ გესმით? მართლა არ გესმით ეს ხმა, მთელ ჰორიზონტს რომ მოჰკივის და სიჩუმეს რომ უწოდებენ! რაც ამ ჩუმ ხეობას შევაფარე თავი, განუწყვეტლივ ჩამესმის და ძილს მიფრთხობს. ეჰ, მამაო, ნეტა ოდესმე ძილს თუ ველირსები!

ვაღდბახში დაბრუნებული ობერლინი ის იყო აპირებდა ლენცთან კაცის გაგზავნას, რომ კიბეზე, ლენცის ფეხის ხმა მოესმა. ერთი წუთის შემდეგ ეზოში რაღაცამ ისეთი ზღართანი მოადინა, ობერლინმა ვერც კი დაუშვა, რომ ეს შეიძლება ადამიანის დაცემის ხმა ყოფილიყო. ოთახში გაფითრებული და აკანკალებული ძიძა შემოვარდა...

* * *

ლენცი მორჩილად იჯდა ეტლში, და ხეობას დასავლეთისაკენ მიუყვებოდა. არ აინტერესებდა საით მიჰყავდათ. ოღროჩოღრო გზაზე ეტლი რამდენჯერმე კინაღამ გადაბრუნდა, ის კი სრულიად გულგრილად იჯდა, არაფერი აღარ ადარდებდა. ასე გადაიარეს მთა, შებინდებისას რაინის ხეობას მიაღწიეს. ნელ-ნელა სცილდებოდნენ დაისის სივრცეში ამოწვერილ ლურჯი კრისტალივით დატალღულ მთებს და ამ ტალღათა თბილ

ღვარში მობანავე მეწამულ სხივებს; ვაკის იქით, მთის კალთის ძირში ცისფრად მბზინავი ქარგა იშლებოდა. სტრასბურგს უახლოვდებოდნენ, ბინდი წვებოდა. არემარეს სავსე მთვარე ანათებდა, შორს რაღაც საგნები ბუნდოვნად მოჩანდნენ, მახლობელი მთის კონტურები კი გარკვევით გამოკვეთილიყვნენ, დედამიწას ოქროს თასივით პირთამდე ავსებდნენ მთვარის აქოჩრილი ოქროსფერი ჩქერები. ლენცი სიბნელეს ჩაშტერებოდა, არც სურვილი ჰქონდა რაიმე, აღარც ინტერესი; საგნების წყვდიადში გაუჩინარებასთან ერთად შიში ერეოდა. წვიმიანი, კუშტი დილა იდგა, სტრასბურგში რომ შევიდნენ. ლენცს თითქოს არაფერი აწუხებდა, ხალხს ესაუბრებოდა, ჩვეულებრივად იქცეოდა. მხოლოდ აუტანელ სიცარიელეს დაესადგურებინა მასში, აღარც რამის შიში ჰქონდა, აღარც სურვილი, საკუთარი არსებობა ქცეოდა მოუშორებელ ტვირთად.

აი ასე ცხოვრობდა...

რედაქტორი ლ. ჯუღელი
მხატვრული რედაქტორი გ. ინახარიძე
ტექრედაქტორი ხ. შაყულაშვილი
კორექტორი ნ. აბზიანიძე
გამომშვები რ. სარალიძე

ფასი სახელშეკრულებო